

გრანდიოზული გასართობი აქცია საღამომდე გაგრძელდა A2



სპეცოპერაცია სატელევიზიო სიუჟეტის საპასუხოდ A4



"მადნეულზე" პრეტენზიას 21 კომპანია აცხადებს A6



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

ხუთშაბათი, 2 ივნისი, 2005 წელი. №122 (982)

ფასი 50 თეთრი


© გაზეთი 24 საათი

# ევროსაბჭო საქართველოს თვითმმართველობის პრობლემებზე მიუთითებს

ნინო გომართელი
*სტრასბურგიდან*

*ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის განვითარების დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, გასული წლის 5 ნოემბერს ევროპის საბჭომ სპეციალური რეზოლუცია გამოსცა, რომელიც ამ კუთხით საქართველოში არსებულ ვითარებას ეხმიანებოდა, მიღწეულ წარმატებას ასახავდა და ხაზს უსვამდა პრობლემებს, რომელთა აღმოფხვრაც აუცილებელია ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის განვითარებისათვის. კონგრესის წინაშე გუშინ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე წარდგა. მან საქართველოში რეგიონული მმართველობის რეფორმირების, ცვლილებებისა და მიღწეული შედეგების შესახებ მოხსენება წაიკითხა.*
*ასევე სიტყვით გამოვიდა საქართველოს პარლამენტის თვითმმართველობის, რეგიონული პოლიტიკის და მთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვანო ხუხუნეიშვილი, რომელმაც საქართველოში ხელისუფლების დეცენტრალიზაციის პერსპექტივებზე ისაუბრა. ქართულ დელეგაციას კონგრესის წევრებისგან შენიშვნების მოსმენა და კითხვებზე პასუხის გაცემაც მოუწია.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*სტრასბურგში გუშინ ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის მეთორმეტე პლენარულ სესიაზე, 46 სახელმწიფოს წარმომადგენლები, საქართველოში ადგილობრივი დემოკრატიის მდგომარეობაზე მსჯელობდნენ.*

# ვინ - ცესკო-ს წევრი, ვინ - "დემოკრატიის გარნირი"

თამარ მჭედლიშვილი

*მმართველმა პარტიამ და პრეზიდენტის ადმინისტრაციამ, მორიგი ხმაურის ასატეხად, ოპოზიციას შესანიშნავი საბაბი მისცა - ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატთა თორმეტკაციანი სია და ცესკო-ს თავმჯდომარეობის კანდიდატის სახელი.*

შესაძლოა, საპარლამენტო ოპოზიციას პრეზიდენტის მიერ შერჩეული კანდიდატებისადმი ნაკლები პრეტენზიები გამოეთქვა, სია გაცილებით ცნობადი სახეებით რომ ყოფილიყო დაკომპლექტებული. კანდიდატთა უმრავლესობას ოპოზიციური ფრაქციების წარმომადგენლები არ იცნობენ. გამონაკლისს მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ყოფილი წევრი გიზო მჭედლიძე და ცესკო-ს თავმჯდომარეობის კანდიდატი გია ქავთარაძე წარმოადგენენ.

გია ქავთარაძე სულ ცოტა ხნის წინ ზურაბ ნოღაიდელის საქმიანი პარტნიორი იყო (საქმე ის არის, რომ ფინანსთა მინისტრის პოსტიდან წასვლის შემდეგ ზურაბ ნოღაიდელმა საკონსულტაციო ფირმა "დამენია-ვარშალომიძე-ნოღაიდელი-ქავთარაძე" დააარსა. მას შემდეგ, რაც ზურაბ ნოღაიდელი სახელმწიფო სამსახურს დაუბრუნდა, კომპანიას სათავეში ქავთარაძე ჩაუდგა, რაც ამ ფირმის სახელწოდებაშიც აისახა - "ქავთარაძე და პარტნიორები").

რაც შეეხება გიზო მჭედლიძეს. ყოფილ ოპოზიციონერს, სახალხო პარტიის ერთ-ერთ ყოფილ ლიდერს საპარლამენტო ოპოზიცია ეჭვის თვალით უყურებს, რადგან,

გაგრძელება A3 გვერდზე

# აღდგენილმა ეპარქიის საბჭომ აფხაზეთის მღვდელმსახურებს შორის შერიგება დააფიქსირა

ზურაბ აფხაზავა
*სოხუმიდან*

30 მაისს სოხუმის საკათედრო ტაძარში, პირველად მრავალი წლის განმავლობაში, სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიის სხდომა ჩატარდა. ეს აფხაზეთის ეკლესიაში კრიზისის დასრულებას მოასწავებს, რომლის გამოც მოსალოდნელი იყო, რომ სამღვდელოება ორ მტრულ ბანაკად გაიყოფოდა. თავად ეპარქიის საბჭოს შეკრება ეპარქიის კრების ერთგვარ ალტერნატივად იქცა, რომლის გამართვასაც ზოგიერთი სამღვდელო პირი 29 მაისს გეგმავდა.

კრების ჩასატარებლად ყველაფერი მზად იყო, მაგრამ ბოლო მომენტში, კონფლიქტის ესკალაციის თავიდან ასაცილებლად, იგი სამომავლოდ გადადეს. შერიგების მიღწევა მოხდა ადიღეისა და მაიკოპის არქიეპისკოპოს პანტელეიმონის შუამავლობით, რომელთანაც მაისის ბოლოს აფხაზეთის მთელი უმაღლესი სამღვდელოება ჩავიდა.

გაგრძელება A3 გვერდზე



# პრემიერი - ბაზების შესახებ

მთავრობის გუშინდელი სხდომა რუსულ ბაზებთან დაკავშირებით მიღწეული შეთანხმების კომენტირებით დაიწყო:

**"საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ მიღწეული შეთანხმება ორ ქვეყანას შორის როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ საკითხებში, მათ შორის - საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების მოგვარების საკითხში, პოზიტიური ურთიერთობების განვითარებას შეუწყობს ხელს,"** - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა.

მან ბაზების გაყვანის თაობაზე მიღწეულ შეთანხმებას "ისტორიული გადაწყვეტილება" უწოდა.

**"საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს საკითხი მოლაპარაკებების გზით გადაიჭრა. ჩვენ კმაყოფილები ვართ იმ კონსტრუქციული დამოკიდებულებით, რომელიც რუსეთმა მოლაპარაკებების პროცესში და მათი დასრულებისას გამოიჩინა,"** - თქვა ნოღაიდელმა.

გუშინვე საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ვალერი ჩეჩელაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობა რუსეთის ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით თანხების გამოყოფას არ აპირებს.

**"აშშ-ს გაცხადებული აქვს, რომ საჭიროების შემთხვევაში, ისინი ამ პროცესისათვის საქართველოს ფინანსურ დახმარებას გაუწევენ. რაც შეეხება ამ მიზნებისათვის ჩვენი ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფას, ეს გათვალისწინებული არ არის,"** - განაცხადა მინისტრმა.

*24 საათი*

# ბინის მესაკუთრეთა უფლება-მოვალეობები კანონით განისაზღვრება

ნანა ქადაგიშვილი

*თბილისის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის სამსახურმა ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ კანონის შექმნის იდეა ახლახან ქალაქის ხელმძღვანელობასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს გააცნო. მერიაში გამართული შეხვედრის ყველა დამსწრემ ერთხმად აღიარა, რომ ასეთი კანონი ჩვენს ქალაქებს, დიდი ხანია, სჭირდება. თუმცა, თბილისის მერი სამსახურის მიერ შეთავაზებულ ზოგიერთ წინადადებას არ დაეთანხმა.*

მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის სამსახურმა ქალაქის ხელმძღვანელობას შესთავაზა ორი ვარიანტი: ან სამოქალაქო კოდექსის ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის ნორმებში შეეტანათ ცვლილებები, ან ცალკე კანონი შეექმნათ. შეხვედრის ყველა დამსწრე კანონის შექმნის იდეას დაეთანხმა.

მართალია, სამოქალაქო კოდექსი ბინის მესაკუთრეთა უფლება-მოვალეობებს, გარკვეულწილად, განსაზღვრავს, მაგრამ მასში არსებული ხარვეზების გამო, კოდექსის ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის ნორმების პრაქტიკაში განხორციელება ჭირს. თუმცა, ესეც რომ არა, კოდექსის მოთხოვნების შესრულებით აქამდე არც არავინ იკლავდა თავს. არასრულყოფილი კანონმდებლობის, მთავრობის უმოქმედობის, მოსახლეობის სიღარიბისა და უყურადღებობის გამო, დედაქალაქში დასუფთავებულ-კეთილმოწყობილი კორპუსი და ეზო იშვიათია. წლების მანძილზე, კორპუსების მობინადრეებმა ისიც კი არ იცოდნენ, კორპუსში ლიფტი ან წყლის მილი რომ გაუფუჭდებოდათ, ვისთვის მიემართათ.

გაგრძელება A3 გვერდზე

### ყურადღება!

**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლითაც უნდა შერჩეულიყო ყოველდღიური გაზეთი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სატენდერო განცხადებების გამოსაქვეყნებლად, გაიმარჯვა გაზეთმა "24 საათმა".**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის **2005 წლის 11 მაისის N3 ბრძანების** თანახმად, აღნიშნული ცვლილება შევიდა "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2001 წლის 15 ოქტომბრის №1 ბრძანებაში.

შესაბამისი ხელშეკრულებების გასაფორმებლად და სხვა დეტალების დასაზუსტებლად გთხოვთ, დაუკავშირდეთ გაზეთ "24 საათი"-ს რედაქციას:

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული.

ტელ: 202404; 202424; 200024;
8 99 220 949.

ელ-ფოსტა: tender@24hours.ge

საკონტაქტო პირი - ირაკლი ლეჟავა

**იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.** A8

### ამინდი

| | 2/06 | 3 /06 | 4 /06 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 28 | 27 | 24 |
| ქუთაისი | 27 | 21 | 26 |
| ბათუმი | 25 | 17 | 23 |
| სოხუმი | 23 | 24 | 26 |
| ფოთი | 25 | 21 | 24 |
| თელავი | 26 | 26 | 24 |
| ზუგდიდი | 26 | 23 | 27 |
| გორი | 23 | 19 | 23 |
| ახმეტა | 27 | 26 | 24 |
| ჭიათურა | 24 | 18 | 25 |
| გაგრა | 22 | 23 | 24 |
| სამტრედია | 26 | 21 | 26 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8299 |
| ევრო | 2.2470 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.3265 |
| რუბლი | 0.0647 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| ამბები | A3 | რევიუ | B3 |
| სამართალი | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | ტენდერი | B6 |
| საზოგადოება | A7 | ტენდერი | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |

# თავშესაფარი ექვსი თვის განმავლობაში




ინტერპრესი

საქართველოს პრეზიდენტი მიუსაფარ ბავშვთა შორის.

თბილისში ბავშვთა სოციალური ადაპტაციის პირველი ცენტრის გახსნას გუშინ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაესწრო. "მიუსაფარ ბავშვთა პრობლემა ჩვენი დედაქალაქისთვის განსაკუთრებით აქტუალურია. უსახლკარო ბავშვების უმრავლესობა ტოქსიკომანია, ოჯახების ან დამნაშავეობრივი დაჯგუფებების დავალებით, ისინი ხშირად წვრილი კრიმინალებით არიან დაკავებულნი," - განაცხადა მან.

ცენტრი 6 თვის განმავლობაში შეინახავს უზედამხედველო ბავშვებს, ხოლო შემდეგ ცენტრის ხელმძღვანელები მათ ან ოჯახებში დააბრუნებენ, ან ბავშვთა სახლებში გააგზავნიან. ცენტრში დიდი ყურადღება დაეთმობა აღსაზრდელების გონებრივი განვითარებისა და ფიზიკური მდგომარეობის შესწავლას და, აუცილებლობის შემთხვევაში, მათ შესაბამისად დაეხმარებიან.

ცენტრისთვის თანხები სახელმწიფო პროგრამიდან "თავშესაფარი უსახლკარო ბავშვებისთვის" გამოიყო. ამ პროგრამისთვის 2005 წლის თბილისის ბიუჯეტში 200 ათასი ლარია გათვალისწინებული.

*მედია-ნიუსი*

# აზერბაიჯანელი ბავშვები საქართველოს ჰიმნს მღერიან

თეა თედლიაშვილი
*გორიდან*

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე შიდა ქართლშიც აღინიშნა. გორის ახალგახსნილ კულტურისა და დასვენების პარკში გუშინ ბავშვებისთვის ყველა ატრაქციონმა უფასოდ იმუშავა. დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის და ფრონეს ხეობიდან ჩამოსულმა ბავშვებმა, უფასოდ, გურჯაანის ნაყინი და გამაგრილებელი სასმელებიც მირთვეს. მათთვის კინოთეატრ "გამარჯვებაში" მულტიპლიკაციური ფილმი "ადამიანიობობაც" უჩვენეს. გორელ ბავშვებს კი წილად მხოლოდ უფასო ატრაქციონებზე გართობა ერგოთ. სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებმა ქალაქის ცენტრში ზეიმი მოაწყვეს.

კონფლიქტის ზონიდან ჩამოსული ბავშვები პრეზიდენტის რწმუნებულის საჩუქრით კმაყოფილები დარჩნენ. როგორც ავნევის სკოლის მოსწავლე მარიკა კაპანაძე ამბობს, ასეთ ღონისძიებას პირველად დაესწრო და ძალიან კმაყოფილია.

"ავნევიდან და ნულიდან 30 ბავშვი ჩამოვიყვანეთ. ჩვენ ყველაზე ბეჯითი და სოციალურად დაუცველი ბავშვები შევარჩიეთ და მშვენიერი დღე ვაჩუქეთ," - განაცხადა თიღვის თემის განათლების განყოფილების გამგემ მიხეილ ტაბატაძემ.

ქართულ-ოსურ მხარეს შორის არსებული დაძაბული მდგომარეობის მიუხედავად, დიდი და პატარა ლიახვის ხეობიდან ბავშვები გორში ცხინვალის გავლით ჩამოვიდნენ, მათ გზაში არანაირი დაბრკოლება არ შეხვედრიათ.

შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული მიხეილ ქარელი, ვიდრე კულტურისა და დასვენების პარკში მივიდოდა, კასპის რაიონში, სოფელ ფერმებში ჩავიდა და ერთი თვის წინ გახსნილ ქართულ საბავშვო ბაღში საჩუქრები ჩაიტანა. სოფელში აზერბაიჯანელი მოსახლეობა ცხოვრობს, ერთი თვის წინ ქართულ საბავშვო ბაღში მისულმა არც ერთმა ბავშვმა ქართული არ იცოდა, გუშინ ისინი საქართველოს ჰიმნის შესრულებასაც ცდილობდნენ, რომელსაც მიხეილ ქარელიც აჰყვა.



თეა თედლიაშვილის ფოტო

მიხეილ ქარელი სტუმრად სოფელ ფერმებში.

საბავშვო ბაღისთვის აზერბაიჯანელმა ადგილობრივმა მოსახლემ მაზაიმ არაზოვმა ბავშვებს საკუთარი სახლი 10 წლით დაუთმო. ამჯერად, საბავშვო ბაღში 33 ბავშვი სწავლობს.

"როცა ბავშვები სკოლაში მიდიოდნენ, ძალიან გვიჭირდა, რადგან არც ერთმა მათგანმა ქართულად ერთი სიტყვაც არ იცოდა. ახლა ეს პრობლემა აღარ გვექნება," - განაცხადა საბავშვო ბაღის გამგემ ლორენა ჩიტაშვილმა.

"ვიდრე ჩვენი ხელისუფლება შეძლებს, საბავშვო ბაღი ააშენოს, შეუძლიათ ეს სახლი გამოიყენონ, მე თვითონ ვარ 18 შვილიშვილის პატრონი და მინდა კეთილი საქმე ვაკეთო, მე სხვა სახლიც მაქვს და იქ ვცხოვრობ," - ამბობს მაზაიმ არაზოვი.

"ეს საშუალებაა, რომ ჭეშმარიტი მამულიშვილები გაიზარდონ. 10 წელიწადში კი საბავშო ბაღის აშენებას ნამდვილად შევძლებთ. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი საქმე მთელი საქართველოსთვის. აქ აზერბაიჯანელი მოსახლეობა თვითონ გამოთქვამს სურვილს, იყვნენ ჭეშმარიტი მამულიშვილები," - განაცხადა მიხეილ ქარელმა.

"ჩვენ 2003 წელს ჩავატარეთ სოცილოგიური გამოკითხვა და მოსახლეობამ ქართული საბავშვო ბაღის გახსნა მოითხოვა. სხვათა შორის, სურთ ასევე ბიბლიოთეკის დაარსებაც, რაც მისასალმებელია. ენის პალატამ ეს საკითხი გამგეობის სხდომაზე გაიტანა და კასპის რაიონის გამგებლის, გენადი ხაჩიძისა და მიხეილ ქარელის დახმარებით პრობლემა გადაწყდა კიდეც," - განაცხადა აწ უკვე გაუქმებული, კასპის ენის პალატის ყოფილმა გამგემ ნანა მერებაშვილმა.

სოფლის თავკაცი შალახა ისმაილოვი აზერბაიჯანელი მოსახლეობისთვის ქართული საბავშვო ბაღის გახსნით გახარებულია და მიიჩნევს, რომ ქართული ენის სრულყოფილად დაუფლება "ორ ერს შორის უკეთესი კავშირების მომტანი იქნება."

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ოპოზიციონერი დეპუტატი ბეჟან გუნავა სამეგრელოს მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულს კახა არდიას მსოფლიო ბანკის კრედიტის მითვისებაში ადანაშაულებს. ეს ბრალდება გუნავამ არდიას "კონსერვატიული პარტიის" წარმომადგენლებთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე წაუყენა.

გუნავას განცხადებით, 1994 წლიდან არდია მუნიციპალური განვითარების ფონდის სამეგრელოს რეგიონის კოორდინატორი იყო. ფონდის პროექტის ფარგლებში ზუგდიდში კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობების შეკეთება და მუნიციპალური ობიექტების, კერძოდ, საავადმყოფოების თბოიზოლაცია უნდა განხორციელებულიყო. სულ, პროექტის ფარგლებში, 3000 ლარის ღირებულების სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო. "არდიამ, ფაქტობრივად, გაფლანგა და მიითვისა ეს თანხა. დღეს ზუგდიდში საკანალიზაციო სისტემა უმძიმეს მდგომარეობაშია, საავადმყოფოებშიც არ ჩატარებულა სამუშაოები, რომელიც ფონდის პროექტით იყო გათვალისწინებული," - აღნიშნა მან. გუნავამ ჟურნალისტებს ფოტო-მასალაც წარუდგინა, რომელიც ზუგდიდის საავადმყოფოებში არსებულ მძიმე მდგომარეობას ასახავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსებმა ბათუმში დისლოცირებული სამხედრო ბაზიდან საბრძოლო მასალებისა და სამხედრო ტექნიკის გატანა დაიწყეს. დატვირთული მატარებელი, რომლის შემადგენლობაში 15 ვაგონი შედის, საქართველოდან გავიდა და სომხეთში, გიუმრის სამხედრო ბაზისკენ გაემგზავრა. "მატარებლის გადაადგილება შეთანხმებული იყო საქართველოს ხელისუფლებასთან. ბოლო სამი თვის განმავლობაში ეს უკვე მესამე შემადგენლობაა, რომელმაც საქართველოს ტერიტორია დატოვა," - აცხადებს კავკასიაში რუსეთის სამხედრო დაჯგუფების სარდლის მოადგილე ვლადიმერ ყუფარაძე. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში მყოფი, დსთ-ს აღმასრულებელი საბჭოს მდივანი ვლადიმირ რუშაილო საგარეო საქმეთა სამინისტროში სალომე ზურაბიშვილს ერთი საათის განმავლობაში ესაუბრებოდა. შეხვედრის დასრულების შემდეგ რუშაილომ განაცხადა, რომ მთავარი თემა დსთ-ს სამიტისათვის მზადება იყო.

"ჩვენ მთავრობათა მეთაურების სამიტის მოსამზადებელ საკითხებს განვიხილავთ; აგრეთვე, ვისაუბრებთ დსთ-ს ქვეყნების მეთაურების მოახლებულ სამიტის შესახებ, რომელიც ყაზანში უნდა გაიმართოს," - აცხადებს ვლადიმერ რუშაილო. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მოსკოვში ჩასული, სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი სპეციალური ბრიფინგის გამართვას გეგმავს. კოკოითი კონფლიქტის ზონაში ბოლო დროს შექმნილ დაძაბულობაზე საუბარს აპირებს. აღსანიშნავია, რომ სეპარატისტული ცხინვალის ინფორმაციისა და ბეჭდვის კომიტეტმა გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს კონფლიქტის ზონაში ათასი ქართველი სამხედროა განლაგებული, რასაც სეპარატისტები მოსალოდნელ "ახალ ქართულ აგრესიად" ნათლავენ. ამ ცნობას შერეული სამშვიდობო ძალების სარდალი მარატ კულახმეტოვი უარყოფს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოხუმმა უარყო ოფიციალური ანკარის წინადადება, თურქეთის მიერ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში შუამავლის როლის შესრულების თაობაზე. "ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების ფორმატი ჟენევის მოლაპარაკებათა პროცესის დასაწყისშივე განისაზღვრა და აფხაზური მხარე მასში კორექტივების შეტანას არ აპირებს," - განაცხადა სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ. მისი თქმით, აფხაზური მხარე ამ ეტაპზე ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებათა ფორმატში ცვლილებების შეტანის აუცილებლობას ვერ ხედავს, მეტიც, "აღნიშნული ფორმატი აფხაზურ მხარეს ხელს აძლევს". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 11-12 ივნისს სტამბოლში "აფხაზ-აბაზინელ ხალხთა საერთაშორისო ასოციაციის" მორიგ სხდომაზე აფხაზ მაჰაჯირთა შთამომავლების რეპატრიაციასთან დაკავშირებული საკითხები განიხილება. სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას განცხადებით, აფხაზეთის ხელისუფლება თურქეთში მცხოვრები აფხაზი მაჰაჯირების შთამომავლების ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობას სერიოზულად განიხილავს. შამბას ინფორმაციით, მიწვევის მიუხედავად, "აფხაზ-აბაზინელ ხალხთა საერთაშორისო ასოციაციის" სხდომის მუშაობაში "მოუცლელობის გამო მონაწილეობას ვერ მიიღებს აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში," რომელიც თურქეთს, სავარაუდოდ, მოგვიანებით ეწვევა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში სომხეთის პრემიერ-მინისტრი ანდრონიკ მარგარიანი ჩამოვიდა. მას აეროპორტში საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური დახვდა. ანდრონიკ მარგარიანი მონაწილეობას მიიღებს დსთ-ს ქვეყნების მთავრობათა ხელმძღვანელების სამიტში, რომელიც 3 ივნისს უნდა გაიმართოს. სომხეთის პრემიერს მისი ქართველი კოლეგა ზურაბ ნოღაიდელი შეხვდება. **მედიანიუსი**

# ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია - "უმაღლესი განათლების ხარისხის მართვა-აკრედიტაცია"

კონფერენცია ჩატარდება 3-4 ივნისს, თბილისში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში. პროექტის - "ეროვნული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: ხარისხის მართვა-აკრედიტაცია" განხორციელება შესაძლებელი გახდა აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურის საქმეთა ბიუროს ფინანსური მხარდაჭერით, თავისუფლების მხარდამჭერი აქტის ფარგლებში, რომელსაც საქართველოში ადმინისტრირებას უწევს ამერიკული ორგანიზაცია "პროექტი "ჰარმონია" (h). კონფერენციის ჩატარება შესაძლებელი გახდა, აგრეთვე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მხარდაჭერით. პროექტის ავტორი და დირექტორია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აკრედიტაციის კონსულტანტი, პროფესორი ბელა გომელაური.

კონფერენციაზე მოხსენებით გამოვა 24 მომხსენებელი, როგორც თბილისის, ასევე ბათუმის, ქუთაისის, თელავის, ცხინვალისა და სხვ. უნივერსიტეტებიდან. ისინი ისაუბრებენ თბილისის სახელმწიფო, საქართველოს ტექნიკურ, თბილისის სამედიცინო, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ, საქართველოს აგრარულ და სხვა უნივერსიტეტებში მიმდინარე ცვლილებების შესახებ.

ორგანიზატორების აზრით, როგორც კონფერენცია, საერთოდ, ასევე მის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, ხელს შეუწყობს საქართველოში უმაღლესი განათლების შესახებ კანონის რეალიზაციას, ეროვნული უმაღლესი სკოლის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან გაერთიანებასა და ბოლონიის პროცესში წარმატებულ ჩართვას.

*24 საათი*

**"საერთაშორისო იურიდიული ოფისი გაპი" აფუძნებს ფილიალს ქ. ბათუმში და აცხადებს კონკურსს ფილიალის მენეჯერისა და ადვოკატის თანამდებობებზე.**

**პირობები:**

1. უმაღლესი იურიდიული განათლება;
2. ადვოკატის სერტიფიკატი;
3. ავტობიოგრაფია (CV);
4. ასაკი 27 წლამდე;
5. დახასიათება უმაღლესი სასწავლებლიდან ან ბოლო სამუშაო ადგილიდან;
6. ერთ-ერთი უცხო ენის ცოდნა.

**საბუთების შემოტანის ვადაა 2005 წლის 15 ივნისამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, წერეთლის გამზ.: N77 "საერთაშორისო იურიდიული ოფისი გაპი". ტ. 34 76 58**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომელთა მხრიდან თქვენი უფლების შელახვის ან კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემთხვევაში დაგვიკავშირდით სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე:**

**98-57-81**

# გრანდიოზული გასართობი აქცია საღამომდე გაგრძელდა



"შემოგვიერთდით და იხალისეთ ჩვენთან ერთად," - ასეთი იყო გუშინდელი საზეიმო დღის დევიზი.

*გუშინ ვაკის პარკში ნამდვილი საბავშვო სეირნობა მოეწყო. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა ბავშვთა სახლებისა და სარეაბილიტაციო ცენტრების აღსაზრდელებმა თამაშითა და გართობით გული იჯერეს. ამ მასობრივი ღონისძიების ორგანიზატორები ბავშვთა უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები და თბილისის მერია იყვნენ.*

ირმა კახურაშვილი

საბავშვო სეირნობა ვაკის პარკში დილიდანვე დაიწყო. პარკის ცენტრში მოწყობილ მცირე ზომის სცენაზე ცეკვა-სიმღერა შესვენების გარეშე რამდენიმე საათი გრძელდებოდა მანამდე, ვიდრე პატარა მსახიობებს უფროსი თაობა არ ჩაენაცვლა და "დიჯეობა" აჩი ფურცელაძემ არ "იკისრა". თუმცა, მოზარდები, რომელთაც თეთრ მაისურებზე წაწერილი ჰქონდათ - "ჩვენი მომავალი დღეს იწყება" - შუადღიდან მოყოლებული უმცროსების გართობას სხვადასხვანაირად ცდილობდნენ. **"ჩვენ ნუცუბიძის ბავშვთა სოფელ "SOS"-თან არსებული პროექტი "მხიარული ავტობუსის" წევრები ვართ. ეს არის ერთგვარი სოციალური ცენტრი ბორბლებზე, რომელიც ბავშვთა სახლებსა და დასასვენებელ პარკებში მოძრაობს და თან გასართობ მოწყობილობებს დაატარებს. ვცდილობთ, ბავშვებს ცხოვრება გავუხალისოთ,"** - ამბობს "მხიარული ავტობუსის" კოორდინატორი მიხეილ ფერელი. მისი აზრით, თანამედროვე ბავშვებმა, მით უმეტეს, ბავშვთა სახლების აღსაზრდელებმა, თამაში არ იციან, უფროსები კი მათთვის, როგორც წესი, ვერ იცლიან.

საბავშვო სეირნობის დროს სოციალურად დაუცველმა ბავშვებმა ატრაქციონებითაც ისიამოვნეს, ბილეთები კი უფასოდ დაურიგდათ. სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსულ ბავშვებს "მაკდონალდსის" ჰამბურგერებით გაუმასპინძლდნენ. კმაყოფილმა ბავშვებმა ასფალტი ფერადი ცარცებით მოხატეს (ნახატებს შორის ყველაზე უფრო საქართველოს დროშა და ყვითელსხივებიანი მზე ჭარბობდა).

ვაკის პარკის რამდენიმე კუთხეში, პარალელურად, სხვადასხვა სახის ღონისძიება გაიმართა. სოციალურად დაუცველ ბავშვებთან ერთად თოჯინური სპექტაკლით, ნონა გაფრინდაშვილთან შეჯიბრითა და ფოტოგამოფენით უამრავმა მშობელმაც ისიამოვნა.

**"ჭიათურიდან 24 ბავშვი ჩამოვიყვანეთ და ეს მათთვის ნამდვილი ზეიმი აღმოჩნდა. ჩვენს სარეაბილიტაციო ცენტრს "ჯეჯილი" ჰქვია. ბავშვებმა, სპექტაკლის გარდა, ხალხური სიმღერები მოამზადეს და ძალიან ღელავდნენ,"** - გვითხრა ცენტრის პედაგოგმა მაია თაბაგარმა.

"აი, ასეთი ტანმოვარჯიშე უნდა გამოვიდე," - გაგვიმხილა აკრობატიკის სკოლის მოწაფეთა ცქერისას 7 წლის თამუნა ჯორჯაძემ. მას ბაგირის გადაწევის კონკურსიც მოეწონა და მასობრივი კროსიც, თუმცა ამაში მონაწილეობა არ მიუღია.

პარკის შუაგულში გამომცემლობა "დიოგენეს" საბავშვო ლიტერატურით მოვაჭრე ახალგაზრდების განცხადებით, ნავაჭრის 15 პროცენტი მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლებს გადაეცემა.

"შემოგვიერთდით და იხალისეთ ჩვენთან ერთად," - ასეთი იყო გუშინდელი საზეიმო დღის დევიზი. ამ დევიზის გამოცოცხლების ალტერნატიული გზა მომღერალმა "ზუმბამაც" გამონახა. ბავშვებს წინასწარ დაურიგდათ სიმღერის ტექსტი, რომელიც დასკვნითი კონცერტის დროს ვაკის პარკში მყოფმა დიდმაც და პატარამაც ერთხმად დაამღერა. გალა კონცერტში ბავშვების ერთგული მეგობრები - ბასტი და ბუბუ მონაწილეობდნენ. შედარებით უფროსი თაობისთვის კი ქართული ესტრადის ვარსვლავებმა იმღერეს.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ბინის მესაკუთრეთა უფლება-მოვალეობები კანონით განისაზღვრება

პირველი გვერდიდან

ნახევარი წელია, ქალაქის მთავრობამ ამ პრობლემისთვის მოიცალა და ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების შექმნა დაიწყო. თუმცა, ქალაქში არსებული 22 ათასი კორპუსის მობინადრეთაგან ამ სიახლით მხოლოდ 500 კორპუსის მცხოვრები დაინტერესდა. ისინიც, ძირითადად, ისევ მთავრობამ აიძულა. ლიფტებისა და სახურავების შესაკეთებლად თბილისის ბიუჯეტიდან გამოყოფილი 2 მილიონ 300 ათასი ლარი მხოლოდ იმ კორპუსის მობინადრეებზე ნაწილდება, რომელ კორპუსშიც ამხანაგობაა შექმნილი.

მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის სამსახურმა მოსახლეობის გასააქტიურებლად უფრო ქმედითი ღონისძიებების გატარება გადაწყვიტა და ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ კანონპროექტის გარკვეული მონახაზი მოამზადა. "24 საათი" ამ კანონპროექტის პირველადი ვარიანტის შესახებ უკვე წერდა. სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახურის ვარიანტით, მოქალაქეთა გასააქტიურებლად ბინის მესაკუთრეთა შესახებ კანონში უნდა ჩაიდოს ადმინისტრაციული ღონისძიებები, რომელიც ბინის მესაკუთრეებს ამხანაგობების ჩამოყალიბებასა და კორპუსის მოვლა-პატრონობას აიძულებს. კანონპროექტის ავტორები იძულების მექანიზმების რამდენიმე ვარიანტს გვთავაზობენ: 1. რაიონის გამგეობაში უნდა შეიქმნას ორგანო, რომელსაც კორპუსის ურჩი მობინადრეების წინააღმდეგ სადამსჯელო ღონისძიებების (საჯარიმო ოქმის გამოწერა) გატარება შეეძლება; 2. ბინის მესაკუთრეთა კანონის დამრღვევს, ამხანაგობის გადაწყვეტილებით, საკუთარი ბინის გასხვისება აეკრძალოს. 3. დასჯის უკიდურესი ფორმა კი კანონის დამრღვევისთვის ბინის ჩამორთმევა იქნება.

მერიაში გამართული შეხვედრის დამსწრეთა ნაწილი აღნიშნული ადმინისტრაციული ღონისძიებების დაწესებას არ დაეთანხმა. როგორც ქალაქის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა განაცხადა, ამხანაგობების შექმნა სავალდებულო არ უნდა იყოს. **"ამას სჯობს, მოსახლეობა ისევ სახელმწიფო პროგრამების მეშვეობით დავაინტერესოთ. ანუ, ბიუჯეტიდან იმ კორპუსის მობინადრეებს დავეხმაროთ, სადაც ამხანაგობა იქნება შექმნილი,"** - ურჩია კანონპროექტის ავტორებს მერმა. ჭიაბერაშვილი არც ამხანაგობის წევრებისთვის საგადასახადო შეღავათების შემოღებას დაეთანხმა. კანონპროექტის ავტორების წინადადებით, კონდომინიუმების წევრები (მათ საკუთრებაში, კორპუსთან ერთან, კორპუსის ეზოც შედის) საგადასახადო შეღავათებით უნდა სარგებლობდნენ. მაგალითად, კორპუსის კუთვნილი მიწის ნაკვეთის გადასახადი არ გადაიხადონ და ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი (თუკი შემოსავალს კორპუსისა და ეზოს მოვლა-პატრონობას მოახმარენ) მთლიანად ამხანაგობას დარჩეს. ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, ეს შეიძლება კორუფციის წყარო გახდეს.

ასე რომ, მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის სამსახურს ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ კანონპროექტის საბოლოო ვარიანტზე სერიოზული მუშაობა მოუწევს.

# ქართველი მგზავრები სოჭიდან უკან დააბრუნეს

გემმა "მიხეილ სვეტლოვმა" 20 ქართველი მგზავრი სოჭიდან ფოთში დააბრუნა. საქართველოს 50 მოქალაქე გუშინწინ "კომეტით" სოჭის მიმართულებით გაემგზავრა, თუმცა რუსმა მესაზღვრეებმა 20 მგზავრის ვიზას ანულირება ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე გაუკეთეს.

როგორც მგზავრები აცხადებენ, რუსეთს საქართველოს მოქალაქეები არასასურველ პირებად მიაჩნია და 5-6 მგზავრის უკან მიბრუნების შემთხვევები საკმაოდ ხშირია, თუმცა 20 მგზავრის დაბრუნების შემთხვევა ჯერ არ ყოფილა.

ფოთში მოქმედი სასაზღვროგამშვები პუნქტის უფროსი უჩა ჭანტურია აცხადებს, რომ ფოთიდან "კომეტით" გასულ მგზავრებს ყველანაირი დოკუმენტაცია წესრიგში ჰქონდათ და მისთვის მომხდარის მიზეზები გაუგებარია.

აღსანიშნავია, რომ მგზავრებმა თითო ბილეთში 120 ლარი გადაიხადეს, რუსეთის ვიზაში კი - 120 დოლარი და მეტი, თუმცა არც ერთი უწყება მათთვის ზარალის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობას არ იღებს.

როგორც ფოთის ნავსადგურის სადისპეტჩეროში აცხადებენ, მათ არ აქვთ უფლება, მგზავრს, რომელსაც დოკუმენტაცია წესრიგში აქვს, "კომეტის" ბილეთი არ მიჰყიდონ. რაც შეეხება საკომპენსაციო თანხას, როგორც სადისპეტჩეროში აცხადებენ, ეს მათ კომპეტენციაში არ შედის. **ინტერ-პრესი**


ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

„მწვანე ტალღა“ თავისუფალი აზრის რადიო 107.4

„რადიო დილა“ ყოველ დღე კვირის გარდა 10-დან 12 საათამდე



1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე


# ვინ - ცესკო-ს წევრი, ვინ - "დემოკრატიის გარნირი"

პირველი გვერდიდან

როგორც "მემარჯვენეები" აცხადებენ, იგი მმართველ "ნაციონალურ მოძრაობასთან" ასოცირდება. თუმცა, სამართლიანობა ითხოვს, აღინიშნოს, რომ დასახელებულ კანდიდატთაგან იგი ერთადერთია, რომელსაც, არჩევნების გამართვის კუთხით, საკმაოდ სოლიდური გამოცდილება აქვს და შესანიშნავად იცნობს საარჩევნო კანონმდებლობას. თანაც, თავის დროზე, იგი საკმაოდ სერიოზულად იყო დაპირისპირებული ცენტრალური საარჩევნო კომისიის მოქკავშირისეულ ფრთასთან და თითქმის ყველა სადავო გადაწყვეტილებას სასამართლოში ასაჩივრებდა.

დანარჩენ კანდიდატებიდან სამს - ლუხუმ ბურჯალიანს, გურამ პაპიაშვილს და გურამ ჩაგალაშვილს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მუშაობის მცირეოდენი გამოცდილება აქვთ - სამივენი ცესკო-ს იურისტები იყვნენ.

სხვათა შორის, გუშინ, "მემარჯვენე ოპოზიციასთან" შეხვედრის დროს, არც ერთმა მათგანმა საქართველოში გამართულ არჩევნებს პოლიტიკური შეფასება არ მისცა. "მემარჯვენეების" საკმაოდ პროვოკაციულ კითხვას - ყალბდებოდა თუ არა ქვეყანაში არჩევნები? - სამივემ თითქმის იდენტური პასუხი გასცა. იურისტებმა განაცხადეს, რომ ისინი საქმის კურსში არ არიან და მათი საქმიანობა მხოლოდ იურიდიული ნიუანსებით შემოიფარგლებოდა.

პარლამენტში ამბობენ, რომ საპარლამენტო უმრავლესობამ უკვე შესანიშნავად იცის, ვის უნდა მისცეს ხმა და თორმეტიდან ექვსი უკვე შერჩეულია. ასევე ცნობილია, რომ კენჭისყრის დროს გია ქავთარაძის კანდიდატურა არ ჩავარდება. სწორედ ამიტომ იყო, რომ გუშინ "მემარჯვენე" მამუკა კაციტაძემ საჯაროდ განაცხადა - ცესკო-ს ექვსი წევრი უკვე ჰყავს და დანარჩენი კანდიდატურები ხელისუფლებას მხოლოდ დემოკრატიის გარნირად სჭირდებაო.



ოპოზიცია მიიჩნევს, რომ საქართველო მიიღებს ერთპარტიულ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

საკმაოდ ბუნდოვანი დარჩა კანდიდატთა შერჩევის პროცესი. განაცხადი 400-ზე მეტმა ადამიანმა წარადგინა. როგორც ამბობენ, მათგან ათი - პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა გიგი უგულავამ შეარჩია, ერთი - გიორგი არველაძემ და ერთიც - ზურაბ ნოღაიდელმა (სხვათა შორის, ერთ-ერთი კანდიდატი - ემზარ ფაჟავა სამეგრელო-ზემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილეა და ამ პოსტზე გიგი უგულავას გუბერნატორობის დროსაც მუშაობდა).

თავის მხრივ, ცესკო-ს თავმჯდომარეობის კანდიდატი გია ქავთარაძე აცხადებს, რომ **"ზეწოლა იქნება არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ იმ პოლიტიკური ძალების მხრიდანაც, ვისაც ხელისუფლებაში მოსვლა სურს."**

**"ჩემი გამოცდილება და წარსული - ეს არის ჩემი გარანტია, მაგრამ ვფიქრობ, რომ არჩევნების ობიექტურად ჩატარებაზე პასუხისმგებლობა კომისიის თითოეულმა წევრმა უნდა აიღოს და გამოიჩინოს ინდივიდუალური მდგრადობა,"** - განუცხადა გუშინ ქავთარაძემ "მემარჯვენეებს." ასეთივე პასუხი გაისმა ცესკო-ს წევრობის კანდიდატების მხრიდანაც.

ოპოზიცია შეუვალია - მისი წარმომადგენლები კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებენ. "კონსერვატორები" აცხადებენ, რომ ისინი მთლიანად ემიჯნებიან ამ პროცედურას, რადგან **"პრეზიდენტმა კანონის რამდენიმე მოთხოვნა უგულებელყო და პარლამენტს არაობიექტურად შერჩეული კანდიდატურები წარუდგინა."** მეტიც, კობა დავითაშვილმა გუშინ განაცხადა, რომ პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი კანდიდატურები შეიძლება ორ კატეგორიად დაიყოს: კანდიდატები, რომელთა ობიექტურობაში და მიუკერძოებლობაში "კონსერვატორებს" ეჭვი ეპარებათ და კანდიდატები, რომლებმაც საქმე იციან, მაგრამ დამოუკიდებლობის ნაკლები ხარისხი აქვთ. მისივე თქმით, თუ პარლამენტი პრეზიდენტის მიერ წარდგენილ ცესკო-ს შემადგენლობას დაამტკიცებს, **"საქართველო მიიღებს ერთპარტიულ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომელიც იმთავითვე არ იქნება დამოუკიდებელი."**

რაც შეეხება ფრაქცია "მაჟორიტარებს", დეპუტატებმა თავისუფალი კენჭისყრა გამოაცხადეს. თუმცა, წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ისინი საპარლამენტო უმრავლესობისთვის სასურველ კანდიდატებს მისცემენ ხმას.

# ევროსაბჭო საქართველოს თვითმმართველობის პრობლემებზე მიუთითებს

პირველი გვერდიდან

**"საქართველოში მიმდინარე მოვლენები, ჩემდა სასიხარულოდ, აჩვენებს, რომ ქვეყანაში დემოკრატია ძლიერდება,"** - აღნიშნავს ევროსაბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის პრეზიდენტი ჯოვანი დი სტასი.

კონგრესის გახსნაზე წარმოთქმულ სიტყვაში მან განსაკუთრებული აქცენტი საქართველოზე გაკეთდა.

**"საქართველო დღესდღეობით ჩვენი ყურადღების ცენტრშია. ამის მიზეზი კი არის ის, რომ ეს ქვეყანა სავსეა პრობლემებით, თუმცა და ამავდროულად სავსეა შესაძლებლობებით,"** - მოგვიანებით განმარტა მან "24 საათთან" საუბრისას.

**"ქვეყნის ხელისუფლება მოსახლეობას დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებას დაჰპირდა და ეს აუცილებლად უნდა გაკეთდეს, მოსახლეობას იმედი და მოლოდინი არ უნდა გაუცრუვდეს,"** - ხაზს უსვამს ევროსაბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის პრეზიდენტი. მოსახლეობისთვის დაპირების შესასრულებლად პირველ ნაბიჯად კი მას ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობაზე და განვითარებაზე ზრუნვა მიაჩნია.

**"ეკონომიკური განვითარება არის პირველი, რაც საქართველოს მოსახელობას ესაჭიროება და რის უზრუნველყოფასაც მას ქვეყნის მთავრობა დაჰპირდა,"** - აღნიშნავს ჯოვანი დი სტასი და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ხელისუფლების დეცენტრალიზებას.

კონგრესის პრეზიდენტი თავს ვალდებულად თვლის, ხაზგასმით აღნიშნოს, რომ საქართველო დემოკრატიული განვითარების გზის მხოლოდ დასაწყისში დგას.

**"საქართველოში მთავრობის შეცვლის შემდეგ ყველაფერი არ შეცვლილა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამჟამად ქვეყანა დემოკრატიის განვითარების გზაზე დგას. ეს გზა არ არის ადვილი და მისი გავლა მოკლე დროში შეუძლებელია.**

**ჩვენ ვმუშაობთ და მზად ვართ, საქართველოს მთავრობას ყველანაირად დავეხმაროთ, თუმცა მთავარი გასაკეთებელი მაინც ხელისუფლების ხელშია.**

**უნდა იყოს სურვილი და რეალურად გადადგმული ნაბიჯები. უნდა ითქვას, რა უნდა გაკეთებულიყო, რა გაკეთდა და რა უნდა გაკეთდეს,"** - მიუთითებს ჯოვანი დი სტასი "24 საათთან" საუბრისას.

რაც შეეხება საქართველოს დელეგაციას, კონგრესის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ბარამიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ **"დღეს საქართველო ძირეულ ტრანსფორმაციას განიცდის და ქვეყანაში ყველა მიმართულებით რეფორმები მიმდინარეობს."**

**"ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის დამკვიდრება და განვითარება საკვანძო მიმართულებაა დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში,"** - აღნიშნა მან.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებისთვის საქართველოს ხელისუფლების მიერ 2005 წელს გადადგმულ ნაბიჯებზეც ისაუბრა. საქართველოს პარლამენტმა რატიფიცირება გაუკეთა ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ ქარტიას; დეცენტრალიზაციის უზრუნველსაყოფად, ჩამოაყალიბა ადგილობრივი თვითმმართველობების ეროვნული ასოციაცია, რომელიც ამ საკითხზე აქტიურად მუშაობს; დაინიშნა კონგრესში ეროვნული დელეგაცია; საქართველოს პარლამენტმა მიიღო ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების შესახებ კანონი, რომელიც ამჟამად განხორციელების პროცესშია; მომზადდა ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტი, რომელიც პარლამენტში განსახილველად არის მზად.

ამასთან, გიორგი ბარამიძემ იმ ასპექტებზეც ისაუბრა, რომლებიც 2006 წელს დანიშნულ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე უნდა დასრულდეს. მათ შორის არის საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის რეფორმის დაგეგმვა და დანერგვა.

**"საქართველოს ხელისუფლებამ ოფიციალურად გამოაცხადა დეცენტრალიზაცია, როგორც მთავრობის პრიორიტეტი და მოითხოვა სახელმწიფო კომისიას მუშაობა დაესრულებინა 2005 წლის სექტემბრამდე,"** - ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს პარლამენტის თვითმმართველობის, რეგიონული პოლიტიკის და მთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვანო ხუხუნეიშვილმა და მიუთითა, რომ მიმდინარე წლის ბოლოსთვის საქართველოს მზად ექნება შემუშავებული და ოფიციალურად მიღებული დეცენტრალიზაციის სტრატეგია და მისი განხორციელება 2006 წლის იანვრიდან დაიწყება.

შენიშვნები კი კონგრესის დელეგატებისგან საქართველოში დაგეგმილ თვითმმართველობის არჩევნებს და მისთვის სამართლებრივ მზაობას ეხებოდა.

**"ჩვენ კარგად უნდა ვიცოდეთ საქართველოს ხელისუფლების ინიციატივები და ის, თუ რა იგეგმება, რათა ხელი შევუწყოთ მთავრობას პრობლემების მოგვარებაში,"** - აღნიშნა საქართველოზე რეზოლუციის ერთ-ერთმა ავტორმა იან მიკალეფმა და მიუთითა, რომ აუცილებელია ევოპული ქარტიის პრაქტიკული განხორციელება და, რაც მთავარია, მერების არჩევითობის უზრუნველყოფა.

*სტრასბურგში გამგზავრებაში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით ავიაკომპანია "Austrian Airlines".*

# აღდგენილმა ეპარქიის საბჭომ აფხაზეთის მღვდელმსახურებს შორის შერიგება დააფიქსირა

პირველი გვერდიდან

ამ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ კრების მოწვევამდე აუცილებელია ეპარქიის საბჭოს აღდგენა. მისი სტრუქტურა უნიკალურია. მასში არ არის ერთპიროვნული ხელმძღვანელობა. საბჭოს ორი თანათავმჯდომარე ჰყავს - მამა ბესარიონი და ახალი ათონის მონასტრის წინამძღვარი მამა ანდრეი. ანუ, კონფლიქტი ეკლესიაში "ორხელისუფლებიანობის" დანერგვით მოგვარდა.

აფხაზეთის ეკლესიაში მომხდარი შერიგება ძალიან ჰგავს გასული წლის შემოდგომაზე პოლიტიკური კრიზისის მოგვარებას. საკანონმდებლო წესით, მაშინაც ორხელისუფლებიანობა გაფორმდა. ოღონდ, თუ ბაგაფშსა და ხაჯიმბას შორის ფუნქციები განაწილებულია 60/40-ზე, ეკლესიაში თანაფარდობა 50/50-ზეა. ეპარქიის საბჭომ უკვე მიიღო რიგი გადაწყვეტილებები. ისინი, ძირითადად, აფხაზეთში ეკლესიებისა და მონასტრების აღდგენას შეეხება. ამასთან, აშენდება მონასტრები დრანდაში, მოქვში. მიღებული იქნა გადაწყვეტილება კრიზისის პერიოდში ეპარქიის მიერ მიღებული ყველა დოკუმენტისა და განკარგულების გაუქმების თაობაზეც. ამასთან, მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის წესდებაზე დაყრდნობით, გაკეთდა განცხადება პოლიტიკურ საქმიანობაში მღვდელმსახურთა მონაწილეობის დაუშვებლობის შესახებ.

ეკლესიაში კონფლიქტის მოგვარებას საერო ხელისუფლება კმაყოფილებით შეხვდა. სამღვდელოებას შეხვდა პრეზიდენტი ბაგაფში, რომელმაც ეკლესიის მსახურებს კრიზისის წარმატებით დაძლევა მიულოცა. თუმცა, ბაგაფში შეშფოთებული იყო ზოგიერთი ბერის გამო, რომლებიც აფხაზეთის მთებში მოღვაწეობენ. პრეზიდენტი რატომღაც მიიჩნევდა, რომ მართლმადიდებელ ეკლესიასთან მათ საერთო არაფერი აქვთ და სექტანტებს წარმოადგენენ. აღმოჩნდა, რომ ბაგაფში სრულყოფილ ინფორმაციას არ ფლობს. მდგომარეობაში იგი ილორის ტაძრის წინამძღვარმა მამა სერგიმ გაარკვია. "ისინი ჩვენი ძმები არიან. მე მათ კარგად ვიცნობ. ისინი ჩვენთვის ლოცულობენ," - აღნიშნა მან.

## მოკლედ

### საქართველოში აშშ-ს ახალი ელჩი სენატმა ერთხმად დაამტკიცა

აშშ-ს სენატმა ევროპისა და ევრაზიის საკითხებში სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ჯონ ტეფტი საქართველოში ამერიკის ახალ ელჩად ერთხმად დაამტკიცა.

ტეფტის დამტკიცება ზედა პალატის ერთკვირიანი საზაფხულო არდადეგების დაწყებიდან ერთი დღით ადრე მოხდა. წინა კვირას ჯონ ტეფტმა სენატის საკომიტეტო მოსმენაზე განაცხადა, რომ საქართველომ "ვარდების რევოლუციის" შეუქცევადობისთვის ყველაფერი უნდა იღონოს.

"საქართველოს ხელისუფლებამ კანონის უზენაესობისთვის და დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებისთვის ყველაფერი უნდა იღონოს. ეს არის ნომერ პირველი დავალება," - აცხადებდა სენატის კომიტეტში ჯონ ტეფტი.

ის ერაყში ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალურ ომში საქართველოს მთავარ მოკავშირეს უწოდებს, ამიტომ, დიპლომატი აშშ-ს ხელისუფლებას მოუწოდებს, ყველანაირად დაეხმაროს საქართველოს NATO-სა და ევროკავშირში გაწევრიანებაში.

"მსურს, საქართველოს დავეხმარო, რათა წარსულის პრობლემები დაივიწყოს. საქართველოსთვის და რუსეთისთვის მთავარია ახალი, კონსტიტუციური ურთიერთობის დამყარება, რომელიც ურთიერთპატივისცემაზე, ეკონომიკურ ინტერესებსა და ერთობლივ უსაფრთხოებაზე იქნება დამყარებული," - აცხადებს ახალი ელჩი.

ჯონ ტეფტის თქმით, საქართველო წარმატებას ვერ მიაღწევს, თუკი თავის ტერიტორიებს ვერ გააკონტროლებს და ვერ დაიცავს როგორც სახელმწიფო საზღვრებს, ისე თავის მოქალაქეებს.

ტეფტი იშველიებს თბილისში ვიზიტის დროს აშშ-ს პრეზიდენტის სიტყვებს, რომ სეპარატისტული კონფლიქტების მოგვარების დრო დადგა.

"აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება ერთადერთი გამოსავალია და დღევანდელი სტატუსკვო არ უნდა შენარჩუნდეს," - აცხადებს ჯონ ტეფტი.

ახალმა ელჩმა კარგად იცის, რომ თბილისში კონფლიქტის ზონებიდან ათობით ათასი დევნილია, რომლებიც მეტად რთულ პირობებში ცხოვრობენ. ეს ფაქტორი, ტეფტის თქმით, ქართულ ეკონომიკას მეტად მძიმედ აწვება.

"სეპარატისტული კონფლიქტების მოგვარება პირდაპირ უკავშირდება იმ ეკონომიკურ გამოწვევებს, რომლებსაც პრეზიდენტი სააკაშვილი და პრემიერ-მინისტრი ნოღაიდელი აწყდებიან," - აცხადებს ჯონ ტეფტი. **მედიანიუსი**

### პრეზიდენტმა ახალგაზრდული ბანაკები პირადად გახსნა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ ბაღდათის რაიონში ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული საზაფხულო ბანაკი "პატრიოტი" საზეიმოდ გახსნა.

ვარციხის სამთავრობო რეზიდენციის ეზოში, ღია ცის ქვეშ, 300 ახალგაზრდა კარვებში 10 დღეს დაჰყოფს. სულ, ვარციხეში ზაფხულის განმავლობაში 3500 ახალგაზრდა დაისვენებს.

მიხეილ სააკაშვილი კმაყოფილი დარჩა ბანაკში ახალგაზრდებისთვის შექმნილი პირობებით.

მოზარდებმა პრეზიდენტს ბანაკის უნიფორმა - ნარინჯისფერი მაისური და ლურჯი კეპი აჩუქეს, რომელიც სააკაშვილმა იქვე მოირგო.

ექვს რაზმად დაყოფილმა ბანაკმა პრეზიდენტს პატაკი ჩააბარა, რის შემდეგაც მიხეილ სააკაშვილმა თითოეულ რაზმთან სამახსოვრო ფოტო გადაიღო.

პრეზიდენტი ვარციხიდან ბაკურიანში გაემგზავრა, სადაც ანალოგიური ბანაკი გაიხსნა.

სასტუმრო "მზიური ველის" ტერიტორიაზე გაშლილი ფერადი კარვები მიხეილ სააკაშვილმა პირადად მოინახულა და აქ შეკრებილ მოზარდებს მხიარული არდადეგების გატარება უსურვა.

ბაკურიანი ერთ-ერთია იმ ხუთ კურორტს შორის, სადაც წელს ზაფხულის განმავლობაში 16-დან 20 წლამდე ასაკის 15 ათასამდე მოსწავლე საველე პირობებში დაისვენებს.

ბაკურიანის ბანაკის ხელმძღვანელის სულხან სიბაშვილის განცხადებით, მომავალი პატრიოტებისთვის მზად არის სპორტული მოედნები, დისკო-კლუბები, კინოთეატრები და უამრავი სხვა რამ, "რაც კი შეიძლება, ახალგაზრდებმა ბანაკში ინატრონ".

*ინტერ-პრესი*

### ნატო-ს გენერალური მდივანი რუსულ-ქართულ შეთანხმებას მიესალმება

ნატო-ს გენერალური მდივანი იააპ დე ჰოოპ სხეფერი საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის პირობებისა და ვადების შესახებ საქართველო-რუსეთის შეთანხმების ხელმოწერას დადებითად აფასებს.

"ამ სადავო საკითხების დარეგულირებისას, ორივე მხარე ურთიერთპატივისცემასა და მრავალმხრივ ვალდებულებებზე დაყრდნობით თანამშრომლობდა," - აცხადებს ნატო-ს გენერალური მდივანი.

იგი მიიჩნევს, რომ რუსულ-ქართული დეკლარაცია წინ გადადგმული ნაბიჯია ვალდებულებების შესრულების თვალსაზრისით, რომელიც მხარეებმა 1999 წელს ეუთოს სტამბულის სამიტზე იკისრეს. დეკლარაციის მიზანია, საკითხი გადაწყდეს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ შეთანხმების მე-4 მუხლის თანახმად, რომელიც გულისხმობს იმ სახელმწიფოს თანხმობას უცხოურ შეიარაღებული ძალების ყოფნის შესახებ, რომლის ტერიტორიაზეც ეს ჯარები იმყოფებიან.

"იმედი მაქვს, რომ გადაუჭრელი საკითხები, რომელიც რუსული სამხედრო პერსონალის და აღჭურვილობის მოლდოვადან გამოყვანას შეეხება და რომელიც ასევე ფიგურირებს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ შეთანხმებაში, რაც შეიძლება სწრაფად გადაიჭრება," - აღნიშნა იააპ დე ჰოოპ სხეფერმა.

*მედიანიუსი*

# "ხოდორკოვსკისთვის გამოტანილი განაჩენი რუსეთის რეპუტაციას ულახავს"

**"პრეზიდენტ პუტინთან საუბრისას მე გამოვხატე ჩემი შეშფოთება - მას ვუთხარი, რომ ადამიანი უდანაშაულოა მანამ, სანამ მისი დანაშაული არ იქნება დადასტურებული. ჩვენ, ადამიანებს, რომლებიც ჩვენს ადმინისტრაციას შეადგენენ, მიგვაჩნია, რომ ის (ხოდორკოვსკი) მანამდე გამოცხადდა დამნაშავედ, სანამ სასამართლო დაიწყებოდა"**, - ასეთი კომენტარი გააკეთა ხოდორკოვსკის საქმესთან დაკავშირებით ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა.

**"იუკოსის" საქმე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს რუსეთის მიერ საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე აღებულ იმ ვალდებულებებს, რომლითაც ხელმძღვანელობენ თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყნები"**, - ასეთი განცხადება გააკეთა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა რიჩარდ ბაუჩერმა, რომლის თქმითაც, ამ **"საქმეზე გამოტანილი ვერდიქტი რუსეთის რეპუტაციას ლახავს და კარგავს საზოგადოების ნდობას სამართლებრივი და იურიდიული ინსტიტუტებისადმი"**. ბაუჩერისვე განცხადებით, "იუკოსის" საქმემ ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა. **"ჩვენ უკვე გამოვხატეთ შეშფოთება სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. ზოგიერთი ამერიკელი ექსპერტის აზრი, რუსეთის იზოლაციის შესახებ, სასიკეთოს არაფერს მოიტანს"**, - განაცხადა ბაუჩერმა.

საქმე ისაა, რომ რუსეთის "დიდი რვიანიდან" გარიცხვის შესახებ განცხადება ამერიკელმა სენატორმა ომას ლანტოსმა მოითხოვა. ხოდორკოვსკისთვის განაჩენის გამოტანის შემდეგ მან განაცხადა, რომ კონგრესში მისი მოთხოვნის შესახებ პროექტს შეიტანს. **"ამ განაჩენის შემდეგ ჩვენ არ დავუშვებთ, რუსეთი დემოკრატიულ ქვეყნად მივიჩნიოთ"**, - განაცხადა კონგრესმენმა.

რიჩარდ ბაუჩერი კი არ ეთანხმება მოსაზრებას რუსეთსა და აშშ-ს შორის საქმიანი ურთიერთობების ჩაშლის შესახებ: **"მე არ ვფიქრობ, რომ რუსეთთან პოზიტიური თანამშრომლობა უნდა ჩაიშალოს, მაგრამ რუსეთი აუცილებლად უნდა დაფიქრდეს მისი ქმედებების შედეგზე, საერთაშორისო ურთიერთობებსა და საინვესტიციო სფეროში,** - ასეთია ბაუჩერის აზრი. მან ხოდორკოვსკისთვის გამოტანილი განაჩენი სამართლიანად არ ცნო და განაცხადა, - **"არ შემიძლია, განაჩენი სამართლიანად მივიჩნიო, თუმცა არც ის შემიძლია ამ ეტაპზე შევაფასო რუსეთის იურიდიული სისტემა; განაჩენი გასაჩივრდება და ვნახოთ, როგორ გადაწყვეტილებას გამოიტანს სააპელაციო სასამართლო,** - განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა და დაამატა, - **ძალიან დიდი ყურადღებით ვადევნებ თვალს, თუ როგორ გადაწყვეტს ამ სიტუაციას სააპელაციო სასამართლო".**

# ზურაბ ჟვანიას ძმა გიგა ბოკერიას ტელედებატებში იწვევს

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას ძმა გოგა ჟვანია დეპუტატ გიგა ბოკერიას ტელედებატებში იწვევს. ეს სურვილი გოგა ჟვანიას გიგა ბოკერიას მიერ ერთ-ერთი ტელეარხით გაკეთებული განცხადებების შემდეგ გაუჩნდა.

როგორც გარდაცვლილი პრემიერის ძმა აცხადებს, ის აპირებს, თხოვნით მიმართოს რომელიმე ტელევიზიას, რათა გიგა ბოკერიას პირდაპირ ეთერში შეახვედრონ.

**"ბოკერია FBI-ის დასკვნითი დოკუმენტის თავისებურ ინტერპრეტირებას ცდილობს. ამ დოკუმენტში ძალიან ნათლად და კონკრეტულად წერია ყველაფერი, მოსწონს ეს თუ არა ბოკერიას, უნდა დაჯერება თუ - არა. სხვა თემაზე აღარ ვსაუბრობ. ძალიან მნიშვნელოვანია FBI-ის დოკუმენტი, რომლის თანახმად, ოთახში, სადაც გარდაცვლილი ზურაბ ჟვანია აღმოაჩინეს, სასიკვდილო გარემო არ ყოფილა",** - აცხადებს ზურაბ ჟვანიას ძმა.

რაც შეეხება მკვლელობის დამკვეთს, როგორც გოგა ჟვანია ამბობს, მას გარკვეული ვარაუდები აქვს. "ვარაუდების დონეზე საუბარი არასერიოზულად მიმაჩნია. მე მხოლოდ ფაქტებზე დაყრდნობით ვსაუბრობ", - აცხადებს ყოფილი პრემიერის ძმა.

*ინტერ-პრესი*


კორპორაცია განვითარების ალტერნატივები (DAI) ეძებს შესაბამის კანდიდატურებს ა.შ.შ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) სამხრეთ კავკასიაში წყლის რესურსების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის მომავალი პროგრამისათვის. აუცილებელია თითოეულ კანდიდატს ჰქონდეს 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება. აგრეთვე სასურველია არასამთავრობო ორგანიზაციების მართვისა და განვითარების გამოცდილებაც, ისევე როგორც ა.შ.შ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID) და/ან სხვა დონორ ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება.

1. საქართველოს პროექტის დირექტორი: ხარისხი გარემოს დაცვის, საინჟინრო, ეკონომიკის, წყლის რესურსების მართვის, პოლიტიკის ან სხვა შესაბამის სფეროში. აუცილებელია ინგლისური ენის ზედმიწევნით ცოდნა.
2. ჰიდროლოგი: ხარისხი საინჟინრო, ჰიდროლოგიის ან სხვა შესაბამის სფეროში. სასურველია გამოცდილება მდინარის აუზის დაგეგმვის განხრით.
3. სოციოლოგი: ხარისხი ეკონომიკის, საერთაშორისო ურთიერთობების, პოლიტიკის ან სხვა შესაბამის სფეროში. სასურველია გამოცდილება სოფლის მეურნეობის განვითარების განხრით.

გთხოვთ გამოაგზავნოთ თქვენი ავტობიოგრაფია (CV) და თანდართული წერილი (cover letter) შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: sctb@dai.com



**ქალაქ თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური აცხადებს კონკურსს**

“თეატრალური ხელვნების განვითარების პროგრამის” ფარგლებში.
განცხადების მიღება იწყება ამა წლის 3 ივნისიდან.
განცხადების მიღების ბოლო ვადაა 17 ივნისი.
დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კუტურის საქალაქო სამსახურში მისამართზე:
**ქ. თბილისი, ხეთაგუროვის N2.**
**ტელ: 94-00-04.**


# სპეცოპერაცია სატელევიზიო სიუჟეტის საპასუხოდ

*გუშინ გამთენიისას შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ფონიჭალაში ჩატარებული და შთამბეჭდავი წარმატებით დასრულებული სპეცოპერაცია, ნარკოტიკების რეალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის გარდა, თითქოს კიდევ ერთ დატვირთვასაც ატარებდა - ერთგვარად, გასულ კვირას "რუსთავი 2"-ის ეთერით გასული სიუჟეტის საპასუხოდ გათამაშებულ არცოდნის იმიტაციას ჰგავდა, რითიც სამართალდამცველებმა ამავე სიუჟეტში გახმოვანებული ბრალდების უარყოფა სცადეს.*



*შინაგან საქმეთა სამინისტრო მალე აღკვეთს საქართველოში ნარკოტიკების შემოტანას და რეალიზაციას.*

პოლიციამ, თითქოს, მართლაც ჟურნალისტების მიერ გაკეთებული სიუჟეტიდან შეიტყო და, როგორც კი შეიტყო, მაშინვე შესაბამის ზომებს მიმართა - სწორედ ასე გამოიყურებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალებით ფონიჭალაში ჩატარებული სპეცოპერაცია ტელეეთერით კვირას გასული სიუჟეტიდან ორი დღის შემდეგ. ამ სიუჟეტში ხომ საუბარი იყო თბილისის მახლობლად მდებარე სოფელ ფონიჭალაში ნარკოტიკებით გამალებულ ვაჭრობაზე და ისიც ითქვა, რომ შეუძლებელია, პოლიციისთვის ამის შესახებ არაფერი იყოს ცნობილი. ახლა იმის შესახებ მსჯელობა, რა უფრო სირცხვილია - როცა სამართალდამცველები წლების მანძილზე საქვეყნოდ ცნობილ ფაქტს ტელეეთერიდან იგებენ, თუ ის, რომ სატელევიზიო სიუჟეტის გაშვებამდე ამაზე რეაგირებას არ ახდენენ - შესაძლოა, ზედმეტიც კი იყოს. ფაქტია, რომ ფონიჭალაში ნარკოტიკებით ვაჭრობის შესახებ სიუჟეტის გასვლიდან ორი დღის შემდეგ იმავე ფონიჭალაში სპეცოპერაცია ჩატარდა, დიდი რაოდენობით ნარკოტიკი და ფულიც ამოიღეს და რამდენიმე ნარკოდილერიც დააკავეს. სპეცოპერაციას თავად შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი ხელმძღვანელობდა. გუშინვე მან ფონიჭალის სპეცოპერაციას სპეციალური ბრიფინგი მიუძღვნა და სპეცოპერაციის დეტალებზეც ისაუბრა.

მერაბიშვილის თქმით, სპეცოპერაციის დროს გამოყენებული იყო სამინისტროს და ქალაქ თბილისის პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმების, შინაგანი ჯარის, "შავნაბადას" ქვედანაყოფის წარმომადგენლები - მთლიანობაში, სამართალდამცველი ორგანოების ორასამდე თანამშრომელი. როგორც მინისტრმა განმარტა, ამ რაოდენობის დანაყოფის გამოყენება იმიტომ გახდა საჭირო, რომ ფონიჭალა დიდი სოფელია და მოსახლეობისგან მოსალოდნელი იყო შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა. თუმცა:

**"საეჭვო ობიექტების ჩხრეკა და ადამიანების დაკავება, საბედნიეროდ, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე მოხდა. არ არიან დაზარალებულები და დაზიანებულები"**, - აცხადებს მერაბიშვილი.

მინისტრის ინფორმაციით, სპეცოპერაცია ერთდროულად 11 საეჭვო საცხოვრებელ ბინაში ჩატარდა. შედეგად, ამოღებულია დიდი რაოდენობით გასაყიდად გამზადებული ნარკოტიკული საშუალებები. ეჭვმიტანილთა ოჯახებში აღმოჩენილი თანხა 100 ათას დოლარს უახლოვდება და პოლიცია ეჭვობს, რომ აღნიშნული თანხა ნარკორეალიზების შედეგად არის მიღებული.

გარდა ამისა, პოლიციამ ჩხრეკისას თითოეულ საცხოვრებელ სახლში ამოიღო დიდი რაოდენობით მოპარული მობილური ტელეფონები, სხვადასხვა სახის ვიდეოაპარატურა, ტელევიზორები და ავტომანქანები.

**"ჩვენი ვარაუდით, ფონიჭალა ბოლო ხანებში ნარკოტიკების "სავაჭრო ცენტრს" წარმოადგენდა. ამ ნივთებს კი თბილისელი ნარკომანები ფონიჭალელებს ნარკოტიკებში უცვლიდნენ"**, - თქვა გუშინ მინისტრმა.

მისივე თქმით, მსგავსი სპეცოპერაციებით შინაგან საქმეთა სამინისტრო მალე აღკვეთს საქართველოში ნარკოტიკების შემოტანას და რეალიზაციას.

**"ჩვენ კვლავაც გავაგრძელებთ ასეთი ოპერაციების განხორციელებას ამ რაიონშიც და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, რათა მოისპოს ნარკოტიკების სავაჭრო ბუნაგები და საბოლოოდ აღიკვეთოს ნარკოტიკებით ვაჭრობა საქართველოში"**, - განაცხადა მინისტრმა.

*24 საათი*

# პარლამენტარის ბინის გაქურდვამ ექვსი დანაშაული გახსნა

*სიღნაღელმა სამართალდამცველებმა, მოსახლეობის დახმარებით, რამდენიმე დღის წინ, ქურდობის ბრალდებით, ვაქირში მცხოვრები, ადრე ნასამართლევი, 29 წლის ვლადიმერ ინაშვილი დააკავეს, რომლის აღიარებამაც ექვს დანაშაულს მოჰფინა ნათელი. როგორც აღმოჩნდა, დასახელებულმა პიროვნებამ გაქურდა სოფელ ვაქირში მაჟორიტარი დეპუტატის ნუგზარ შოშიაშვილის მამაპაპისეული სახლი და ილო მოსაშვილის სახლ-მუზეუმი.*

*ვლადიმერ ინაშვილი არასრულწლოვანი იყო, როცა პირველად განსასჯელის სკამზე მოხვდა. ხოლო მეორედ, როგორც გამომძიებელი ვანო ღვედაშვილი ამბობს, იგი პოლიციამ მამის დაჭრის გამო დააკავა. ინაშვილმა ციხეში თავისი სიცოცხლის, თითქმის, ნახევარი გაატარა და თავისუფლება რამდენიმე თვის წინ ეღირსა.*

ზვიად რუაძე
*კახეთი*

ჩადენილ დანაშაულებებს გამომძიებელი ღვედაშვილი იმით ხსნის, რომ ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ინაშვილი კონტროლს კარგავს. თუმცა, ვლადიმერ ინაშვილის ფსიქიკური მდგომარეობა ეჭვს არ იწვევს და მისი შემოწმება სამართალდამცველებს საჭიროდ არ მიუჩნევიათ.

რამდენიმე დღის წინ ნასვამ მდგომარეობაში მყოფი, ველოსიპედით მოსიარულე ვლადიმერ ინაშვილი თანასოფლელებმა არაერთხელ შენიშნეს. როგორც თვითმხილველები ამბობენ, მას ველოსიპედზე ყუთები ელაგა და სადღაც გადაჰქონდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ინაშვილი მოპარული ველოსიპედით ნაქურდალ საქონელს სამალავში ეზიდებოდა.

ქალბატონმა ელზა ყოჩიაშვილმა კი სამართალდამცველებს აცნობა, რომ რამდენიმე დღის წინ დაუდგენელმა პირებმა მისი მეთვალყურეობის ქვეშ არსებული სიღნაღის მაჟორიტარი დეპუტატის ნუგზარ შოშიაშვილის მამა-პაპისეული ბინა გაქურდეს. პოლიციამ ვლადიმერ ინაშვილი მომხდარიდან მეორე დღეს სწორედ იმ დროს დააკავა, როცა მან მოპარული საქონლის სარეალიზაციოდ წასაღებად სამალავთან ტაქსი მიიყვანა.

**"დანაშაულში ეჭვმიტანილი ნაქურდალს იქვე მეზობლად მდებარე ძველ ბინაში ინახავდა. აღსანიშნავია, რომ სამალავში აღმოჩნდა მათი მეზობლის ნუნუ ბეიტრიშვილის ბინიდან წაღებული საყოფაცხოვრებო ნივთებიც. ბეიტრიშვილების კუთვნილება იყო, აგრეთვე, ის ველოსიპედი, რომლითაც ინაშვილი მოძრაობდა"**, - განაცახადა გამომძიებელმა.

ვლადიმერ ინაშვილმა უკვე აღიარა ჩადენილი დანაშაული. შოშიაშვილების და ბეიტრიშვილების სახლიდან მოპარული ნივთები ამოღებულია.

გამოძიების მიერ მოკვლეული მასალებიდნ ირკვევა, რომ ვლადიმერ ინაშვილის დაკავებით, სამართალდამცავებმა ექვსი სხვა ფაქტი გახსნეს. შსს კრიმინალური დეპარტამენტის ქურდობის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების თანამშრომლების და სიღნაღის შს რაიგანყოფილების მიერ გატარებული ოპერატიული სამოძიებო ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ 11-იდან 21 მაისამდე შუალედში ვლადიმერ ინაშვილმა ვაქირში გაქურდა ნოდარ დემეტრაშვილის მშობლებისეული ბინა. ინაშვილის მითითებით, ნაპოვნი და ამოღებულია ნაქურდალი ნივთები. დაკავებულმა, აგრეთვე, აღიარა საქობოში ლია ჯიბლაშვილისა და ვაქირში ფირუზ ერიაშვილის ბინის ქურდობა. ამასთან, პოლიციის ინფორმაციის თანახმად, ვლადიმერ ინაშვილის მიერაა გაქურდული ილო მოსაშვილის სახლ-მუზეუმიც, საიდანაც გატანილია ალუმინის ნივთებიც. ინაშვილის განცხადებით, მან ნივთები თბილისში ფერად ლითონების ჩამბარებელ პუნქტში მიიტანა.

საგულისხმოა, რომ ბოლო დროს სოფელ ვაქირში ქურდობის არაერთი ფაქტი დაფიქსირდა. თუმცა, 29 წლის ვლადიმერ ინაშვილის დაკავებამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ექვსი საქმე გახსნა. სოფელში კი ხუმრობენ, - ინაშვილს დეპუტატის ბინა რომ არ "გაეტანა", ყველა საქმე ასე უცებ არ "გაიასნდებოდაო".


FINCA International, based in Washington/USA, is a rapidly expanding network of 22 microfinance institutions located throughout the world. In order to strengthen its microfinance operations in 10 countries of Eastern Europe and Central Asia, FINCA is looking for the following positions in various countries of the region:

**Senior Credit Managers**

*Candidates should meet the following requirements:*
5+ years experience in micro lending with a commercial bank
- 2+ years of management experience in a financial institution experience in institution building an advantage
- excellent lending skills
excellent training and negotiation skills
- readiness to work abroad in an NIS country

Junior Credit Managers
*Candidates should meet the following requirements:*
- 2+ years experience in micro lending with a commercial bank excellent lending and training skills
- readiness to work abroad in a NIS country

If you are looking for a job not like any other, a job where you can exert a great deal of influence and leave your personal track by creating and forming something new, and if you like to work in an international team, we invite you to send your CV in English or in Russian to finca-kiev@yahoo.com

"ფინკა ინტერნეშენალი", დაფუძნებული ვაშინგტონში, არის სწრაფად მზარდი ქსელი 22 მიკროსაფინანსო ინსტიტუტისა, რომელიც მთელს მსოფლიოშია განლაგებული. იმისათვის, რომ გაძლიერდეს მისი მიკროსაფინანსო ოპერაციები აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის 10 ქვეყანაში, "ფინკა" აცხადებს ვაკანსიას შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად სხვადასხვა ქვეყნებში.

**უფროსი საკრედიტო მენეჯერი**

კანდიდატები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:
კომერციულ ბანკში მუშაობის მინიმუმ 5 წლის გამოცდილება მიკროსესხების სფეროში
- ფინანსურ დაწესებულებებში მენეჯერის მინიმუმ 2 წლის გამოცდილება ორგანიზაციის შექმნის გამოცდილება ითვლება უპირატესობად
- საუკეთესო საკრედიტო გამოცდილება
ტრეინინგისა და მოლაპარაკებების საუკეთესო უნარ-ჩვევები
- ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებში მუშაობის სურვილი

**უმცროსი საკრედიტო მენეჯერი**
კანდიდატები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

- კომერციულ ბანკში მუშაობის მინიმუმ 2 წლის გამოცდილება მიკროსესხების სფეროში
საუკეთესო საკრედიტო და ტრეინინგის უნარ-ჩვევები
- ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებში მუშაობის სურვილი

თუ თქვენ ეძებთ საინტერესო სამუშაოს, სადაც შეგიძლიათ იქონიოთ დიდი გავლენა და დატოვოთ თქვენი კვალი რაღაც ახალის შექმნაში და, თუ თქვენ გსურთ, იმუშაოთ ინტერნაციონალურ ჯგუფთან ერთად, გთხოვთ გამოგვიგზავნოთ თქვენი რეზუმე ინგლისურ ან რუსულ ენაზე, შემდეგ მისამართზე: finca-kiev@yahoo.com


## მირცხულავა კვლავ საკუთარ უდანაშაულობაზე საუბრობს

საოლქო სასამართლომ გუშინ სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის დავით მირცხულავას ადვოკატების სააპელაციო სარჩელის განხილვა დაიწყო. მირცხულავას ინტერესების დამცველები მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვენ, რომლის თანახმად, ყოფილ მინისტრს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის დამცველები საოლქო სასამართლოსგან გამამართლებელი გადაწყვეტილების გამოტანას, მირცხულავას დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვენ და აცხადებენ, რომ მირცხულავას უდანაშაულობის დასამტკიცებლად ქართული მართლმსაჯულების სისტემის ყველა რგოლს მიმართავენ.

როგორც ცნობილია, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში მირცხულავას წინასწარი პატიმრობის კანონიერება-არაკანონიერების საკითხი განიხილება. ადვოკატებსაც, ისევე, როგორც მათი დაცვის ქვეშ მყოფს, სწორედ ევროსასამართლოს ობიექტურობის იმედი აქვთ.

საოქლო სასამართლოში გუშინ გამართულ პროცსს განსასჯელიც ესწრებოდა. ის სასამართლო კოლეგიის წინაშე საკმაოდ ვრცელი სიტყვით წარდგა. მირცხულავა საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას გამოძიებაზე ზეწოლაში ადანაშაულებს და თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს. როგორც ყოფილი ენერგეტიკის მინისტრი განმარტავს, არაოფიციალურ საუბრებში პროკურატურის გამომძიებლები მის უდანაშაულობას არ უარყოფდნენ.

"მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში წარმოდგენილ მოწმეთაგან მირცხულავას ბრალეულობა ვერც ერთმა მათგანმა ვერ დაადასტურა. თუკი საოლქო სასამართლო ობიექტური იქნება და ხელისუფლების დაკვეთის შესრულებაზე უარს იტყვის, მირცხულავას უდანაშაულობა დადასტურდება" , - აცხადებენ ყოფილი მინისტრის ინტერესების დამცველები.

*24 საათი*

## ორი მაღალჩინოსნის დაკავებას რვა საათი დასჭირდა

გუშინწინ, გვიან ღამით საკუთარ კაბინეტში აჭარის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ავთანდილ აბაშიძე და ამავე სამინისტროს ლტოლვილთა და განსახლების სამმართველოს უფროსი თემურ ხოზრევანიძე დააკავეს. კონსტიტუციური უსაფრთხოების აჭარის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლები ირწმუნებიან, რომ აბაშიძემ და ხოზრევანიძემ, ქრთამის სახით, 500 დოლარი აიღეს.

თავად ხოზრევანიძის მტკიცებით, ერთმა ქალბატონმა მას თაბახის მოკეცილი ფურცლები გადასცა, რომლებზეც აჭარის მაღალმთიანეთიდან გადასახლებულთა სია იყო წარმოდგენილი. ქალბატონმა მას სია მინისტრის მოადგილესთან გაატანა. როდესაც კაბინეტში თაბახის ფურცლებს შორის თანხა აღმოჩნდა, ხოზრევანიძის მტკიცებით, ის ქალბატონს დაედევნა, რასაც სამინისტროს დაცვის სამსახურის თანამშრომლებიც დაადასტურებენ; კაბინეტში დაბრუნებულ ხოზრევანიძეს კი უშიშროების თანამშრომლები დახვდნენ.

დაკავების პროცედურა რვა საათს გაგრძელდა და ღამის სამ საათზე დასრულდა. ფაქტის გახმაურებიდან რამდენიმე საათში აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში უმაღლესი საბჭოს დეპუტატები და ავთო აბაშიძის კოლეგები გამოჩნდნენ.

დეპუტატები აბაშიძის დაკავების ფაქტს პროვოკაციას უწოდებენ და არ გამორიცხავენ, რომ აბაშიძის დაკავება საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის ეთერ ასტემიროვას წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებებს უკავშირდება. კონსტიტუციური უსაფრთხოების აჭარის რეგიონული სამსახურის თანამშრომლები კომენტარს არ აკეთებენ. კომენტარისგან თავს იკავებენ, ასევე, აჭარის მთავრობის პირველი პირები.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამმართველომ, საბაჟო წესების დარღვევის ბრალდებით, სისხლის სამართლის საქმე აღძრა. როგორც ფინანსურ პოლიაციში აცხადებენ, მოქალაქე მაია თავართქილაძემ თურქეთიდან საქართველოში, ვალეს საბაჟო-გამშვები პუნქტის გავლით, დიდი ოდენობით თეთრეული შემოიტანა. საბაჟოზე მან მიუთითა, რომ თეთრეული მეორადი მოხმარების იყო და განბაჟებისას მხოლოდ 158 ლარი გადაიხადა. თუმცა, ფინანსურმა პოლიციამ, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, თავართქილაძე ტვირთიანად დააკავა. შემოწმების პროცესში გაირკვა, რომ აღნიშული თეთრეული 200 კილოგრამს იწონის და პირველადი მოხმარებისაა. ამჟამად მიმდინარეობს საქმის გამოძიება, ტვირთს ექსპერტიზა უტარდება, რაც მის ღირებულებას დაადგენს. სისხლის სამართლის საქმე კი ამ ეტაპზე, ფაქტზეა აღძრული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამმართველომ "მერსედესის" მარკის მიკროავტობუსი დააკავა, რომელსაც 3 750 ბოთლი "იმპერატორის" მარკის არასწორად მარკირებული არაყი თბილისიდან ახალქალაქში გადაჰქონდა. ფინანსურ პოლიციას ეჭვი აქვს, რომ ამოღებული არაყი ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიშია, ამიტომ ტვირთს ექსპერტიზა უტარდება. აღნიშნული ავტომანქანა შპს "არჩევანი 2004"-ის საკუთრებაა. სისხლის სამართლის საქმე მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვის მუხლით აღიძრა. **ინტერ-პრესი**

# ვაიმარის რუსეთი ბრუნდება

ლეონიდ რადზიხოვსკი
დამოუკიდებელი პოლიტოლოგი

ფრაზა "ვაიმარის რუსეთი" პირველად 13 წლის წინ გაჩნდა - მაშინდელი პრეზიდენტის ბორის ელცინისა და უზენაესი საბჭოს დაპირისპირების დროს, რომელიც ელცინის ტანკების მიერ პარლამენტის დაცხრილვით დასრულდა. ამ ფრაზის მნიშვნელობა ყველასთვის ნათელი გახდა: ვაიმარის რუსეთი, ისევე, როგორც ვაიმარის გერმანია, სუსტი რესპუბლიკის განსახიერება იყო, რომელსაც ქვეყნის შიგნით ავტორიტარული ტრადიციების აღდგენის მოსურნე ნაციონალისტები ესხმოდნენ თავს.

მართალია, 1990-იანი წლების დასასრულსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში სახელმწიფოს ფუნქციის მოშლასთან დაკავშირებული პრობლემები უკანა პლანზე გადავიდა, მაგრამ უკანასკნელი 18 თვის განმავლობაში "ვაიმარის აჩრდილი" კვლავაც გამოჩნდა რუსეთში.

ყველაზე უარესი პროგნოზით, რუსეთის საზოგადოების პასუხი "მტანჯველ" მოდერნიზაციაზე შეიძლება ნაციონალური რევოლუცია იყოს ქსენოფობების ხელმძღვანელობით. თუმცა, გამორიცხული არ არის ჯანსაღი კონსერვატიული რეაქციაც: შესაძლებელია პოსტკომუნისტური მოდერნიზაციის დროს განყვეტილი ძველი კავშირების აღდგენა და ახალი გზით წაყვანა.

პრობლემა ისაა, რომ ისტორიას ყველა ისე წერს, როგორც მას მოესურვება, ამიტომაც არ არსებობს ის საზღვარი, რომლის შემდეგაც გამაერთიანებელი პატრიოტიზმი ნაციონალიზმის სასიკვდილო "საწამლავად" გადაიქცევა. ვაიმარის გერმანიამ ბრმად მოიწამლა საკუთარი თავი.

1991-1993 წლებში ნაციონალიზმი აღმავლობას განიცდიდა, რადგანაც ელცინის "ჩანასახოვანი დემოკრატია" სუსტი ჩანდა, ქვეყანა კი ღრმა ეკონომიკურ კრიზისში იმყოფებოდა. გარდა ამისა, მწვავე დაპირისპირება იყო ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის. მაგრამ როგორ შეიძლება აიხსნას დღეს ნაციონალიზმის აღმავლობა, როცა ამჟამად რეჟიმი და ეკონომიკა საკმაოდ ძლიერია, ხოლო ხელისუფლების ყველა შტო შეთანხმებულად მოქმედებს?

მართლაც, არ არსებობს პრაგმატული მიზეზი, რომლითაც შეიძლება აიხსნას რუსეთის ხელისუფლების სისტემის კრიზისი (თუმცა, ასეთი მიზეზები შეიძლება გამოჩნდეს ეკონომიკური დაღმავლობის დროს). მაგრამ არსებობს კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი, რომელიც მორალსა და იდეოლოგიას ეხება.

ხელისუფლებამ გამოწვევები საკმაოდ წარმატებულად შეაჩერა სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი პატრიოტიზმით. მაგრამ ნაციონალიზმის ვირუსი მაინც გადარჩა და გამრავლდა კიდეც.

საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევამ, მაგალითად, აჩვენა, რომ რუსების 50 პროცენტი მხარს უჭერს სლოგანს "რუსეთი რუსებისთვის". მეტიც, ნაციონალიზმი ქუჩიდან ელიტაშიც გავრცელდა. ნაციონალისტების განცხადებები, რომლებიც 1990-იან წლების დასაწყისში ექსტრემისტულ გაზეთ "დენ"-ში ქვეყნდებოდა, ახლა სრულიად ნორმალურად, "ცენტრისტულად", ჩვეულებრივადაც კი მიაჩნიათ.

დღეს შედარებით რადიკალურად განწყობილი რუსი ნაციონალისტები პუტინის რეჟიმს საკმაოდ რბილს, პრაგმატულსა და გონიერს უწოდებენ - მათ ენაზე "სუსტსა და მერყევს". ისინი ვერ იტანენ მას უკრაინაში "ნარინჯისფერი რევოლუციის" დროს "კაპიტულაციის" გამო. ისინი გმობენ ჩინეთისთვის მდინარე ამურის მიმდებარე ტერიტორიის გადაცემას.

"პუტინის ცენტრი" შეიძლება, შეიცვალოს. გაიხსენეთ ის ფაქტი, რომ ათი წლის წინ რუსეთის გავლენიანი პროდასავლური ლიბერა-



რა საერთო აქვთ ლიბერალურ "იაბლოკო"-სა და ნაციონალ-ბოლშევიკებს?

ლები დღეს მარგინალებად არიან ქცეულნი, თავად სიტყვა "დემოკრატი" კი (მით უმეტეს, "დასავლელი") სალანძღავი ტერმინი გახდა.

საბედნიეროდ, ჯერჯერობით, ქარიზმატული ლიდერის არავითარი ნიშნები (ჰორიზონტზეც კი არ ჩანს) არ არსებობს; ლიდერი, რომელიც შეძლებს ნაციონალურ-სოციალური წყენის გაზნეული ენერგიის თავმოყრას, შექმნის სიძულვილით სავსე კრიტიკულ მასას და საფუძველს დაუდებს "ეროვნულ აღმავლობას". სტალინის აჩრდილი ვერ გამოდგება რეალური, ცოცხალი ლიდერის შესაცვლელად - რამდენიც არ უნდა ხატონ მისი პორტრეტები, იგი სურათიდან ვერ გადმოხტება.

მეტიც, შეიცვალა დრო. მაგალითად, ვერავინ ბედავს სიტყვის თქმას დიქტატორული რეჟიმის დამყარების იდეაზე, არჩევნების გაუქმებაზე, ა.შ. და რაც არ უნდა აძაგონ რუსი "დემოკრატები", თავად სიტყვა "დემოკრატია" მაინც ხელშეუხებელ ღირებულებად რჩება.

ამის საპირისპიროდ, ნაციონალურ-პოპულისტური რევოლუცია შეიძლებოდა 1991 წლის აგვისტოში მიხაილ გორბაჩოვის გადაგდებას ან უკრაინული "ნარინჯისფერი რევოლუციის" რუსულ ვერსიას დამსგავსებოდა. ის შეიძლება ყოფილიყო ერთგვარი - სპონტანური "ნაციონალურ-დემოკრატიული რევოლუცია", არა რომელიმე პოლიტიკური პარტიის, არამედ სახალხო მასების მოძრაობის მიერ ორგანიზებული. ის იქნებოდა ანტიბიუროკრატიული, ანტიოლიგარქიული, ანტიდასავლური და ღრმად ნაციონალური. ესაა ნაციონალური "ბულიონის" ძირითადი ინგრედიენტები - კერძისა, რომელიც, როგორც ჩანს, ძალიან უყვართ ამჟამად რუსეთში.

პუტინის მიერ პარლამენტის მისამართით გაკეთებული ახლახანდელი განცხადებით თუ ვიმსჯელებთ, მის რეჟიმს მშვენივრად აქვს გაცნობიერებული ის საფრთხე, რომელიც პოპულისტ-ნაციონალების მხრიდან ემუქრება. შესაძლებელია, პუტინის რეჟიმმა წინააღმდეგობა გაუწიოს ნაციონალიზმის ტალღას, ამავე დროს, თავის ძლიერ რიტორიკაზეც არ თქვას უარი. მაგრამ მემარჯვენე რადიკალების დასამარცხებლად პუტინის რეჟიმი იძულებული გახდება, მეტნაკლებად ლიბერალური იდეოლოგია აიღოს საფუძვლად. ეს იოლი არ იქნება რეჟიმისთვის, რომელსაც ერთდროულად ორი საყრდენი აქვს: ბიუროკრატია და უშიშროების აპარატი.

აშკარაა, როგორ უნდა მოიქცნენ ლიბერალები ასეთ შემთხვევაში: მხარი უნდა დაუჭირონ პუტინის რეჟიმს, რამდენადაც იგი თავის მხრივ ემხრობა, აღიარებს ლიბერალური წესრიგის საფუძველსა და ინსტიტუტებს. მაშინ, როცა ნაციონალ-პოპულისტები ლიბერალების შეურიგებელი მოწინააღმდეგეები არიან, რადგანაც ისინი მათ ძირითად პრინციპებს უარყოფენ.

უფრო მეტიც, ნაციონალებთან ალიანსი, რომელიც პუტინის წინააღმდეგაა მიმართული, ამჟამად მრავალ რუს ლიბერალს აცდუნებს. მართლაც, ლიბერალების ყველაზე პოპულარული ტაქტიკა რეჟიმის ყველა მოწინააღმდეგესთან გაერთიანებაა.

ეს სქემა აბსურდულიცაა და საშიშიც. ბოლოს და ბოლოს, სიტყვა "ვაიმარი" ცუდ მოგონებებს აღძრავს, იმ "ეშმაკთან შეთანხმების" გამო, რომელიც ჰიტლერის მხარდასაჭერად გააფორმეს გერმანელმა კონსერვატორებმა და როიალისტებმა.

*პროექტი სინდიკატი, 2005*



## საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის

## განცხადება

**კონტრაქტის სარეგისტრაციო N:ARET/CW/NCB/03-2005**
**გარემოს დაცვის გლობალური ფონდის გრანტი N: TF-023752**
**დაკავშირებული სგა-ს კრედიტთან N3347 GE**

***საქართველოს მთავრობამ*** გარემოს დაცვის გლობალური ფონდისაგან მიიღო გრანტი ***სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტის*** დასაფინანსებლად და განზრახული აქვს სახსრების ნაწილი გამოიყენოს 8 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის გაუმჯობესებული კონსტრუქციის ნაკელსაცავის მშენებლობის კონტრაქტით გათვალისწინებული ხარჯების დასაფარად. საკონკურსო ვაჭრობაზე დაიშვება მსოფლიო ბანკის წესების (შესყიდვები რეკონსტრუქციისა და განვითარებისა საერთაშორისო ბანკის სესხებით და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის კრედიტებით) შესაბამისად უფლებამოსილი ყველა მონაწილე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი (PCC) იწვევს საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების მქონე ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში, შემდეგი სამუშაოების შესასრულებლად:

**ლოტი N1.** 80 გაუმჯობესებული კონსტრუქციის ნაკელსაცავის მშენებლობა 8 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის ჩხოროწყუს რაიონის სხვადასხვა სოფელში.

**ლოტი N2.** 40 გაუმჯობესებული კონსტრუქციის ნაკელსაცავის მშენებლობა 8 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის ხობის რაიონის სხვადასხვა სოფელში.

**ლოტი N3.** 70 გაუმჯობესებული კონსტრუქციის ნაკელსაცავის მშენებლობა 8 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის ზუგდიდის რაიონის სხვადასხვა სოფელში.

**ლოტი N4.** 40 გაუმჯობესებული კონსტრუქციის ნაკელსაცავის მშენებლობა 8 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის ქობულეთის რაიონის სხვადასხვა სოფელში.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს საკონკურსო წინადადებების წარმოდგენა შეუძლიათ როგორც ცალკეული ლოტებისათვის, ასევე ორი, სამი ან ოთხი ლოტისათვის ერთად.

საკონკურსო დოკუმენტაციის (და დამატებითი ასლების) შეძენა შესაძლებელია საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის (PCC) ოფისში, საქართველო, თბილისი, კოსტავას 41, ოთახი 327, სამუშაო დღეებში 10 საათიდან 17 საათამდე წერილობითი განაცხადის წარდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის არანაზღაურებადი 40 ლარის გადახდის შემდეგ. გადახდა ხორციელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ანგარიშზე თანხის გადარიცხვით. სალარე ანგარიშის ნომერია 13458 მიმღები "ბანკი ქართუ", თბილისი (თანხის გადარიცხვისას მითითებული უნდა იყოს კონტრაქტის ნომერი - კონტრაქტი N:ARET/CW/NCB/03-2005).

საკონკურსო წინადადება ძალაში რჩება კონკურსის გახსნიდან 90 დღის განმავლობაში. მას თან უნდა ახლდეს N1 ლოტისათვის 1340 ლარის ან კონვერტირებად ვალუტაში მისი ეკვივალენტის ოდენობის საკონკურსო წინადადების გარანტია, N2 ლოტისათვის 670 ლარის ან კონვერტირებად ვალუტაში მისი ეკვივალენტის ოდენობის საკონკურსო წინადადების გარანტია, N3 ლოტისათვის 1170 ლარის ან კონვერტირებად ვალუტაში მისი ეკვივალენტის ოდენობის საკონკურსო წინადადების გარანტია და N4 ლოტისათვის 670 ლარის ამ კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის ოდენობის საკონკურსო წინადადების გარანტია და მიტანილ უნდა იქნეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის (PCC) ოფისში, მისამართზე თბილისი, კოსტავას ქ. 41, III სართული, ოთახი 327, 2005 წლის 30 ივნისის 12 საათამდე, როდესაც მოხდება საკონკურსო წინადადებების გახსნა კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც დასწრებას მოისურვებენ. დაგვიანებული წინადადებები არ მიიღება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი

სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტის გარემოს დაცვის კომპონენტი

**საქართველო, თბილისი, 0123, კოსტავას ქ. 41, III სართული, ოთახი 327**
**ტელ/ფაქსი: (99532) 934651**
**ელ-ფოსტა: office@adpcc.org.ge**



## ყანდაარის ტერაქტი - "ფანატიკოსთა ნამოქმედარი"

ავღანეთის სამხრეთ ნაწილში, ქალაქ ყანდაარში აფეთქება 1 ივნისს დილით მოხდა. ქალაქის ერთ-ერთ მეჩეთში განხორციელებულ ტერაქტს 20-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ხოლო 70-ზე მეტმა სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო.

**"უძლიერესი აფეთქების ხმა გაისმა და გარშემო ყველაფერი სისხლით დაიფარა,"** - განაცხადა ერთ-ერთმა თვითმხილველმა სააგენტო "ფრანს პრეს"-თან საუბარში.

თვითმხილველთა თქმით, აფეთქების ხმა აბდულ რაბის მეჩეთში მაშინ გაისმა, როდესაც რამდენიმე დღის წინ მოკლული გავლენიანი რელიგიური მოღვაწის მოულავი აბდულ ფაიაზის მოსახსენებელი ცერემონიის დაწყებისათვის ემზადებოდნენ. თვითმკვლელ ტერორისტს პოლიციელის ფორმა ემოსა და მეჩეთში დედაქალაქის პოლიციის ხელმძღვანელის მცველთან ერთად შევიდა.

**"ხალხი აქეთ-იქით აწყდებოდა, ბევრიც მიწაზე იწვა და ტიროდა. ირგვლივ მიწა გვამებით იყო მოფენილი,"** - აღნიშნა ტერაქტს გადარჩენილმა ერთ-ერთმა თვითმხილველმა სააგენტო "ესოშიეიტიდ პრეს"-თან საუბარში.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დაღუპულთა შორისაა ქაბულის პოლიციის ხელმძღვანელი მოჰამად აქრამი, რომელიც ყანდაარში სამგლოვიარო ცერემონიაზე დასასწრებად იყო ჩასული.

მოულავი აბდულ ფაიაზი, რომლის პარაკლისიც უნდა გადაეხადათ, ყანდაარის მეჩეთში საკუთარ ოფისთან ორმა უცნობმა პირმა ჩაცხრილა. პასუხისმგებლობა ამ თავდასხმაზე, რომელიც მიმდინარე წელს ავღანეთში განხორციელებულ ყველაზე სისხლიან ტრაგედიად აღიარეს, თალიბების მოძრაობამ აიღო საკუთარ თავზე.

ფაიაზი ავღანეთის პრეზიდენტის ჰამიდ კარზაის უახლოესი თანამებრძოლი იყო და, რასაკვირველია, თალიბთა მოძრაობას არ სწყალობდა. აპრილში, რელიგიურ მოღვაწეთა შეკრებაზე, რომელსაც 500 სასულიერო პირი ესწრებოდა, ფაიაზმა მკაცრად გააკრიტიკა თალიბთა ქმედებები. მან ბრალი დასდო ჩამოგდებული რეჟიმის მომხრეებს უდანაშაულო ხალხის ხოცვაში.

ექსპერტთა თქმით, თალიბთა რეჟიმი არც მომავალში შეწყვეტს კარზაის ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედებას, რაც ასევე მიმართულია აშშ-ს წინააღმდეგ. ქვეყნის აღმშენებლობის წინააღმდეგ მიმართული კამპანია, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაძლიერდება. მით უფრო, რომ სექტემბერში საპარლამენტო არჩევნებია დაგეგმილი ავღანეთში.

ყანდაარში აბდულ რაბის მეჩეთში აფეთქებაზე პასუხისმგებლობა ჯერ არ აუღია საკუთარ თავზე არც თალიბთა მოძრაობას და არც სხვა რომელიმე ტერორისტულ დაჯგუფებას. მიუხედავად ამისა, ხელისუფლების ოფიციალურ წარმომადგენელთა მხრიდან უკვე გაკეთდა შეფასებები. ავღანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, ყანდაარის ტერაქტი ფანატიკოსთა ნამოქმედარია.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბევრი დამოუკიდებელი ექსპერტი ოფიციალური ხელისუფლების პოზიციას არ იზიარებს. ანალიტიკოსთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ აფეთქებებში თალიბთა ხელი არ ურევია, რადგან "თვითმკვლელი ტერორისტების გამოყენება მათი ხელწერა არაა".



## საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის

## განცხადება

### სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირების და სწავლების პროექტი

საქართველოს მთავრობა მსოფლიო ბანკის მხარდაჭერთ ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტს, რომელსაც აფინანსებს საერთაშორისო განვითარების ასოციაცია და გარემოს დაცვის გლობალური ფონდი. პროექტი ხორციელდება სამი მიმართულებით: (ა) საკონკურსო გრანტების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს ადაპტირებადი კვლევის შედეგების დანერგვას ფერმერულ მეურნეობებში; (ბ) სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების სისტემის რეფორმა, რომელიც გამოიცდება ერთ-ერთი შერჩეული მაღალპრიორიტეტული კვლევითი მიმართულების მაგალითზე; (გ) გარემოს დაბინძურების შემცირების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეების სასოფლო-სამეურნეო წყაროებიდან დაბინძურების შემცირებას.

სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტის გარემოს დაბინძურების შემცირების პროგრამის ფარგლებში ინერგება ნაკელის შენახვისა და გამოყენების ოპტიმალური და გარემოსათვის ნაკლებად მავნე სისტემები, რომლებიც მოიცავს ნაკელსაცავების აშენების, ბიო-გაზის აპარატების დამონტაჟების და გადამუშავებული ბიომასის რაციონალურ გამოყენებას სასუქად. შემოთავაზებული სისიტემების სწორი გამოყენებისა და მათი ეფექტურობის შეფასების მიზნით მიმდინარეობს ნიადაგისა და წყლის ხარისხის მონიტორინგი.

პროექტების საკოორდინაციო ცენტრს დაგეგმილი აქვს გარემოს დაცვის გლობალური ფონდის (GEF) გრანტის სახსრების ნაწილის გამოყენება კონსულტანტის (ფიზიკური პირის) დასაქირავებლად, რომელიც დაეხმარება გარემოს დაბინძურების შემცირების პროგრამაში მონაწილე ფერმერებს ძირითადი საკვები ელემენტების მართვის ინდივიდუალური გეგმების შედგენაში, რომელთა განხორციელება შესაძლებლობას მისცემს ფერმერებს ოპტიმალურად გამოიყენონ მათ მეურნეობებში წარმოქმნილი ცხოველური ბიომასა და არ დაუშვან მისი უკონტროლო გადინება ეკოსისტემაში (კონსულატნტის მიერ განსახორციელებელი დეტალური დავალებების გასაცნობად, გთხოვთ, მიმართოთ პროექტების საკოორდინაციო ცენტრს). კონსულტანტი დაქირავებული იქნება კონტრაქტის ხელმოწერიდან ხუთი კალენდარული თვის განმავლობაში, 2005 წლის III და IV კვარტლებში.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი იწვევს კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე ფიზიკურ პირებს აღნიშნული მომსახურებისათვის.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარადგინონ განაცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ და ავტობიოგრაფიული მონაცემები ( CV ) დიპლომისა და სერთიფიკატების ასლებთან ერთად.

დაინტერესებულმა პირებს უნდა გააჩნდეთ შემდეგი ძირითადი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება:

საუნივერსიტეტო განათლება (სასურველია სამეცნიერო ხარისხიც) სოფლის მეურნეობის, ქიმიის ან ბიოლოგიის დარგებში;

- სოფლის მეურნეობის სფეროში სამეცნიერო მუშაოების არანაკლებ ხუთწლიანი გამოცდილება;

პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება ნიადაგის ნაყოფიერების საკითხებში;

- ფერმერებთან საკონსულტაციო მუშაობის გამოცდილება.

ადგილობრივი კონსულტანტი შერჩეული იქნება მსოფლიო ბანკის მიერ 1997 წლის იანვარში გამოცემული და 1997 წლის სექტემბერში და 1999 წლის იანვარში გადასინჯული სახელმძღვანელო დებულებების "კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება მსოფლიო ბანკის სესხის ამღებთა მიერ" დებულებების შესაბამისად.

საკონკურსო განაცხადები და ავტობიოგრაფიული მონაცემები მიიღება ქვემოთ მითითებულ მისამართზე 2005 წლის 16 ივნისის 17:00 საათამდე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი.

**საქართველო, თბილისი, 0123, კოსტავას 41,**
**მე-III სართული, ოთახი 327. ტელ.ფაქსი: 93 46 51.**
**ელ-ფოსტა: office@adpcc.org.ge**



## ორი სიტყვით

**ავღანეთი.** ოთხშაბათს ავღანეთის ციხეებიდან ამერიკელმა სამხედროებმა 53 ავღანელი პატიმარი გაათავისუფლეს. ოფიციალური განცხადებით, ისინი საფრთხეს აღარ წარმოადგენენ. "ეს ავღანეთის მთავრობისადმი მეგობრული დამოკიდებულების გამოხატულებაა," - განაცხადა ამერიკული სამხედრო კონტინგენტის პრესმდივანმა ჯიმ იონტსმა. ამავდროულად, ცნობილი გახდა, რომ გათავისუფლებულთაგან ერთი უკვე პატიმრობის დროს სასტიკ მოპყრობაზე საუბრობს. **როიტერსი**

■ ■ ■

**ერაყი.** ბაღდადის საერთაშორისო აეროპორტის მახლობლად, საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე დანაღმული მანქანა აფეთქდა. ამერიკელი სამხედროების ცნობით, აფეთქებისთანავე უცნობმა შეიარაღებულმა პირებმა ავტომატებიდან ცეცხლი გახსნეს. ინციდენტის შედეგად დაჭრილია 15 ადამიანი. ყველა მათგანი ერაყელია. **რადიო თავისუფლება**

■ ■ ■

**რუსეთი.** წინასწარი მონაცემებით, გასულ კვირას მოსკოვისთვის ენერგოკრიზისით მიყენებულმა ზარალმა დაახლოებით 28 მილიონი დოლარი შეადგინა. ეს მხოლოდ ციფრია, რომლის დოკუმენტურად დადასტურება შეიძლება. "სინამდვილეში ქალაქის დანაკარგები გაცილებით მეტია," - განუცხადეს ჟურნალისტებს მოსკოვის ადმინისტრაციაში. ამ თანხაში არ შევიდა რიგი სამრეწველო საწარმოებისა, მათ შორის მოსკოვის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დანაკარგები, რომელსაც უახლოეს ხანებში დაითვლიან. 25 მაისს მოსკოვის ენერგოსისტემაში მომხდარი დიდი ავარიის შედეგად ელექტროენერგიის მიწოდება დიდი ხნით შეუწყდა მეტროპოლიტენის ექვს ხაზს და დაახლოებით 19 ათას საცხოვრებელ სახლს. **ინტერპრესი**

■ ■ ■

**ბელარუსი.** მინსკში სასამართლომ ოპოზიციის ორ აქტივისტს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ნიკოლაი სტატკევიჩი და ახალგაზრდული ოპოზიციური ორგანიზაცია "ახალგაზრდა ფრონტის" ლიდერი პაველ სევერინეცი დამნაშავეებად ცნეს ქუჩაში მასობრივი აქციების მოწყობის გამო. შეგახსნებთ, გასული წლის შემოდგომაზე მინსკის ცენტრში რამდენიმე დღის მანძილზე საპროტესტო აქციები მიმდინარეობდა. თუმცა, საბოლოოდ მომიტინგეები სპეცრაზმელებმა დაარბიეს, ხოლო 60-მდე აქტივისტი დააპატიმრეს. სააგენტო ბიბისი იუწყება, რომ ბელარუს ოპოზიციონერებს, შესაძლოა, სასჯელი ერთი წლით შეუმცირდეთ, თუ ისინი "დანაშაულს" შრომა-გასწორების კოლონიაში მუშაობით გამოისყიდიან. **24 საათი**

■ ■ ■

**ყირგიზეთი.** ბიშკეკში სამასამდე ადამიანმა ყირგიზეთის უზენაესი სასამართლოს შენობა შტურმით აიღო. როგორც იუწყებიან, შენობა, რომელიც მარტის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხებულ კანდიდატთა მომხრეებმა თვენახევრის წინ დაიკავეს, გათავისუფლებულია. იქ მყოფმა დაახლოებით ასმა ადამიანმა თავდამსხმელებთან შეტაკების თავიდან აცილების მიზნით შენობა სათადარიგო გასასვლელით დატოვა. სასამართლოს შენობასთან ეროვნული გვარდიის სამხედრო მომსასამხურეები და მილიციის თანამშრომლები გადაჰყავთ, თუმცა ისინი იქ მიმდინარე მოვლენებში არ ერევიან. საპარლამენტო არჩევნებში დამარცხებულ დეპუტატობის კანდიდატთა მომხრეები ყირგიზეთის უზენაესი სასამართლოს შენობაში 22 აპრილს შეიჭრნენ. ისინი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კურმანბეკ ოსმონოვის და მოსამართლეთა მთელი კორპუსის გადადგომას მოითხოვდნენ. იმ დროიდან მოყოლებული, სასამართლო თავის ფუნქციებს ვერ ასრულებს, იქ ასეულობით სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმე დაგროვდა. **ინტერპრესი**

# ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ კანონპროექტს პარლამენტში პრობლემები არ შექმნია

*გუშინ პარლამენტში ლიცენზირებისა და ნებართვების გაცემის გამარტივების საკითხის განხილვა დაიწყო. პარლამენტში მთავრობის ინიციატივით შემოტანილმა, ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ კანონპროექტმა, პირველი მოსმენით უპრობლემოდ გადალახა საკომიტეტო ბარიერი. კანონპროექტს მხარი დაუჭირა როგორც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა, ისე აგრარულ საკითხთა კომიტეტმა. საქართველოს პრეზიდენტი აღნიშნული კანონპროექტის მიღებას დაჩქარებული ტემპით მოითხოვს.*

დიანა ჩაჩუა

როგორც გუშინ, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე რეფორმების კოორდინაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ განაცხადა, ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ კანონპროექტის მოქმედების სფერო ფართოვდება და არეგულირებს არა მარტო სამეწარმეო საქმიანობას, არამედ ნებისმიერ ორგანიზებულ და ზოგიერთ არაორგანიზებულ საქმიანობასაც.

კანონპროექტში განისაზღვრა ლიცენზიის სახეები. კერძოდ, იარსებებს სარგებლობის, საქმიანობის, გენერალური და სპეციალური ლიცენზიები. სარგებლობის ლიცენზია გაიცემა აუქციონის ფორმით, რათა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, ყველაზე მაღალი ფასის გადახდით ამა თუ იმ პირს სახელმწიფო რესურსით სარგებლობის უფლება მიეცეს. ამასთან, კანონპროექტით დადგინდა ერთი ფანჯრის პრინციპი, რომლის თანახმად, ლიცენზიის ან ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო თავად უზრუნველყოფს დამატებითი სალიცენზიო ან სანებართვო პირობების სხვა ორგანოებიდან დადასტურებას. ამასთან, თუ ადმინისტრაციული ორგანო ლიცენზიისა და ნებართვის გაცემას კანონით დადგენილ ვადაში ვერ უზრუნველყოფს, ლიცენზია და ნებართვა ავტომატურად გაიცემა.

პროექტით განსაზღვრულია, აგრეთვე, ლიცენზიის ან ნებართვის მფლობელის და ნებართვის გამცემი თანამდებობის პირის პასუხისმგებლობა. ლიცენზიის ან ნებართვის პირობის დარღვევის შემთხვევაში, მისი მფლობელი დაჯარიმდება, ხოლო პირობების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, ლიცენზია გაუუქმდება.

როგორც კახა ბენდუქიძემ აღნიშნა, ამჟამად მოქმედი 909 სფეროდან ლიცენზირებასა და ნებართვების სისტემას 159 სფერო დაექვემდებარება. მათ შორის, 109 იქნება სალიცენზიო საქმიანობა, ხოლო 50 - სანებართვო საქმიანობა.

გუშინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა პირველი მოსმენით კანონპროექტს მხარი დაუჭირა. როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი კოვზანაძემ განაცხადა, პირველი მოსმენით კანონპროექტის პრინციპები კომიტეტისთვის მისაღებია, ხოლო მეორე მოსმენით განხილვისათვის კომიტეტი კანონპროექტზე უკვე სერიოზულად იმუშავებს.

ლიცენზირებისა და ნებართვების სისტემის გამარტივებას მხარი დაუჭირა პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტმაც. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ზურაბ შხვაცაბაიას თქმით, აღნიშნული კანონპროექტი ძალზე მნიშვნელოვანია, ამიტომ მას კომიტეტი პირველი მოსმენით მხარს დაუჭერს. **"კანონპროექტში დაცული უნდა იყოს როგორც მეწარმეების, აგრეთვე, მომხმარებლების ინტერესები,"** - განაცხადა შხვაცაბაიამ.

# საგზაო დეპარტამენტი დანგრეული ხიდებისა და გზების მშენებლობას იწყებს

საქართველოს საგზაო დეპარტამენტი წყალდიდობის შედეგად დანგრეული ხიდებისა და გზების მშენებლობას იწყებს. საგზაო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა გუშინ იმ საპროექტო-სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდა, რომელთაც შესაბამისი სამუშაოების განხორციელება სურთ.

როგორც დეპარტამენტის თავმჯდომარემ რომან დალაქიშვილმა აღნიშნა, სამშენებლო ორგანიზაციებთან ხელშეკრულებების გაფორმება უახლოეს დღეებში დასრულდება, ყველა ძირითადი სამუშაო კი წლის ბოლომდე შესრულებული იქნება.

საქართველოს მასშტაბით დაგეგმილია სტიქიით დაზიანებული 50 ხიდის აღდგენა და საავტომობილო გზების 400 კილომეტრის რეაბილიტაცია. ამ მიზნით ბიუჯეტიდან 30 მილიონი ლარი გამოიყო.

*24 საათი*

## დაზუსტება

**2005 წლის 25 მაისის "საქართველოს რესპუბლიკის" 122 ნომერში შპს "ფოთის ნავსადგურმა" გამოაცხადა კონკურსი სხვადასხვა სახის საღებავების შესყიდვაზე.**

**განაცხადში გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი შესწორება**

**მე-3 მუხლში საკვალიფიკაციო მონაცემების მიღების ბოლო ვადაა 2005 წლის 06 ივნისის 17 საათამდე.**

**დანარჩენი მუხლები უცვლელია.**

bp btc SCP

## სოფლებში ელექტროენერგიის პრობლემა გადაწყდა

თეთრი-წყაროს რაიონის სოფლებში დასრულდა მაღალი ძაბვის ელექტროსისტემის რეაბილიტაციის პროექტი. ამ სამუშაოების განხორციელების შედეგად მდგომარეობა, ივანოვკა-ჯიგრაშენის მონაკეთის გარდა, გამოსწორდა თეთრ-წყაროში, სოფლებში ჭივჭავი, იფნარა, დიდი ირაგა, პატარა ირაგა, ალექსეევკა, მენქალისი.

პროექტი განხორციელდა BP-სა და მისი BTC/SCP პარტნიორების მიერ ინიცირებული და დაფინანსებული საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ნავთობსადენის აღმოსავლეთ ნაწილში არასამთავრობო ორგანიზაციების კონსორციუმი ახორციელებს "მერსი ქორი"-ს ხელმძღვანელობით.

"ჩვენ შუქი პრაქტიკულად არ გვქონდა, - ამბობს თემის საინიციატივო ჯგუფის ლიდერი, სოფელ ივანოვკის მაცხოვრებელი კონსტანტინ ბელიაევი. - ამის გარდა, მუდმივი მოკლე ჩართვები, მაღალი ძაბვის ხაზის ჩამოვარდნა, ბოძის წაქცევა, დამეთანხმებით, საშიშიც იყო მოსახლეობისთვის. და ეს ყველაფერი 7 წელზე მეტია, გრძელდებოდა. ამიტომ, "მერსი ქორის" წარმომადგენლებთან შეხვედრაზე გადავწყვიტეთ, ეს აუტანელი მდგომარეობა გამოგვესწორებინა; ჩამოყალიბდა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც ივანოვკის და ჯიგრაშენის მაცხოვრებლებით დაკომპლექტდა და აქტიურად ჩავებით საქმეში".

"პროექტი, შეიძლება ითქვას, "ხუთიანზე" შესრულდა, - აღნიშნავს საინიციატივო ჯგუფის წევრი, ჯიგრაშენის ადგილობრივი მთავრობის ხელმძღანელი აქილევს მარანტიდი. - შეკეთდა ყველა დაზიანებული უბანი, 80 ელექტრობოძი გამოიცვალა და 4 კილომეტრიანი ელსადენი დამონტაჟდა. მარტო ბოძების აღჭურვას 30 სამუშაო დღე დასჭირდა. დიდად არ ვჩქარობდით, შევეცადეთ, რაც შეიძლება მაღალ დონეზე შეგვესრულებინა ყველა დეტალი. სამუშაოებს "მერსი ქორის" ინჟინრების ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხი ახორციელებდა. დიდი მადლობა "ბი-პი"სა და მერსი ქორს, ჩვენი სოფლები რომ გაანათეს".

Mercy Corps

# საქართველო სუვერენული რეიტინგის მიღებას შეეცდება

### მთავრობას საერთაშორისო საფინანსო ბაზარზე ავტორიტეტის გაზრდის იმედი აქვს

*საქართველო განვითარების ახალ ეტაპზე გადადის და სუვერენული რეიტინგის მიღებას შეეცდება. ამის შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ვალერი ჩეჩელაშვილმა გუშინ, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა. მისი თქმით, საქართველო იწყებს სუვერენული რეიტინგის მიღებისთვის მუშაობას, რომლის მიღების შემდეგ, საერთაშორისო საფინანსო ბაზარზე ქვეყნის ავტორიტეტი მნიშვნელოვნად გაიზრდება.*

თამარ ხორბალაძე

**"ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები საშუალებას გვაძლევს, რომ სუვერენული რეიტინგის მიღებაზე ფიქრი დავიწყოთ. ეს კი საკმაოდ რთული და ძვირადღირებული პროცედურაა. თუმცა, რეიტინგის მიღების შემდეგ ქვეყნისთვის ინვესტიციების მოზიდვის კუთხით პრობლემები აღარ იქნება,"** - განაცხადა ფინანსთა მინისტრმა.

ჩეჩელაშვილის თქმით, სუვერენული რეიტინგის მიღებისთვის, სავარაუდოდ, 140 ათასი დოლარი იქნება საჭირო. მისივე ინფორმაციით, ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად, დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო ასოციაციამ მზადყოფნა გამოთქვა, საქართველოს გრანტის სახით აღნიშნული თანხა - 140 ათასი დოლარი მთლიანად გამოუყოს.

ფინანსთა სამინისტრო საკონსულტაციო ფირმის მოსაძებნად უახლოეს პერიოდში ტენდერს გამოაცხადებს. გამარჯვებული კომპანია მოამზადებს სამოქმედო გეგმას, თუ როგორ უნდა მოიპოვოს რეიტინგი საქართველომ.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბაზარზე რეიტინგის შემფასებელი სამი ძირითადი კომპანიაა - "სტანდარტ ენდ ბრაიდი", "მუდი" და "ფიჩი".

**"ჯერჯერობით უცნობია, ამ სამიდან რომელ კომპანიას შევარჩევთ, თუმცა, აუცილებლად ისეთ კომპანიას შევარჩევთ, რომელიც ყურადღებას ბიუჯეტის სტაბილურობაზე გაამახვილებს, რაც ჩვენ უკვე მიღწეული გვაქვს,"** - აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა. საქართველო სუვერენული რეიტინგის მიღებას, სავარაუდოდ, წლის ბოლოსთვის გეგმავს.

### ხელისუფლება ზამთრისთვის ემზადება

ხოლო მანამ, სანამ ქვეყანას სუვერენული რეიტინგი მოუპოვებია, საქართველოს მთავრობა ზამთრის სეზონისთვის მზადებას იწყებს. როგორც ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, უკვე მომზადებულია პროექტი, რომლის მიხედვით, "საქრუსენერგო" მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის "კავკასიონის" რეაბილიტაციისთვის საქართველოს ბიუჯეტიდან 2 მილიონი დოლარის სესხს მიიღებს.

გილაურის თქმით, სავარაუდოდ, ხაზის რეაბილიტაცია ივლისის თვეში დასრულდება. ასევე მომზადებულია მთავრობის ბრძანებულების პროექტი, რომლის მიხედვითაც, ბიუჯეტიდან "თბილსრესს" 16 მილიონი ლარის სესხი გამოეყოფა და ეს თანხა მესამე და მეოთხე ენერგობლოკების რეაბილიტაციას მოხმარდება.

გილაურის თქმით, უკვე რეაბილიტირებული ობიექტები ფუნქციონირებას ოქტომბრის ბოლოდან დაიწყებს და ქვეყანას დამატებით 250 მეგავატ ელექტროენერგიას მისცემს.

### მთავრობა კრედიტს იღებს

საქართველოს მთავრობამ მდინარეებზე ძირითადი სათავო ნაგებობების შესაკეთებლად, შესაძლოა, მსოფლიო ბანკისგან კრედიტი მიიღოს.

როგორც მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ვალერი ჩეჩელაშვილმა განაცხადა, დღეს მთავრობის სხდომაზე მინისტრთა კაბინეტმა მიიღო გადაწყვეტილება სათავო ნაგებობების შესაკეთებლად მსოფლიო ბანკისგან 5 მილიონის ოდენობის კრედიტის მიღების თაობაზე. აქედან, 3 მილიონი დოლარი გრძელვადიანი სესხი იქნება, ხოლო 2 მილიონი - გრანტი. აღნიშნული კრედიტი მათხოჯის, ილტოს და კეხვის სათავო ნაგებობების რეაბილიტაციას მოხმარდება.

როგორც ჩეჩელაშვილმა განაცხადა, კრედიტის გამოყოფის თაობაზე მსოფლიო ბანკი 30 ივნისს იმსჯელებს, ხოლო ივლისის დასაწყისში საქართველოს პარლამენტი შესაბამისი დოკუმენტის რატიფიცირებას მოახდენს.

**"ეს კრედიტი საშუალებას მოგვცემს, სათავო ნაგებობები ხარისხიანად გავაკეთოთ, რაც სტიქიური უბედურებებისგან დაგვიცავს და ზარალს თავიდან აგვაცილებს,"** - დასძინა მან.

# ვინ გახდება რჩეული?

### "მადნეულზე" პრეტენზიას 21 კომპანია აცხადებს

*სს "მადნეულით" დაინტერესებულთა რაოდენობა და მსურველთა გეოგრაფიული არეალი, რომელიც საბოლოოდ გუშინ გახდა ცნობილი, მართლაც შთამბეჭდავია. ავსტრალია, დიდი ბრიტანეთი, კანადა, შვეიცარია, ვირჯინიის კუნძულები, ავსტრია, რუსეთი, ემირატები - ეს მხოლოდ ნაწილია იმ ქვეყნებისა, საიდანაც ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში, "მადნეულით" დაინტერესებული კომპანიებისგან წერილები მიიღო. 21 მსურველ კომპანიას შორის ვინ გახდება რჩეული, როგორც სამინისტროში აცხადებენ, ეს მაქსიმუმ ორ თვეში გახდება ცნობილი. სავარაუდოდ, შემოდგომაზე სს "მადნეულს" უკვე ახალი მესაკუთრე ეყოლება.*



*"მადნეულის" შესყიდვაზე ყველაზე დიდი კონკურენციაა.*

მარიამ ჭაჭვაძე

სს "მადნეულზე" ინტერესის გამომხატველი განაცხადების მიღების ვადა 31 მაისს, გვიან სალამოს ამოიწურა. გუშინ დილით კი, ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ კახა დამენიამ წარმოდგენილი წინადადებები საჯაროდ გახსნა და მსურველი კომპანიების ვინაობაც დაასახელა. თუმცა, თუ რას და რამდენს სთავაზობს თითოეული მათგანი სახელმწიფოს "მადნეულის" სანაცვლოდ, ეს ჯერ კიდევ საიდუმლოდ რჩება. კახა დამენიას თქმით, წარმოდგენილი წინადადების დეტალური შინაარსი ჟურნალისტებისთვის, ისევე როგორც საზოგადოების თითოეული წევრისთვის, ცნობილი უახლოეს მომავალში გახდება. ერთი რამ ამ ეტაპზე უკვე ცნობილია - სს "მადნეული" აუცილებლად კონკურსის ფორმით გაიყიდება.

კახა დამენიას განმარტებით, მყიდველის შერჩევისას განსაკუთრებული ყურადღება მის მიერ შეთავაზებულ ფასს, გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩამონათვალს და საწარმოს განვითარებისათვის ინვესტიციების მოცულობას მიექცევა.

"მადნეულის" ყიდვით დაინტერესებული კომპანიებისა თუ ფიზიკური პირების გრძელი ნუსხა კი ასე გამოიყურება: "რისორსის ქეფითალ ფანდს" (ავსტრალია), "ლიუინ ჰოლდინგს" (ბაჰამა), "ევრაზიან მაინინგ კორპორეიშენ" (ბრიტანეთი-კოლუმბია), "ჰორსტ ვიზინგერ კონსალტინგ" (ავსტრია), "არმენიან კოპერ პროგრამ" (სომხეთი), "ორეზონ რისორსის ინკორფორეიტედი" (კანადა), "ბოლნისი გოლდ ენ ელ" (საქართველო), "დევიდ ჯეო სიმენი" (ბაჰამა), "ჩენგიზ გრუპ ეტი ბაკარ ა.ს" (თურქეთი), "ლონდონ ინტერნეიშენალ ბანკ" (დიდი ბრიტანეთი), "კაზრეთი მაინინგ" (საქართველო), "სტენტონ ექუითიზ კორპორეიშენ" (ვირჯინიის კუნძულები), "დენო" (შვეიცარია), "რუსინკორი" (რუსეთი), "სტენფორდ ინტერნეიშენალ" (აშშ), "რომთრეიდ ლიმითედ" (რუსეთი-შვეიცარია), "ფრანც გროუპ" (დუბაი), "კინგს უეი" (ყირგიზეთი), "ა-ტექ ინდასტრის" (ავსტრია), "იუჟურალზოლოტო" (რუსეთი) და "ჯიენ მენეჯმენტი" (გაერთიანებული სამეფო).

მართალია, გუშინ კახა დამენიამ დაინტერესებული კომპანიების მიერ შემოთავაზებული თანხის დასახელებისგან თავი შეიკავა, მაგრამ როგორც თავად მინისტრმა ლექსო ალექსიშვილმა ამ ორიდე კვირის წინ "მადნეულის" დათვალიერების დროს განაცხადა, საწარმოს გაყიდვიდან ბიუჯეტი, მინიმუმ, 40-50 აშშ დოლარს მიიღებს. მისივე თქმით, დაახლოებით ამ მოცულობის ინვესტიცია სჭირდება "მადნეულს" სრულფასოვანი და გამართული მუშაობისთვის.

შეგახსენებთ, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ სს "მადნეული" მის ბალანსზე არსებულ 7 აქტივთან ერთად გასაყიდად მიმდინარე წლის აპრილის ბოლოს გამოიტანა. ჯერჯერობით, არც ის არის საბოლოოდ გადაწყვეტილი, საწარმო 7 აქტივთან ერთად გაიყიდება თუ ცალ-ცალკე. როგორც კახა დამენია ამბობს, **"ეს დამოკიდებულია შემოთავაზებულ წინადადებებსა და ფასზე. თუკი საწარმოს მთლიანობაში უფრო ძვირად გავყიდით, ვიდრე დაშლილს, მაშინ "მადნეულს" ყველა თავის აქტივთან ერთად გავყიდით."**

ერთიან საპრივატიზაციო პაკეტში შედის: სს "მადნეულის" აქციათა 97,25 პროცენტი (აქციის ნომინალური ღირებულება 1 აშშ დოლარი); შპს "საქართველოს სამთამადნო კომპანია", შპს "ბელაზკავკაზტრანსსერვისისა" და შპს "ტრანსფეთქმზიდის" 100-100 პროცენტი, შპს "ეკოლოგის" 51 პროცენტი, შპს "კვარციტის", შპს "ტრანს ჯორჯიან რესორსისა" და შპს "საფეხბურთო კლუბ დინამოს" აქციათა 50-50 პროცენტი. ამ უკანასკნელის გარდა, "მადნეულისთვის" ყველა პროფილური საწარმოა.

### ვაგონშემკეთებელ ქარხანაზე შენელებული აუქციონი მიმდინარეობს

თბილისის ვაგონშემკეთებელი ქარხნის პრივატიზაციის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში ამჟამად ერთმანეთს კონკურენციას სამი კომპანია უწევს, რომელთაგანაც ეკონომიკური განვითარების სამინისტრო გამარჯვებულად ერთს დაასახელებს.

თბილისის ვაგონშემკეთებელი ქარხნის პრივატიზაციის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში სამი კომპანია მონაწილეობს, რომელთაგან ეკონომიკური განვითარების სამინისტრო გამარჯვებულად ერთს დაასახელებს.

როგორც ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ კახა დამენიამ განაცხადა, "ვაგონშემკეთებელი ქარხნის შესყიდვის მიზნით, ერთმანეთს კონკურენციას ამ ეტაპზე შემდეგი კომპანიები - შპს "თ.ჯ. თრეიდი" (საქართველო), ბოიკო (რუსეთი) და შპს "ტრანსლოგისტივი" (საქართველო) უწევენ.

**"ვაგონშემკეთებელ ქარხანაზე, ფაქტობრივად, შენელებული აუქციონი მიმდინარეობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ინვესტორები ფასებს თანდათან ზრდიან,"** - განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

ამ კომპანიებს შორის გამარჯვებულს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო უახლოეს მომავალში გამოავლენს.

დამენიას განცხადებით, იგივე პროცესი მიმდინარეობს კომპანია "აზოტზე" და ბათუმის ნავთობსტრუქტურაზეც (ნავთობაზა და ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა).

**"მიმდინარეობს მოლაპარაკებები დაინტერესებულ ინვესტორებთან, ისინი კონკურენციის ნიადაგზე თანდათან ზრდიან შესასყიდ ფასებს, ანუ აუმჯობესებენ საინვესტიციო წინადადებებს,"** - განაცხადა დამენიამ.

### "თბილისის საიუველირო ქარხნის" შეძენა არავის არ სურს

საპრივატიზაციოდ გამოცხადებული "თბილისის საიუველირო ქარხნის" (ზარაფხანა) შეძენის სურვილი, ჯერჯერობით, არც ერთმა კომპანიამ არ გამოთქვა. როგორც ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ კახა დამენიამ განაცხადა, ზარაფხანის პრივატიზებაზე ინტერესთა გამოხატვის ვადა 31 მაისს ამოიწურა, თუმცა გამოცხადებიდან (29 აპრილი) დღემდე, სამინისტროში არც ერთი საპრივატიზაციო წინადადება არ შესულა.

სახელმწიფო შპს "თბილისის საიუველირო ქარხნის" 100 %-იან წილს ყიდის. სამინისტროს ინფორმაციით, საწარმოს საწესდებო კაპიტალი 8,1 მლნ ლარია, შენობა-ნაგებობების საერთო ფართი 15,3 კვადრატული მეტრია.

"თბილისის საიუველირო ქარხანა" ოქროს საიუველირო ნივთებს აწარმოებს, რომელთა რეალიზება ადგილობრივ და რუსეთის ბაზარზე ხდება.

# კომუნალური მრიცხველები მეზობლებს შორის დაპირისპირების მიზეზი ხდება

*გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის გადაწყვეტილებამ თეთრიწყაროს რაიონის სოფელ მარაბდის მოსახლეობის ერთი ნაწილი ერთმანეთს ლამის საშვილიშვილოდ გადაკიდა. აქ თითქმის დღე არ გავა ისე, რომ მეზობლებს შორის ხმაურიანი შელაპარაკება არ მოხდეს, არცთუ იშვიათად საქმე ფიზიკურ შეურაცხყოფამდეც კი მისულა.*

ეთერ მამულაშვილი

ამ შემთხვევაში, მეზობლებს შორის დაპირისპირების მიზეზი გაერთიანებული სადიტრიბუციო კომპანიის მიერ ამ ცოტა ხნის წინათ სოფელში დამონტაჟებული ელექტროენერგიის კომუნალური (საერთო) მრიცხველი გახდა, რომლის მიხედვითაც, ადგილობრივი მოსახლეობა მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულებას ყოველი თვის ბოლოს თანაბრად უნდა იხდიდეს. პრობლემები და, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებრობა სწორედ აქ ჩნდება. კოლექტიურ საჩივარში, რომელიც ამ დღეებში რამდენიმე შესაბამისმა უწყებამ სოფელ მარაბდის მოსახლეობის ერთი ნაწილისგან მიიღო, ნათქვამია, რომ საერთო მრიცხველზე დაფიქსირებული მაჩვენებლის სოფლელებს შორის სამართლიანად გადანაწილება ვერა და ვერ ხერხდება. **"ხომ არ შეიძლება, მე და ჩემი მეზობელი, რომელსაც სახლში სახერხი საამქრო აქვს მოწყობილი, ელექტროენერგიის ღირებულებას თვის ბოლოს თანაბრად ვიხდიდეთ? ეს უსამართლობაა,"** - წუხს სოფელ მარაბდის მკვიდრი თემურ მაისურაძე, რომელმაც ამ დღეებში, სამართლის საპოვნელად, ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის მომხმარებელთა უფლებების დამცველ დავით ებრალიძეს მიმართა.

თუმცა, ამ მხრივ, სოფელი მარაბდა გამონაკლისი როდია. დაახლოებით, ანალოგიური მდგომარეობაა სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, ქვემო ქართლისა და გურიის ძალიან ბევრ სოფელში. იმ ადგილებში, სადაც ელექტროენერგიის კომუნალური მრიცხველის ავკარგიანობა მოსახლეობამ საკუთარ თავზე გამოსცადა, მეზობლებს შორის უკმაყოფილება და კამათი აქ დღითიდღე უფრო მწვავდება, და, როგორც ვარაუდობენ, ეს პრობლემა კიდევ ათეულობით სოფელსა თუ რაიონს მალე მოიცავს. რეგიონებში კომუნალური მრიცხველების დამონტაჟების პროცესი გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ ამ ბოლო დროს აქტიურად დაიწყო და, როგორც ამ სამსახურში განმარტავენ, ეს პროცესი 30 ივნისამდე უნდა დასრულდეს.

ნორმატიული აქტი, რომელიც გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას რეგიონებში კომუნალური მრიცხველების დამონტაჟების უფლებას აძლევს, ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ მიმდინარე წლის 6 აპრილს გამოსცა. გარდა ამისა, ეს დოკუმენტები ადგენს საერთო მრიცხველების დამონტაჟების წესებსა და ნორმებს, რომლის უგულებელყოფაში დავით ებრალიძე გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას ადანაშაულებს. **"ამ დოკუმენტის თანახმად, კომუნალური მრიცხველის ჩვენებით აბონენტებისთვის ელექტროენერგიის ხარჯის მოთხოვნას საფუძველი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს, როდესაც აბონენტს მრიცხველი არ გააჩნია, ან ტექნიკურად გაუმართავია, თანაც, როდესაც არსებობს უმრიცხველო აბონენტის ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობა საერთო მოხმარების მრიცხველზე აღრიცხული ელექტროენერგიის აბონენტებს შორის გადანაწილების თაობაზე,"** - განმარტავს დავით ებრალიძე.

მომხმარებელთა უფლებების დამცველი ირწმუნება, რომ გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ ძალიან ბევრ რაიონში საერთო მრიცხველი ისე დაამონტაჟა, რომ მას ადგილობრივი მოსახლეობისგან ამაზე არც სიტყვიერი და არც წერილობითი თანხმობა არ მიუღია. გარდა ამისა, ებრალიძის მტკიცებით ენერგოკომპანიამ კომუნალური მრიცხველი ბევრ ისეთ ადგილას დაამონტაჟა, სადაც მოსახლეობას ტექნიკურად გამართული მრიცხველი ჰქონდა. **"როგორც ჩანს, სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის რაიონული წარმომადგენლები არაფრად აგდებენ ამ წესებს და ისინი იძულების წესით დგამენ საერთო მრიცხველებს,"** - ამბობს დავით ებრალიძე.

გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში ებრალიძის ამ ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფენ, თუმცა აღიარებენ, რომ კომუნალური მრიცხველის დადგმის პროცესს ზოგიერთ რაიონში მოსახლეობის მხრიდან გარკვეული წინააღმდეგობა მართლაც ახლდა, თუმცა **"ჩვენ დავარწმუნეთ მოსახლეობა ამ მრიცხველების უპირატესობასა და სამართლიანობაში, რაზეც ისინი საბოლოოდ დაგვთანხმდნენ,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ავთო დვალიშვილმა. იმ უბნებში კი, სადაც ენერგოკომპანიამ ასეთი თანხმობა მოსახლეობისგან ვერ მიიღო, სემეკის ზემოთ ხსენებული დადგენილების საფუძველზე, აბონენტებს მოხმარებული ელექტროენერგიის გასაშუალებული მნიშვნელობა სემეკისვე დადგენილი ფორმულით განესაზღვრებათ. **"ჩვენი კომპანიის თანამშრომელი დეტალურად აღწერს იმ ელექტროხელსაწყოებს, რაც აბონენტს სახლში აქვს დადგმული, ანუ ეს ფორმულა ითვალისწინებს მოხმარებული ელექტროენერგიის საშუალო მაჩვენებლის გამოთვლას აბონენტის ბინაზე დადგმული სიმძლავრეების გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ჩვენ ვითვალისწინებთ ზამთრისა და ზაფხულის სეზონს,"** - გვითხრა ავთო დვალიშვილმა.

თავის მხრივ, საზოგადოებრივი დამცველი დავით ებრალიძე ამტკიცებს, რომ ხსენებული ფორმულა "მთლად კანონიერი არ არის", რადგან ანალოგიური ფიქსირებული გადასახადი საკონსტიტუციო სასამართლომ ამ ორიოდე წლის წინათ თბილისელი აბონენტებისთვის არაკონსტიტუციურად ცნო. **"ამაზე ვერაფერს გეტყვით. ამ შემთხვევაში ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმ წესებით, რაც სემეკმა დაგვიდგინა. თუმცა, ჩვენ გვესმის, რომ არც ერთი და არც მეორე ვარიანტი იდეალური არ არის, მაგრამ რაკი ამ ეტაპზე ჩვენ სახელმწიფო კომპანიას წარმოვადგენთ, სხვა უკეთესი გამოსავალი ვერ მოიძებნა. სახელმწიფოს ინდივიდუალური მრიცხველების საკუთარი სახსრებით დამონტაჟება ჯერ არ შეუძლია,"** - ასეთ კომენტარს აკეთებს ავთო დვალიშვილი სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის სახელით.

რეალურად, თავისი არგუმენტი ორივე მხარეს აქვს - ენერგეტიკა ძალიან ჰგავს "შეკრულ წრეს", საიდანაც გამოსავლის პოვნა ბოლო ათწლეულის განმავლობაში განსაკუთრებით გაძნელდა. ამ გამოსავლის ძიებაში კი, როგორც ყოველთვის, ყველაზე მეტად მომხმარებელი ზარალდება.

# ნებისმიერი პრობლემა თავში უნდა მოგვარდეს

თამარ მაისურაძე

"ვისაუბროთ და საქმე ვაწარმოოთ სახელმწიფო ენაზე," - ეს განცხადება ბოლნისის რაიონის გამგეობის კედლებზეა გაკრული. ქალაქ ბოლნისის მოსახლეობის ძირითად ნაწილს ქართველები შეადგენენ, რომელთა რაოდენობაც დაახლოებით 10-12 ათასია. თავად რაიონი 76 ათას მკვიდრს ითვლის. სოფლები აზერბაიჯანელებითაა დაკომპლექტებული. ერთი სიტყვით, ბოლნისის მოსახლეობის მხოლოდ 18 პროცენტია ქართველი ეროვნების.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალაქი ქართლს ეკუთვნის, ბოლნისს იქაურებიც და სტუმრებიც შერეულ ქალაქს ეძახიან. ერთ დროს გერმანელების ქალაქ ბოლნისში, მათი გასახლების შემდეგ, მოსახლეობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოასახლეს. მოხუცები როგორც ჰყვებიან, მაშინ (მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, ვიდრე გერმანელებს გაასახლებდნენ) ბოლნისი ულამაზესი ქალაქი ყოფილა. ძველი, გერმანული არქიტექტურა აქ დღემდეა შემორჩენილი. ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარების მიუხედავად, გერმანელების დანატოვარ "ისტორიას" არ ეხებიან, პირიქით, ქართველებისა და გერმანელების ერთობლივი პროექტის თანახმად, უახლოეს მომავალში ბოლნისში ისტორიული უბნის - პატარა ქალაქის მშენებლობაა დაგეგმილი.

პრობლემები ბოლნისელებსაც აქვთ, თუმცა ფაქტია, რომ ამ ქალაქის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ქვეყნის შიდა მიგრაციას აყოლილი არაა. რაც შეეხება პრობლემებს, მთავარი იქაც, როგორც დანარჩენ საქართველოში, მოსახლეობის დასაქმების პრობლემაა. იქაურების უმრავლესობა მადნეულის გადამამუშავებელ ქარხანაშია დასაქმებული. რაიონის ხელმძღვანელობა უმუშევრების რაოდენობის შესამცირებლად უახლოეს მომავალში ერთ დროს ცნობილი თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკის ამუშავებას გეგმავს. სავარაუდოდ, ფაბრიკაში 150 ადგილობრივი მოსახლე დასაქმდება.

ბოლნისის რაიონში სულ 57 სკოლა ფუნქციონირებს. აქედან 10 ქართული, 1 სომხური, ერთიც რუსული, დანარჩენი კი აზერბაიჯანული სკოლებია. როგორც ამ რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა სოფიკო ლარცულიანმა გვითხრა, განათლების სამინისტრო ბოლნისის რაიონში ქართული ენის სწავლების საკითხის მოგვარებას იქაურებს მომავალი სასწავლო წლიდან დაჰპირებია.

**"ჩვენს ქალაქში ელექტროენერგიის პრობლემა ჩვენს სასიკეთოდაა გადაჭრილი,"** - გვითხრეს გუშინ ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკში შეკრებილმა ბოლნისელებმა. ადგილობრივი ბიუჯეტის წყალობით მრავალშვილიან ოჯახებს ელექტროენერგიის გადასახადი, ფაქტობრივად, მოხსნილი აქვთ. დასვენების პარკში შეკრებილი ბოლნისელები კი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს აღნიშნავდნენ. პარკში რამდენიმე გასართობ-სანახაობრივი ღონისძიება ერთმანეთის პარალელურად მიმდინარეობდა. ახლადგახსნილ სპორტულ დარბაზში მომავალი ძიუდოისტები შეკრებილიყვნენ. სააქტო დარბაზში ჯერ ცეკვის ანსამბლი "ბოლნელი" წარდგა მაყურებელის წინაშე, შემდეგ კი თბილისიდან მოწვეულმა ანსამბლმა "უნივერსიტეტმა" იცეკვა ბოლნისელებისთვის.

პარალელურად, პარკის ამფითეარტში თოჯინების თეატრის წარმოდგენა გაიმართა. სამტერასიანი პარკის მეორე ტერასაზე ბავშვების კონცერტი მიმდინარეობდა. გვერდით კი გამოფენილი იყო ნამუშევრები ბოლნისის 7 საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისა, რომლებიც რაიონის ხელმძღვანელობის სახელით სხვადასხვა საჩუქრებით დაასაჩუქრეს.

მოგვიანებით, კინოთეარტ "ბოლნისში" ბავშვებმა მულტფილმები და ფილმები ნახეს. კინოთეატრი პატარებს უფასოდ მასპინძლობდა, თუმცა როგორც ბოლნისელებმა აღნიშნეს, ეს მათთვის სიურპრიზი არ ყოფილა, რადგან ბოლო ხანია, "ბოლნისში" მაყურებელი უფასოდ სტუმრობს.

ბავშვთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა საღამოს კულტურის სახლში დედაქალაქიდან ჩასული სტუმრების კონცერტით დასრულდა. მაყურებლის წინაშე ანსამბლი "ალილო" წარდგა, რომელსაც სახელწოდება საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით მიუღია.

როგორც ბოლნისელებმა გვითხრეს, რაიონის ხელმძღვანელობა ერთ-ერთ პრიორიტეტად ჯანდაცვის სფეროს ასახელებს.

**"ჩვენს რაიონში ერთ-ერთი ყველაზე გლობალური პრობლემა "მადნეულის" კვარციტისგან მიყენებული ზიანია, რაც ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე აისახება. ამდენად, მუნიციპალური პროგრამების გარდა, კიდევ ვცდილობთ, მოსახლეობა დამატებითი უფასო სამედიცინო მომსახურებით უზრუნველვყოთ.**

**თავად "მადნეულის" საკითხი ბოლო 10-12 წლის განმავლობაში ნომერ პირველ პრობლემად დგას, თუმცა რეალურად მის მოსაგვარებლად არაფერი გაკეთებულა. შედეგად კი რაიონის მოსახლეობაში ძალიან მატულობს 21-ე საუკუნის დაუძლეველი სენით, სიმსივნით დაავადებულთა რაოდენობა. გახშირდა მკვდრადშობადობა, ბავშვები იბადებიან თანდაყოლილი პათოლოგიებით, ყველაფერი ეს კი მდინარე მაშავერას დაბინძურების შედეგია. "მადნეულის" კვარციტისგან სერიოზულად იწამლება ცენტრალური სარწყავი მდინარე, რაც ჯერ საკვებ პროდუქტზე აისახება, შემდეგ კი მოსახლეობაზე. საკვები პროდუქტი ხომ ქვეყნის ბაზარზე გადის.**

**კვარციტის მოგების გადასახადიდან რაიონს არცთუ მცირე თანხა რჩება. სწორედ ამ თანხით ვაპირებთ მაშავერას დასუფთავებას. გამოვაცხადეთ კონკურსი, უკვე გამოვავლინეთ გამარჯვებული პროექტი. ამდენად, მაშავერაზე ჰიდროელექტროსადგურის მსგავსი კაშხალის აშენებას ვგეგმავთ. გადაიკეტება მდინარე, რომელსაც მოსახლეობა გაწმენდილი სახით მიიღებს. ამ შემთხვევაშიც მოგებას ვნახავთ - მძიმე მეტალს, რომელიც მდინარეში გროვდება, თავისი მომხმარებელი ჰყავს. მაგალითად, როგორიცაა ფერადი ლოთონი სპილენძი და ა.შ. ამ მშენებლობის დასრულების შემდეგ კი ჰესის გაკეთებაც გვინდა. ამდენად, მოგებაც გვექნება და ელექტროენერგიაც,"** - გვითხრა ბოლნისის რაიონის გამგებელმა გიორგი არევაძემ.

**"ნებისმიერი პრობლემა თავში უნდა მოგვარდეს,"** - ფიქრობს იგი. პრობლემა კი ბოლნისში მიწის საკითხთან დაკავშირებითაც იყო. თუმცა, დღევანდელი ხელმძღვანელობა როგორც აფასებს, პრობლემა მიწა კი არა, არასწორი ადმინისტრირება გახლდათ, რადგან ღია კონკურსის გამართვისა და მიწის იჯარით აღების შემდეგ მიწის საკითხი უპრობლემოდ მოგვარდა.

მართალია, ბოლნისის რაიონი ამ გაზაფხულის წყალდიდობებს გადაურჩა, მაგრამ რამდენიმე დღის წინ წვიმამ და სეტყვამ ძალიან დააზარალა. **"ჩვენი რაიონი, როგორც დანარჩენი საქართველო, სოფლის მეურნეობის განვითარებით არსებობს, მოსავლის განადგურებასთან ერთად, წვიმამ და სეტყვამ გზებიც დააზიანა. მართალია, ბავშვების დღეს პრობლემებზე ლაპარაკი უხერხულია, მაგრამ მომავალზე ფიქრი ხომ ბავშვებზე ფიქრთან ასოცირდება,"** - გვითხრა დასასრულს ბოლნისის რაიონის გამგებელმა.















**1**

იურიდიული ოფისი **,,გაპი"** და გაზეთი **"24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.**

**2**

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის ქვითრები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის ქვითრის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

**3**

ყუთები განთავსებული არიან ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართზე:

1. მეტროს სადგური ,,ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური ,,მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური ,,თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური ,,წერეთელი";
5. მეტროს სადგური ,,სამგორი II";
6. მეტროს სადგური ,,ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური ,,გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური ,,დელისი");
8. მეტროს სადგური ,,ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური ,,დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი ,,გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# უფასო იურიდიული კონსულტაცია

## "24 საათის" მკითხველისთვის

**მარიკა კაკულია**

1. ჰქონდა თუ არა უფლება ექიმს უფლება სამშობიარო სახლიდან და თუ აქვს რა ვითარებაში გააშვილოს ახალშობილი მშობლების თანხმობის გარეშე (თუ დედა არის მძიმე მდგომარეობაში, მაგრამ გონებაზე, სახლში ყავს ორი მცირეწლოვანი, ექიმის აზრით, ავადმყოფი ბავშვები (ინვალიდი), მშობლებს არ ჰქონდათ მშობლლის უფლება ჩამორთმეული? 2. ვის აქვს უფლება (კერძოდ სისხლით ნათესავებიდან), მშობლების თანხმობის გვერდის ავლით გააშვილოს ახალშობილი, თუ მშობლები იმყოფებიან კანონიერ ქორწინებაში, მატერიალურად უზრუნველყოფილი და ფსიქიკურად ნორმალურ მდგომარეობაში? 3. თუ პირველი ორი ბავშვი, ექიმის აზრით, არიან ავადმყოფები-შთამომავლობით ინვალიდები (კუნთოვანი სისუსტით-მომავალი კი ინვალიდის ეტლია). ასევე ამავე ექიმის "წინასწარ გამჭრიახობით" ბავშვებს აქვს მძიმე გონებრივი ჩამორჩენა (რაც არ გამართლდა-ბავშვებმა გაიარეს და იყვნენ ხუთოსნები როგორც სკოლაში, ისე ინსტიტუტში). ნუთუ ასეთი დამძიმებული გენეტიკური თვალსაზრისით ოჯახის ბავშვი ითვლება კარგ, ჯანმრთელ ბავშვად და ვარგისია გასაშვილებლად, მითუმეტეს თუ ეს ბავშვი არის დღენაკლული?

ქალბატონო მარიკა,

სამოქალაქო კოდექსის 1251-1255-ე მუხლების თანახმად:

**მუხლი 1251. მშობლების თანხმობა გაშვილებისას**

1. იმ ბავშვის გასაშვილებლად, რომელსაც მშობლები ჰყავს, აუცილებელია მათი თანხმობა. მშობლების თანხმობა გაშვილებაზე უნდა გამოითქვას წერილობით.

2. მშობლებს შეუძლიათ ბავშვის გაშვილებაზე თანხმობა მისცენ კონკრეტულ პირს (პირებს)ან თანხმობა განაცხადონ გაშვილებაზე კონკრეტული პირის მიუთითებლად და მშვილებლის შერჩევა მიანდონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

3. თუ გაშვილების თანხმობა გაცემულია კონკრეტული პირის სახელზე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო იძლევა დასკვნას, რომ ასეთი გაშვილება შეესაბამება ბავშვის ინტერესებს.

**მუხლი 1252. ქორწინებისგარეშე დაბადებული ბავშვის შვილება**

ქორწინებისგარეშე დაბადებული ბავშვის შვილად აყვანისას აუცილებელია დედის თანხმობა.მესამე პირის მიერ ასეთი ბავშვის შვილად აყვანისას დედის თანხმობა არ მიიღება, თუ მამამ შეიტანა განცხადება მამობის დადგენის ან ბავშვის შვილად აყვანის შესახებ.

**მუხლი 1253. მეურვეობაში მყოფი ბავშვის შვილება**

1. იმ ბავშვის შვილად აყვანისათვის, რომელიც მეურვეობაში (მზრუნველობაში) იმყოფება, თუ მას მშობლები არა ჰყავს, აუცილებელია მეურვის (მზრუნველის) წერილობითი თანხმობა, ხოლო იმ ბავშვის შვილად აყვანისათვის, რომელიც საბავშვო დაწესებულებაში იმყოფება - საბავშვო დაწესებულების ადმინისტრაციის თანხმობა.

2. საბავშვო დაწესებულების ადმინისტრაციამ ამ დაწესებულებაში ბავშვის მოყვანისას უნდა გაარკვიოს, თანახმა არის თუ არა მშობელი ბავშვის გაშვილებაზე.

**მუხლი 1254. გაშვილება მშობლის თანხმობის გარეშე**

1. გაშვილებაზე მშობლის თანხმობა საჭირო არ არის, თუ იგი აღიარებულია ქმედუუნაროდ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად.

2. მშობლის უფლებაჩამორთმეული მშობლის(მშობლების) თანხმობის მიუღებლად ბავშვის გაშვილება დასაშვებია ერთი წლის შემდეგ ამ უფლების ჩამორთმევის დღიდან.

**მუხლი 1255. ათი წლის ასაკს მიღწეული ბავშვის შვილება**

1. იმ ბავშვის შვილად აყვანა,რომელსაც ათი წელი შეუსრულდა, დაუშვებელია მისი თანხმობის გარეშე.

2. ბავშვის თანხმობას არკვევს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

3. თუ შვილად აყვანის შესახებ განცხადების წარდგენამდე ბავშვი მშვილებლის ოჯახში ცხოვრობდა და მშვილებელს თავის მშობლად თვლიდა, შვილება, როგორც გამონაკლისი, შეიძლება შვილად ასაყვანის თანხმობის გარეშე.

აქვე გაცნობებთ, რომ თქვენს კითხვაში ჩამოყალიბებული ქმედება ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, კერძოდ სსკ-ის 173-ე მუხლით "შვილად ან შვილობილად აყვანის წესის დარღვევა" და 143-ე მეორე მუხლით "არასრულწლოვანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)".

ქალბატონო მარიკა, ზემოთ აღნიშნული შემთხვევა თუ გიკავშირდებათ თქვენ ან თქვენთვის ცნობილია ის პიროვნება, ვისთანაცაა დაკავშირებული აღნიშნული ფაქტი, ჩვენი ოფისი მზადაა, სრულიად უსასყიდლოდ დაიცვას დაზარალებული მშობლის ინტერესები.

პავლე ჩემია

ვარ კანონმორჩილი მოქალაქე (სკოლა და ინსტიტუტი რუსულად დავამთავრე). გთხოვთ, თქვენს განმარტებას შემდეგ საკითხზე: 1. მშობლები ისე გარდაიცვალნენ, რომ ანდერძი ან ჩუქება შვილებზე (ვართ და-ძმა) არ დაუტოვებიათ. როდესაც ბინის პრივატიზაცია მოხდა, ბინაში რეგისტრირებული (ჩაწერილი) ვიყავით ორი პირდაპირი მემკვიდრე, მე და ჩემი და. რამოდენიმე წლის შემდეგ ჩემი და გადაეწერა ქმრის ბინაში. გთხოვთ, მიპასუხოთ, ეკუთვნის თუ არა ბინის წილი ჩემს დას (ის ხომ თავის მშობლების ბინაში ჩაწერილი აღარ არის). თუ ეკუთვნის რამდენი? 2. სოფელშიც გვაქვს მშობლების ბინა, ჩემმა დამ თვითნებურად შელობა ჩემი ნაყიდი (კომუნისტების დროინდელი) 35 მეტრი ნერჟავეიკის სეტკით ღობე და ცდილობს დაისაკუთროს ჩემი მშობლების დანატოვარი სოფლის სახლი. მაქვს თუ არა უფლება ჩემი მშობლების დანატოვარი სოფლის სახლი გავყიდო დის დაუკითხავად?

ბატონო პავლე,

თუ თქვენი მშობლები გარდაიცვალნენ 1997 წლის 25 ნოემბრის შემდეგ, მაშინ აღნიშნულ ურთიერთობაზე გავრცელდება ახალი სამოქალაქო კოდექსის ნორმები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსად არეგულირებდა აღნიშნულ საკითხს 1964 წლის სამოქალაქო კოდექსი.

ამრიგად, თუ თქვენი მშობლების გარდაცვალებისას ბინა პრივატიზირებული არ იყო, იგი არ შევიდოდა სამკვიდრო ქონებაში. თქვენ და თქვენ დას უნდა მოგეხდინათ მისი პრივატიზირება. ამ შემთხვევაში ბინის მესაკუთრე გახდებოდა ის, ვინც მესაკუთრედ დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში. დანარჩენი სამკვიდრო ქონება კი თანაბრად გეკუთვნით. ხოლო თუ თქვენი მშობლების გარდაცვალებისას ბინა პრივატიზირებული გახლდათ, სამკვიდრო ქონებას თანაბრად მიიღებდით თქვენ და თქვენი და. 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის 1336-ე,1421-ე,1424-ე,1452-ე,1454-ე მუხლების მიხედვით:

**მუხლი 1336. კანონით მემკვიდრეები**

კანონით მემკვიდრეობის დროს თანასწორი წილის უფლებით მემკვიდრეებად ითვლებიან:

I. პირველ რიგში - გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები (მშვილებლები).

**მუხლი 1421. სამკვიდროს მიღება**

1. სამკვიდროს იღებს მემკვიდრე, იქნება იგი კანონით თუ ანდერძით მემკვიდრე.

2. მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო.

3. თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი.

4. თუ ერთ-ერთი მემკვიდრე სამკვიდროდან წილის მიღებაზე უარს იტყვის სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ, ასეთი მოქმედება ჩაითვლება სამკვიდროს მიღებად.

**მუხლი 1424. სამკვიდროს მიღების ვადა**

სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან.

**მუხლი 1452. ცნება**

სამკვიდროს გაყოფა ხდება სამკვიდროს მიმღები მემკვიდრეების შეთანხმებით იმ წილის კვალობაზე, რაც თითოეულ მათგანს კანონით ან ანდერძით ერგებათ.

**მუხლი 1454. სამკვიდროდან წილის გამოყოფა ნატურით**

თითოეულ მემკვიდრეს შეუძლია მოითხოვოს თავისი წილის გამოყოფა ნატურით როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონებიდან, თუ ასეთი გამოყოფა შესაძლებელია ან აკრძალული არ არის კანონით.

**პავლე საგდიევი**

1. ჩემი მშობლების (ისინი გარდაიცვალნენ) კუთვნილი უძრავ-მოძრავი ქონება ნოტარიული წესით მთლიანად ჩემზე გაფორმდა, ჩემმა დამ ნოტარიული წესით უარი თქვა კუთვნილ წილზე ჩემს სასარგებლოდ. პრივატიზაციიდან რამოდენიმე წლის შემდეგ და ამოეწერა ჩვენი ბინიდან. გთხოვთ, მიპასუხოთ, ახლა აქვს თუ არა უფლება ჩემ დას მოითხოვოს თავისი კუთვნილი წილი, თუ ეკუთვნის რა რაოდენობით (გთხოვთ, მიუთითოთ წყარო)? 2. ვის უნდა მივმართო, რომ ბინას დაედოს ყადაღა?

ბატონო პავლე,

თუ თქვენი მშობლები გარდაიცვალნენ 1997 წლის 25 ნოემბრამდე, მითითებულ საკითხზე გავრცელდება 1964 წლის სამოქალაქო კოდექსის ნორმები, სხვა სემთხვევაში კი 1997 წლის ახლი სამოქალაქო კოდექსის ნორმები.

1964 წლის სამოქალაქო კოდექსის 560-ე მუხლის თანახმად, კანონისმიერ ან ანდერძისმიერ მემკვიდრეს შეეძლო ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან უარი ეთქვა მემკვიდრეობაზე, ამასთან, მას შეეძლო განეცხადებინა, რომ უარს ამბობს მემკვიდრეობაზე სხვა პირების სასარგებლოდ კანონისმიერ მემკვიდრეთა ან ანდერძისმიერ მემკვიდრეთა წრიდან. მემკვიდრეობაზე უარის სათქმელად მემკვიდრეს უნდა შეეტანა განცხადება სამკვიდროს გახსნის ადგილას სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელ ორგანოში. აგრეთვე ახალი 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის 1421-ე და 1424-ე მუხლების თანახმად:

**მუხლი 1421. სამკვიდროს მიღება**

1. სამკვიდროს იღებს მემკვიდრე, იქნება იგი კანონით თუ ანდერძით მემკვიდრე.

2. მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო.

3. თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი.

4. თუ ერთ-ერთი მემკვიდრე სამკვიდროდან წილის მიღებაზე უარს იტყვის სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ, ასეთი მოქმედება ჩაითვლება სამკვიდროს მიღებად.

**მუხლი 1424. სამკვიდროს მიღების ვადა**

სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან.

ამრიგად, თუ თქვენი მშობლების გარდაცვალების შემდეგ უარი განაცხადა თქვენმა დამ თავის კუთვნილ წილ ქონებაზე თქვენს სასარგებლოდ, თქვენ გახდებოდით სამკვიდრო ქონების მესაკუთრე. თუ თქვენი მშობლები გარდაიცვალნენ 1992 წლამდე, მაშინ მრავალბინიან სახლებში განთავსებული ბინები წარმოადგენდა რა სახელმწიფო საკუთრებას, იგი არ შევიდოდა სამკვიდრო ქონებაში და მისი პრივატიზირება შეეძლო მასში მცხოვრებ პირებს. ამდენად თუ თქვენმა დამ ამ შემთხვევაშიც უარი განაცხადა ბინის მესაკუთრეობაზე, რაც 1993 წლის ხუთ ივლისს მიღებულ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებამდე უნდა დამოწმებულიყო სანოტარო წესით, ხოლო შემდეგ კი საკმარისი გახლდათ უბრალო თანხმობა, მაშინ ბინის მესაკუთრეც თქვენ გახდებოდით. ხოლო თუ თქვენი მშობლები გარდაიცვალნენ 1992 წლის 1-ლი თებერვლის შემდეგ და მათ მოახდინეს ბინის პრივატიზირება, ბინა შევიდოდა სამკვიდრო ქონებაში. რაც შეეხება ბინაზე ყადაღის დადებას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე და 192-ე მუხლების, ასევე 198-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად:

**მუხლი 191.** განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ

მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, აგრეთვე მითითებას იმაზე, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს საჭიროდ.

**მუხლი 192.** განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე

1. განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე.

2. ასეთ შემთხვევაში მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე სასამართლო დანიშნავს ვადას, რომლის განმავლობაშიც, თუ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შემომტანი პირი არ აღძრავს სარჩელს, სასამართლო მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველსაყოფად მის მიერ მიღებული ღონისძიებების გაუქმების შესახებ.

**მუხლი 198.** სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები

1. საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს სასამართლო.

2. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს.

ა) ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქაღალდებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან.

ე.ი. რაიმე ქონებაზე ყადაღის დასადებად, საჭიროა მოსარჩელემ შეიტანოს სასამართლოში განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სადავო ქონებაზე ყადაღის დასადებად. სასამართლო კი შემდგომ საქმეში არსებული მასალების საფუძველზე გამოიტანს გადაწყვეტილებას.

**ლიანა ხარაიშვილი**

ვარ მეორე ჯგუფის ინვალიდი, სამი წლის წინ ვიწექი ხუდადოვზე ტუბერკულიოზის საავადმყოფოში სამ-სამი თვე, შემდეგ ვმკურნალობ ფილტვებს ორივე ტუბერკულიოზით თბილისში ბორჯომის ქუჩაზე ტუბერკულიოზის დისპანსერში. საავადმყოფომ და დისპანსერმა ერთად ათი თვის ბიულეტენი მომცა. სამი წელი გავიდა, დღემდე არც ერთი თვის თანხა არ ამილია. სადაც მე ვმუშაობ არა აქვთ მუშაობა და ვერ მიხდიან ბიულეტენის ფულს. მე ძირითადად სახლში ვარ. გარეთ იშვიათად დავდივარ სისუსტის გამო. ოჯახში შვილი უმაღლესი განათლებით არის და არ მუშაობს. მეუღლე მუშაობს დღეში ოთხ ლარს ღებულობს. მე მჭირდება კვება. ამ თანხით რაც მერგება ფილტვებს ვუმკურნალებდი. იქნებ დამეხმაროთ, ვის მივმართო ჩემი საავადმყოფოს ფურცელი, რომ გამინაღდონ?

ქალბატონო ლიანა,

მითითებულ შემთხვევაში ვალდებულია გასცეს ფულადი თანხა მხოლოდ იმ საწარმომ, დაწესებულებამ, ორგანიზაციამ, სადაც თქვენ მუშაობდით მკურნალობის პერიოდში.

**ზინა ლომაძე**

1. ვარ მარტოხელა, ვღებულობ დახმარებას 22 ლარს. გასულ წლებში დროულად ვღებულობდი, ახლა კი იგვიანებს ერთი თვით (რა არის ამის მიზეზი)? 2. მისაღები გვქონდა დახმარების დავალიანება 1999 წლის მთლიანი თანხა 90 ლარის ოდენობით. ეს უნდა მიგვეღო გასულ წელში, რომელიც დღესაც მიუღებელია. რა არის ამის მიზეზი, გვართმევენ თუ გვაძლევენ? 3. შეიძლება თუ არა დახმარება და პენსია ერთად მივიღოთ? 4. სამსახურის პერიოდში დანაზოგი მაქვს ხელფასზე და ანაბარზე შეტანილი 1200 მანეთამდე, რომელიც მინდოდა მოხუცებულობაში დამხმარებოდა. გთხოვთ, შეიძლება თუ არა ეს თანხა ჩვენ როგორც უპატრონოებს და შეჭირვებულებს მოგვცეთ? 5. სოფელში დარიგდა ე.წ. "სალიარკა", ოჯახში სადაც ცხოვრობს ორი კომლი, მოუწია ერთს ერთი ... , რა არის ამის მიზეზი?

ქალბატონო ზინა,

თქვენ მითითებულ საკითხზე ინფორმაციის მოპოვება შეგიძლიათ ადგილობრივ სოც.უზრუნველყოფის ორგანოში, რომელიც პირის განცხადების საფუძველზე ვალდებულია, გასცეს საჯარო ინფორმაცია. რაც შეეხება პენსიის და დახმარების ერთად მიღებას, ეს საქართველოს კანონმდებლობით დასაშვებია. როგორც თქვენ მიუთითებთ, იღებთ 22 ლარიან დახმარებას, სწორედ ეს თანხა წარმოადგენს თქვენს მიერ აღნიშნულ "დახმარებას", რომელის სოციალურად დაუცველ ფენას ეძლევა პენსიის გარდა. რაც შეეხება დიზელის დარიგებას, თუ ვის და როდის უნდა დარიგებოდა იგი, ასევე შეგიძლიათ გაარკვიოთ ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოში-სოფლის საკრებულოსა თუ მის გამგეობაში, რომელიც ვალდებულია, გასცეს საჯარო ინფორმაცია პირის მიერ განცხადების წარდგენისას.

**მაია მექვაბიშვილი**

33-34 წლის წინ ერთ-ერთ სამშობიარო სახლში დედის თანხმობის გარეშე მძიმე მშობიარობის შემდეგ, მესამე დღეს გამოუცხადეს, რომ ჩვენი უმცროსი ტყუპი ძმები უეცრად ერთი მეორის მიყოლებით, დროის მცირე მონაკვეთში გარდაიცვალნენ. ნათესავებს ეთქვა უარი გარდაცვლილების ნახვაზე და მიცემაზე იმ მიზეზით, რომ უკვე (იმავე დღეს) დაასაფლავეს იმიტომ, რომ სამშობიარო სახლიდან გარდაცვლილებს არ ვატანთ, არც გვაქვს უფლება გავახმაუროთ სამედიცინო საიდუმლო. ანუ ვთქვათ, სად და რა ნომრით არიან ისინი დამარხული, ამიტომ ვერც საბუთს ვერ მოგცემთო. ასე 7-8 წლის წინ, როდესაც ოჯახით ვიყავით ქალაქიდან გასული, მეზობლების გადმოცემით, მოვიდა ორი მგზავრი, ვაჟები, რომლებიც ეძებდნენ გასაცნობად ორ "დავარდნილ" დებს (ეგებ დახმარება სჭირდებათ რამეო), მაგრამ დედ-მამის ნახვა არე გვინდა, რათა მათ ჩვენ გაგვყიდესო, რაც არ შეესაბამება სიმართლეს და დედა იყო მძიმეთ (თითქმის უგონოდ), მამა სპეციალობით მეზღვაური იმყოფებოდა რეისში საზღვარგარეთ, მივმართეთ ზემდგომ ორგანოებს, პასუხად მივიღეთ: არ გვაქვს შვილობის საიდუმლოს გაცემის უფლება, რომ გამოვითხოვოთ და ვიპოვოთ, თქვენ მაინც არ გეტყვით და თურმე არც ჩვენ გვაქვს მათი ძებნის უფლება. ამ გარემოების გათვალისწინებით შეესაბამება თუ არა ეს სიმართლეს და თუ კი არა, რა ასაკში შეიძლება ჩვენ მოვძებნოთ ისინი? ნუთუ ძმების გვარების გაგების უფლებაც არა გვაქვს, რომ სამომავლოდ დავიცვათ ჩვენი შვილები სისხლის ნათესავების შორის ქორწინებისაგან?

ქალბატონო მაია,

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 31-ე, 37-ე, 39-ე, 44-ე მუხლების თანახმად:

"მუხლი 31. საჯარო ინფორმაციის განსაიდუმლოების ვადა

1. ... პირადი საიდუმლოება დახურულია პირის სიცოცხლის მანძილზე, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 37. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

1. ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი.

2. საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას. განცხადებაში აუცილებელი არ არის მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი. სხვისი პერსონალური მონაცემების ან კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის თაობაზე განცხადების შეტანისას განმცხადებელი, გარდა კანონიით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წარადგენს შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებულ თანხმობას.

**მუხლი 39. პერსონალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა**

პირს არ შეიძლება უარი ეთქვას იმ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც იძლევა ამ პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას და ამ კოდექსის თანახმად სხვა პირებისათვის ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს. პირს აქვს უფლება გაეცნოს მის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები.

**მუხლი 44. პერსონალური მონაცემების საიდუმლოება**

1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში - სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა.

2. პირს უფლება აქვს პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობაზეწ უარის თქმის სესახებ საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილება გაასაჩივროს ერთი თვის ვადაში.

3. სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება პერსონალური მონაცემების განსაიუდუმლოების შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია სხვა მტკიცებულებებით საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა და ამოიუწურა სხვა წყაროდან ამ ინფორმაციის მიღების ყველა სხვა შესაძლებლობა."

ამრიგად, მითითებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახლავთ იმ პირებისათვის, ვისაც იგი ეხება.

**ლალი ძებისაშვილი**

გთხოვთ, მიპასუხოთ, საჯარო რეესტრში გასატარებლად, როდესაც ხდებოდა ქონების გასხვისება, რა საბუთები იყო საჭირო 2003-2004 წლებში? წინა ნომერში თქვენ მიუთითეთ სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლზე, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის, სადაც წერია "სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მუშაობს მოსამსახურე, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი". ორგანო გასაგებია, მაგრამ რას ნიშნავს "სახელმწიფო"? რა დატვირთვა აქვს სიტყვა "სახელმწიფოს"? რა იგულისხმება "სახელმწიფოში"-ვის ვუჩივლო კონკრეტულად? გავრცელდა თუ არა სასამართლოების გამსხვილების რეფორმა რეგიონებში? კონკრეტულად სარჩელი სამოქალაქო საქმეზე, წალენჯიხის რაიონის მოპასუხეზე სად უნდა შევიტანო?

ქალბატონო ლალი,

საჯარო რეესტრში ქონების გასხვისებისას საჭირო გახლდათ და არის, წარდგენილ იქნეს ნოტარიულად დამოწმებული გასხვისების ხელშეკრულება (ნასყიდობის, ჩუქების, გაცვლის), ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ქონების მესაკუთრის შესახებ, ქვითარი სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის შესახებ, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. სხვა დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ, გაიგოთ ადგილზე საჯარო რეესტრში, რომელიც როგორც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის მე-5, მე-6, მე-7, მე-8 ნაწილების, 39-ე მუხლის, 40-ე მუხლის თანახმად:

მუხლი 30. სამოქალაქო სარჩელი და მისი წარდგენის საფუძველი

1. პირს, რომელსაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიადგა ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი, უფლება აქვს სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და ამ მიზნით წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი.

მუხლი 31. სამოქალაქო სარჩელის საგამოძიებო ქვემდებარეობა და განსჯადობა

1. სამოქალაქო სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს იმ გამომძიებელთან ან პროკურორთან, რომლის წარმოებაშიცაა სისხლის სამართლის საქმე.

2. სამოქალაქო სარჩელს განიხილავს და წყვეტს სასამართლო, რომლის განსჯადიცაა სისხლის სამართლის საქმე.

მუხლი 33. სამოქალაქო სარჩელის წარდგენა

5. სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმეზე სახელმწიფო ბაჟით არ იბეგრება.

6. პირს, რომელსაც არ წარუდგენია სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმეზე, ასევე პირს, რომლის სარჩელიც განუხილველი დარჩა, უფლება აქვს წარადგინოს იგი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

7. სამოქალაქო სამართალწარმოების წესით წარდგენილ სარჩელზე უარის მიღება მოსარჩელეს უფლებას ართმევს განმეორებით წარადგინოს იგივე სარჩელი სისხლის სამართლის საქმეზე.

8. სისხლის სამართლის საქმეზე სარჩელის უარყოფის შემთხვევაში აღარ შეიძლება მისი წარდგენა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

მუხლი 39. მატერიალური სამართლის ნორმების გამოყენება სამოქალაქო სარჩელის განხილვისას

1. სამოქალაქო სარჩელის განხილვისას ზიანის ანაზღაურების საფუძველს, პირობას, მოცულობასა და წესს განსაზღვრავს სამოქალაქო, შრომის და სხვა კანონმდებლობა.

2. სისხლის სამართლის საქმეთა გამო აღძრულ სამოქალაქო სარჩელებზე არ ვრცელდება სამართლის სხვა დარგებში დადგენილი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები.

მუხლი 40. მოსარჩელის უარი სამოქალაქო სარჩელზე

1. სამოქალაქო მოსარჩელეს საქმის წარმოების ნებისმიერ მომენტში უფლება აქვს უარი თქვას სარჩელზე.

2. მოსარჩელისაგან უარის მიღებამდე გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე ან სასამართლო, რომლის წარმოებაშიცაა სისხლის სამართლის საქმე, ვალდებულია მოსარჩელეს განუმარტოს სამოქალაქო სარჩელზე მისი უარის სამართლებრივი შედეგები და შეადგინოს ოქმი ან ამის შესახებ სათანადო აღვნიშვნები შეიტანოს შესაბამის საგამოძიებო ოქმში.

3. სამოქალაქო სარჩელზე უარის მირების შესახებ ორგანოს, რომელიც პროცესს აწარმოებს, გამოაქვს განჩინება (დადგენილება).

4. სარჩელზე უარს მოსდევს სარჩელის გამო წარმოების შეწყვეტა, რაც სამოქალაქო საქმეზე მოსარჩელეს ართმევს უფლებას განმეორებით წარუდგინოს სარჩელი იმავე პირს და იმავე საფუძვლით, როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

რაც შეეხება 1005-ე მუხლს, ამ შემთხვევაში სამოქალაქო წესით სარჩელის წარდგენის უფლება გაქვთ მოსამსახურისა და იმ ორგანოს წინაშე, სადაც იგი მუშაობს. აქ მხედველობაშია მისაღები მოსამსახურის მიერ თავისი სამსახურეობრივი მოვალეობის დარღვევა, სხვა შემთხვევაში, თუ მოსამსახურე თავის სამსახურეობრივ მოვალეობას არ არღვევს და თვითონ , როგორც ფიზიკური პირი, არღვევს სხვის უფლებებს, მაშინ პასუხს აგებს მხოლოდ თვითონ, ხოლო სახელმწიფოსა თუ მისი ორგანოს პასუხისმგებლობა კი გამორიცხება. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ დაზარალებული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ შეეცადა სამართლებრივი გზებით აეცილებინა ზიანი. ჩვენს მიერ მითითებული მუხლით გამოწვეული ზიანი წარმოადგენს დელიქტურ ზიანს და 1008-ე მუხლის თანახმად:

მუხლი 1008.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

რაც შეეხება სასამართლოების გამსხვილებას, პრეზიდენტის ბრძანებულების "რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 14 ნოემბრის ნომერ 649 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე თანახმად (მიღებული 12.04.2005წ.), მხოლოდ თბილისში მოხდა სასამართლოების გაუქმება და ერთიანი საქალაქო სასამართლოს შექმნა, სხვა სასამართლოების სამოქმედო ტერიტორია კი უცვლელი დარჩა და იგი ემთხვევა შესაბამისი რაიონის ადმინისტრაციულ საზღვარს.

ამრიგად, თუ თქვენ ზიანი მოგადგათ მითითებული პირის მიერ მის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის დარღვევით, სარჩელი შეგიძლიათ შეიტანოთ მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ ამ კონკრეტული ფაქტის გამო აღძრული გახლავთ სისხლის სამართლის საქმე, სარჩელის წარდგენა შეგიძლიათ იმ საგამოძიებო ორგანოში, რომელიც აწარმოებს გამოძიებას.

**გიორგი მიქიაშვილი**

1995 წლის 18 მაისს, მე და ჩემმა მეუღლემ გამოვცვალეთ რუსული პასპორტები და ავიღეთ ახალი, ქართული პირადობის მოწმობები (რომელთაც ვადა 2015 წელს უმთავრდებათ, ე.ი. კიდევ ათი წელი უნდა გვქონეს ისინი). Aსევე აიღო ერთმა შვილმაც (ცოტა მოგვიანებით). სამივეში მითითებულია მცდარი ბინის ნომერი, წერია სარაჯიშვილის 15, ბინა 15, უნდა ეწეროს სარაჯიშვილის 15, ბინა 16. ბინის ორდერში (პრივატიზაციის შემდეგ ნაყიდი ბინაა-1994წ.) წერია მხოლოდ მთელი 4 სართ. სახლის ნომერი 15, არსად მითითებული არ არის ბინის ნომერი. იქ ნათქვამია, რომ მე მიკავია ამ კორპუსის 38/878 წილი. საპასპორტოში (თუ სახლმმართველობაში) ბინის ნომრადაც სახლის ნომერი ჩაწერეს. მივუთითე მაშინ შეცდომაზე, მაგრამ რა უჭირსო და მორჩა. მასთან ეს ორდერი გამოწერილია სარაჯიშვილის ქუჩის ძველი სახელწოდებით - ავჭალის გზატკეცილი. ესეც მივუთითე სახლმმართველს ორდერში შეცდომის გამო და ყველგან ასე ვწერთო, მაშინ კარგა ხნის გადარქმეული იყო სახელი, მაგრამ... ახლა მეორე შვილის პასპორტის აღებისას, ორდერში რომ ავჭალის გზატკეცილი წერია, წადი შეაცვლევინე ეს ჩანაწერიო (საპასპორტოც ამავე ქუჩაზეა, ხოლო ბინის ნომერს საერთოდ არ ჩავუწერთო... როგორ მოვიქცეთ ან ძველი პასპორტის შემთხვევისას ან ამ ახალი პასპორტის აღებისათვის?

ბატონო გიორგი,

1996 წლის 27 ივნისის საქართველოს კანონის "საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ" მე-8 მუხლის, მე-14 მუხლის და მე-18 მუხლის, მე-20 მესამე მუხლის, მე-20 მეხუთე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად:

**მუხლი 8.**

რეგისტრაციისას ყოველ პირზე ივსება სარეგისტრაციო ბარათი, რომელშიც აღინიშნება პირის სახელი, გვარი, სქესი, მისამართი (თუ პირი მიუთითებს მისამართს), დაბადების წელი, თვე, რიცხვი და ადგილი, მოქალაქეობა და წინა საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადი ნომერი და შევსების თარიღი.

**მუხლი 14.**

1. საქართველოს მოქალაქის პირადობის (ბინადრობის) მოწმობა ორგვერდიანია, იბეჭდება და ივსება ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - აგრეთვე აფხაზურ ენაზე.

2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას აძლევენ 16 წლის ასაკს მიღწეულ მოქალაქეს.

3. პირადობის მოწმობის რეკვიზიტებია:

ა) სახელი;

ბ) გვარი;

გ) დაბადების წელი, თვე, რიცხვი;

დ) დაბადების ადგილი;

ე) პირადი ნომერი;

ვ) ფოტოსურათი, რომელსაც უნდა დაესვას იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოს, დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების ბეჭედი;

ზ) პირადი ხელმოწერა;

თ) მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება;

ი) რელიეფური ბეჭედი;

კ) იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოს, დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერა;

ლ) მოწმობის გაცემის თარიღი;

მ) მოწმობის მოქმედების ვადა.

ნ) მისამართი.

**მუხლი 18.**

1. საქართველოს მოქალაქე ვალდებულია შეცვალოს პირადობის მოწმობა 25 და 45 წლის ასაკის მიღწევისას და საცხოვრებელი ადგილის შეცვლისას, ხოლო საქართველოში მცხოვრები უცხოელი - მოწმობაში მითითებული ვადის გასვლისას.

2. საქართველოს მოქალაქის პირადობის (ბინადრობის) მოწმობის შეცვლა ხდება აგრეთვე შემდეგ შემთხვევებში:

ა) სახელის ან გვარის შეცვლისას;

ბ) ჩანაწერში უზუსტობის დადგენისას;

გ) ხმარებისათვის უვარგისობის ან დაკარგვისას.

მუხლი 203

1. საქართველოს მოქალაქის პასპორტში შეიტანება:

ა) პასპორტის მფლობელის სახელი;

ბ) პასპორტის მფლობელის გვარი;

გ) პასპორტის მფლობელის მოქალაქეობა;

დ) პასპორტის მფლობელის დაბადების თარიღი;

ე) პასპორტის მფლობელის პირადი ნომერი;

ვ) პასპორტის მფლობელის ფოტოსურათი;

ზ) პასპორტის მფლობელის სქესი;

თ) პასპორტის მფლობელის დაბადების ადგილი;

ი) პასპორტის გაცემის თარიღი;

კ) პასპორტის მოქმედების ვადა;

ლ) თანამდებობის პირის ხელმოწერა;

მ) პასპორტის მფლობელის ხელმოწერა;

ნ) ბეჭედი;

ო) ქვეყნის კოდი;

პ) პასპორტის ნომერი;

ჟ) პასპორტის ტიპი;

რ) ცნობები არასრულწლოვნების შესახებ, თუ ისინი პასპორტის მფლობელთან ერთად აპირებენ გამგზავრებას (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი).

მუხლი 205

1. პასპორტის შეცვლა ხდება საქართველოს მოქალაქის შუამდგომლობის საფუძველზე, ამ კანონით დადგენილი წესით, შემდეგ შემთხვევებში:

ა) სახელის, გვარის გამოცვლისას;

ბ) ჩანაწერებში უზუსტობათა დადგენისას;

გ) ვიზებისა და მოქმედების ვადის გაგრძელებისათვის განსაზღვრული ფურცლების გახარჯვისას;

დ) ხმარებისათვის უვარგისობისას (გაცვეთა, დაზიანება).

საქართველოს 1998 წლის კანონის "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად:

**მუხლი 5. შეღავათები სახელმწიფო ბაჟში**

3. საქმეებზე, რომლებსაც ახორციელებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან:

ა) ფიზიკური პირები - გარდაცვალების აქტის რეგისტრაციისას, აგრეთვე მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციისას დაშვებულ შეცდომებთან დაკავშირებით (თუ შეცდომა დაშვებულია მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის სამსახურის მიერ).

ამრიგად, ყველა საჯარო დაწესებულება ვალდებულია, შეიტანოს რეესტრში სწორი მონაცემები, ხოლო მცდარი მონაცემების შეტანის შემთხვევაში, შეასწოროს ისინი. ეს მოთხოვნა გარდა ამ კონკრეტული კანონისა გამომდინარეობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებიდან.



ზღაპრები პოლიტიკოსთა გახმოვანებით

B2

რომელი მხარე ჯობს?



B3

LIVE 8-ის საქველმოქმედო კონცერტი ივლისში გაიმართება



B8

# ირაკლი კოვზანაძე: "ჩვენ, უცხოელის გარდა, ქართველი ინვესტორიც გვჭირდება..."

"როგორ მუშაობს ახალი საგადასახადო კოდექსი? საფინანსო ამნისტია? არსებობს ნდობა მთავრობისადმი? დღეს ჩვენ წინაშე ეს კითხვები დგას..."

*ირაკლი კოვზანაძე, დაახლოებით თვენახევარია, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეა. ყოფილ ბანკირს, თსუ უნივერსიტეტის პროფესორს "24 საათთან" თანამშრომლობის საკმაოდ მდიდარი გამოცდილება აქვს - მის სტატიებს ქვეყნის ეკონომიკის, განაკუთრებით კი, საბანკო სექტორისა და, ზოგადად, საფინანსო მდგომარეობის შესახებ გაზეთი ყოველთვის დიდი ინტერესით ეცნობოდა და აწვდიდა მკითხველს. დღეს ირაკლი კოვზანაძე "24 საათს" უკვე ახალ - კომიტეტის თავმჯდომარის ამპლუაში ესაუბრება, შესაბამისად, პირველი კითხვებიც სწორედ ამ კომიტეტის საქმიანობას ეხება:*

თამარ ხორბალაძე

**- ერთ-ერთი პირველი ინიციატივა, რომელიც კომიტეტის ხელმძღვანელის რანგში გამოთქვით, დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვის აუცილებლობას ეხებოდა. არაპროფესიონალებისთვის, ალბათ, ცოტა ბუნდოვანია ის ეფექტი, რაც ამ სისტემის დანერგვამ უნდა მოგვცეს.**

- დღეს ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში ახალი მონეტარული წონასწორობის პერიოდი დგება. ერთი მხრივ, ჩვენ გვაქვს მონაცემები, რომ არსებობს დიდი სავალუტო შემონაკადები, რომელიც პრივატიზაციიდან უნდა შემოვიდეს, რაც ლარის კურსის გარკვეულწილად გამყარებას არ გამორიცხავს. ამის პარალელურად კი, ქვეყანაში ინფლაციის მაჩვენებლები მომატებულია - თუ შარშან, წლის ბოლოს, ინფლაცია იყო 7,4 პროცენტამდე, მანამდე - 4-5 პროცენტის ფარგლებში, დღეს არის 9,6 პროცენტამდე. ზოგიერთ პირველადი მოხმარების საგნებზე კი ინფლაცია უფრო მაღალია. ამიტომ, როგორც ვთქვი, ქვეყანა გარკვეულწილად არის ახალი მონეტარული წონასწორობის ჩამოყალიბების პერსპექტივის წინაშე. აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია დეპოზიტების დაზღვევის მექანიზმების და შესაბამისი სააგენტოს ჩამოყალიბების საკითხი.

ამასთან, საქართველოში საბანკო სისტემა საკმაოდ მდგრადია, თუმცა, თუ ჩვენ ქართული საბანკო სისტემის აქტივებს მთლიან შიდა პროდუქტს შევადარებთ, ეს მაჩვენებელი სულ 17-18 პროცენტის ფარგლებშია. მაშინ, როცა რუსეთში ეს მაჩვენებელი 40-45 პროცენტია, აღმოსავლეთ ევროპაში - 80 პროცენტი, აშშ-ში - 200 პროცენტზე მეტი. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ ქართულ საბანკო სექტორს ახალი სისხლი სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ შარშან ჩვენმა აქტივებმა 1 მილიარდ 700 მილიონ ლარს მიაღწია, ეს მაინც მცირეა - ეს ციფრი ბალტიისპირეთის ქვეყნების საშუალო სიდიდის ერთი კომერციული ბანკის აქტივების ტოლია. ამიტომ, რამდენადაც შესაძლებელია, მეტი დეპოზიტები უნდა გაიხსნას ბანკებში, რათა აქტივები მეტად გაიზარდოს. დღეს საქართველოში საბანკო არხებს გარეთ ფულადი სახსრები თითქმის 600 მილიონი დოლარის ფარგლებში მოძრაობს. საჭიროა ამ თანხის მოზიდვა ბანკებში. ამ თვალსაზრისითაც ძალიან მნიშვნელოვანია დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ჩამოყალიბება. ჩვენ გვაქვს რამდენიმე კარგი მაგალითი, თუ რა გააკეთა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს გახსნამ - პირველი 1,5 წლის განმავლობაში დეპოზიტების ოდენობა თითქმის 40 პროცენტით გაზარდა. ამიტომ, ამ თვალსაზრისით, ვაპირებთ თანამშრომლობას ეროვნულ ბანკთან. KFW-ს კი ამ მიზნით გამოყოფილი აქვს 3,5 მილიონი ევრო, რომ ეს სისტემა დაინერგოს, ამ სააგენტოს ფონდი შეივსოს. ასევე, ვფიქრობ, რომ როგორც კი პარლამენტში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ახალ მიმართულებებს განვიხილავთ, ამ პუნქტს აუცილებლად ჩავდებთ, რომ წლის ბოლომდე ეროვნულმა ბანკმა თავისი ვარიანტი წარმოადგინოს. ამ სააგენტოს ჩემი მოდელი მზად მაქვს, ხოლო კომიტეტში სამუშაო ჯგუფია შექმნილი და ვაპირებ, ეროვნულ ბანკთან ერთად, ამ სააგენტოს ჩამოყალიბებას კანონპროექტის ფორმა მივცე. ეს ხელს შეუწყობს ასევე სესხებზე საპროცენტო განაკვეთების მომავალ შემცირებასაც.

**- თქვენ ინფლაცია ახსენეთ, რამდენად არის ინფლაციური პროცესი საშიშ ზღვართან. ხომ არ არის, რეალურად, ფინანსური წონასწორობის დარღვევების საშიშროება.**

- არა მგონია, რომ ეს ასე იყოს. მაგრამ დღევანდელი აღმასრულებელი ხელისუფლების ამოცანა არის ის, რომ ინფლაცია იყოს ერთნიშნა. კიდევ ვიმეორებ, არსებობს ორი შესაძლებლობა - ლარის კურსის სიმყარე, ან ინფლაციის ზრდა. ამ ამოცანის ერთადერთი ამოხსნაა მონეტარული ხელისუფლების მაქსიმალური სინქრონიზაცია. ფინანსთა სამინისტროს და ეროვნული ბანკის სინქრონიზაცია. მათმა ერთობლივმა მუშაობამ და ჩვენმა საპარლამენტო მონიტორინგმა უნდა შეძლოს, რომ კურსი იყოს სტაბილური და ინფლაცია - ზომიერი. ეს არის, ამ შემთხვევაში, ამ საკითხის გადაწყვეტა.

**- რაც შეხება ბიუჯეტს - საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სახელი, წლების მანძილზე, ბიუჯეტთან დაკავშირებით წარმოშობილ სკანდალებთან იყო დაკავშირებული. რაც შეეხება დღევანდელ ბიუჯეტს. მიუხედავად სახელისუფლებო განცხადებებისა, საზოგადოებაში მაინც ჩნდება კითხვა - რამდენად რეალურად ასრულებს მთავრობა ბიუჯეტს?**

- ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, მთავრობა დღეს ბიუჯეტს ასრულებს. ოთხი თვის საპროგნოზო მაჩვენებლები 111 მილიონით არის გადაჭარბებული. მე ცოტა სხვანაირად დავსვამდი საკითხს: ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი დღეს არის 2 მილიარდ 780 მილიონი - ბოლო დღეებში მიღებული გაზრდილი პარამეტრების თანახმად, ხოლო დეფიციტი კი 300 მილიონს აღემატება. საკითხი ასე უნდა დაისვას - არის თუ არა შემოსავლების და ხარჯების ეს ციფრი ოპტიმალური დღევანდელი ქართული ეკონომიკისთვის? ხომ არ უნდა იყოს ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები კიდევ უფრო მეტი?

საქართველო ერთ-ერთი ყველაზე მეტად ინტეგრირებული ქვეყანა იყო საბჭოთა კავშირში. აქედან გამომდინარე, საბჭოთა კავშირის დანგრევა საქართველოსთვის იყო როგორც პოლიტიკური, ისე - ეკონომიკური შოკი. გასული საუკუნის 90-იან წლებში კუპონის გაუფასურება მოხდა თითქმის 2400-ჯერ. ეს ციფრი ბევრს არ ახსოვს - 2400-ჯერ! მე ცოტა მეგულება მსოფლიოში ქვეყანა, სადაც მსგავსი პროცესები განვითარდა. ეს იყო საბანკო კრიზისის ტიპის მოვლენა. 1998-1999 წლის დასაწყისში კი, ჩვენთან განვითარდა კლასიკური სავალუტო კრიზისი, როცა ლარის კურსის 2 ნიშნულს გასცდა; ლარის კურსის შესანარჩუნებლად რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი დაიხარჯა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოვლენებს შორის (1995-1997 წლები) და შემდეგშიც, საქართველოს ეკონომიკა გაიზარდა, ამ ზრდის შედარება მაინც არ შეიძლება ზოგიერთი ყოფილი საბჭოთა ქვეყნების მსგავს მაჩვენებლებთან. მაგალითად, ყაზახეთი დღეს არის პირველი ქვეყანა, რომელმაც თავისი მშპ-ს ზრდით, საკუთარ 1991 წლის მონაცემებს გაუსწრო. ჩვენთან საკითხი უნდა დადგეს ასე - რა იყო 1989-1990 წლებში საქართველოს ეკონომიკა? რა იყო მისი მშპ? სად ვართ ჩვენ დღეს? და როდის მივაღწევთ ჩვენ იმ დონეს, რომელიც მაშინ გვქონდა? ზოგიერთი მონაცემებიდან გამომდინარე, ამისთვის საქართველოს თითქმის 20 წელი სჭირდება. 2 მილიარდ 780 მილიონი, ცხადია, მასშტაბური ციფრია, მაგრამ ჩვენ უნდა გავარკვიოთ - რა არის ის გონივრული ზღვარი, სადაც ბიუჯეტის დღევანდელი მაჩვენებლები უნდა იყოს? როგორია ეკონომიკის ლეგალიზაციის დღევანდელი მაჩვენებელი? დღეს ჩემი ხედვა საბიუჯეტო პროცესებისა არის ასეთი - პარლამენტის კომიტეტის ფარგლებში ჩვენ უნდა განვახორციელოთ მკაცრი საბიუჯეტო კონტროლი, რადგან არ არსებობს საპარლამენტო ცხოვრებაში დროის მონაკვეთი, როცა ბიუჯეტთან არ გვაქვს შეხება. გარდა ამისა, უნდა გაკეთდეს სერიოზული ეკონომიკური და ფინანსური ანალიზი მომავალი წლების საბიუჯეტო მაკროეკონომიკური ციფრების დაგეგმვისა და შესრულებისთვის.

**- რამდენად გამჭვირვალეა დღევანდელი ბიუჯეტი?**

- ძირითადი ნაწილი, როგორც მე ვხედავ, არის გამჭვირვალე. არის რაღაც საკითხები, რომელზეც მეტ ინფორმაციას მოვითხოვთ. იგივე სიღარიბის დაძლევის პროგრამის საკითხები, ადგილობრივი ბიუჯეტების დაგეგმვა და ხარჯვა, თავდაცვის საკითხები, რომელიც მეტ გამჭვირვალობას მოითხოვს. თუმცა, არის სახელმწიფო ინტერესები, რომელიც ზოგჯერ არ იძლევა საშუალებას, რომ ყველაფერი ღია წესით გაცხადდეს. ამ საკითხებს თავისი საპარლამენტო პროცედურები აქვს, მაგალითად, ნდობის ჯგუფი და ა.შ..

**- ბიუჯეტის ხშირი კორექტირება, თუნდაც - ზრდის მიმართულენით, რამდენად უქმნის პრობლემებს საბიუჯეტო პროცესს?**

- ბიუჯეტის ხშირი კორექტირება ზრდის თვალსაზრისით, ერთი შეხედვით, სასიხარულოა, თუმცა, მეორე მხრივ, საბიუჯეტო პროცესში გარკვეული კორექტირება შეაქვს. თუმცა, ვინ იტყვის, რომ ბიუჯეტის ზრდა მისასალმებელი არ არის?

**- საპრივატიზაციო თანხები არის შემოსავალი, რომელიც ერთჯერადია - ანუ ეს შემოსავალი ბიუჯეტს მომავალში, შესაძლოა, აღარ ჰქონდეს. რამდენად სწორად ხდება ამ თანხების ხარჯვა?**

- ეს თანხები მოქცეულია იმ 452-მილიონიან ცვლილებებში, რომელიც ჩვენ ერთი თვის წინ დავამტკიცეთ. ეს თანხები, ერთი მხრივ, მიდის ენერგეტიკულ ობიექტებზე - ეს იმას ნიშნავს, რომ ეს საპრივატიზაციო თანხები გარკვეულ კაპიტალიზაციას განიცდის, რაც შემდგომში შემოსავლის მომტანია. ასევე, ეს თანხები თავდაცვის ხარჯებზე, საგზაო ინფრასტრუქტურაზე და საშუალო სკოლების კომპიუტერიზაციაზე მიდის. ვფიქრობ, კარგი ინვესტიციაა.

**- რამდენადაც ვიცი, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ამ თანხების ქვეყანაში დახარჯვის წინააღმდეგია, იქიდან გამომდინარე, რომ ამ ჭარბმა თანხებმა, შესაძლოა, ქვეყნის შიდა ფინანსური წონასწორობის დარღვევას დაუდოს საფუძველი და სავალუტო პრობლემები შექმნას.**

- სხვათა შორის, როგორც წესი, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ფიქრები და მღელვარებების 90 პროცენტი ხშირად მართლდება ხოლმე. მათი არგუმენტაცია იყო ის, რომ თანხები, რომელიც პრივატიზაციის შედეგად უნდა შემოვიდეს, ძირითადად, არის ინვესტიცია ვალუტაში, შესაბამისად, ისინი უფრთხოდნენ იმას, რომ არ მოხდეს ამ მასის დაწოლა სავალუტო ბაზარზე, რაც ლარის სიმყარეს გამოიწვევს. ანუ - არ დაიწყოს ლარის გაუფასურების უკუპროცესი, რადგან ეს არანაკლებ საშიშია. ამიტომ, ისინი გვირჩევდნენ საგარეო ვალების გასტუმრებას, ენერგეტიკული თუ სხვა ალჭურვილობის შეძენას საზღვარგარეთ, რათა ეს თანხები ქვეყნის გარეთ დახარჯულიყო. ეს თანხები, ძირითადად, ასეც დაიხარჯება. გარდა ამისა, როგორც ვთქვი, აუცილებელია ეროვნული ბანკის და ფინანსთა სამინისტროს ამ თვალსაზრისით მუშაობის სინქრონიზაცია.

**- პარლამენტში უკვე მომავალი წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრებია წარმოდგენილი. რამდენად ოპტიმისტურია ეს მონაცემები?**

- მომავალ წლებში, ვფიქრობთ, რომ 7-10 პროცენტიანი ზრდა იქნება, რადგან ბოლო ორი წლის განმავლობაში ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები ისედაც საკმაოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა.

**- საზოგადოებაში მუსირებს აზრი, რომ ბიუჯეტის ზრდა, ძირითადად, მაკონტროლებელთა აქტიურობის წყალობით - ანუ პროკურატურისა და შსს-ს მიერ "ამოღებული" თანხების წყალობით ხდება. რამდენად შეესაბამება ეს მოსაზრება რეალობას? მომავალში რით უნდა შეივსოს ეს ზრდა?**

- მე ვიტყოდი, რომ ეკონომიკის ლეგალიზება რეალურად ხდება.

თუმცა, მომავალ საბიუჯეტო შემოსავლებზე საუბრისას ჩემთვის მთავარი ამოცანა არის ის, რომ ხელი შევუწყოთ ქართული ეკონომიკის ზრდას.

რა უნდა გავაკეთოთ ამისათვის?

სხვა ეკონომიკურ საკითხებთან ერთად არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი ფაქტორიც, რომ ერთ მილიარდზე მეტი ჩინელი 24-საათიან რეჟიმში მუშაობს. პრაქტიკულად, მათი საქონელი იპყრობს ყველაფერს - არა მხოლოდ საქართველოში და ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში, ევროპაში და სხვაგანაც. მაგალითად, აშშ-ში საბავშვო სათამაშოების 90 პროცენტი ჩინურია. საქართველოში შემოდის ჩინური ავეჯი, ჩინური თეთრეული, ჩინური ტანსაცმელი, კვების ჩინური პროდუქტები. არსებობს პოტენცია, რომ ეს პროდუქცია ჩინეთიდან კიდევ უფრო იაფად შემოვიდეს. პრაქტიკულად, სახეზეა ჩინური ეკონომიკური ბუმი. ამიტომ, ამოცანა დღეს ასე დგას - რა უნდა გააკეთოს დღეს ქართულმა ხელისუფლებამ, რომ გარკვეულწილად, ქართული ბაზარი, ქართველი მეწარმე დაიცვას და ექსპორტიც გაიზარდოს.

გარდა ამისა, აუცილებელია ინვესტიციების შემოსვლისთვის მაქსიმალური ხელშეწყობა. რუსეთში 1999-2002 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიცია არის თითქმის 4 მილიარდი - ეს არის მისი მშპ-ს დაახლოებით 1 პროცენტი; მაგალითად, ჩინეთში მხოლოდ ერთ წელიწადში 50 მილიარდი შედის, ჩვენი მეზობელი თურქეთი აყვავდა. ხორვატიაშიც ინვესტიციების ბუმია. ინვესტიციების რაოდენობა საქართველოში კი იზრდება, მაგრამ რა უნდა გავაკეთოთ, რომ ეს მაჩვენებელი უფრო მეტად მნიშვნელოვანი იყოს? - ასე უნდა დაისვას ამოცანა.

ზუსტად ამ კუთხით, ჩვენმა კომიტეტმა, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტთან ერთად, ერთი კვირის წინ ჩამოვაყალიბეთ უცხოელ ინვესტორთა საკონსულტაციო საბჭო, რათა ხელი შევუწყოთ ინვესტიციებისთვის საკანონმდებლო ბაზის დახვეწასა და მათ მუშაობას. საერთოდ კი მიმაჩნია, რომ ყველაზე კარგი რეკლამა ახალი ინვესტიციების მოზიდვისთვის არის აქამდე არსებული ინვესტიციების მოფრთხილება და მათთვის კარგი პირობების შექმნა.

**- რამდენად შეესაბამება ახალი ხელისუფლების მიერ მიღებული ახალი კოდექსი თქვენს მიერ ჩამოყალიბებულ ამ მიზნებს?**

- ზოგადად, შეფასებისგან ჯერ თავს შევიკავებ. გარკვეული მომენტები ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას და ინვესტიციების მოდინებასაც. თუმცა, ჯერ უნდა ვნახოთ, როგორ მუშაობს საგადასახადო კოდექსი და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია - საგადასახადო, ფინანსური ამნისტია. სიგარეტთან მიმართებაში აშკარაააა, რომ ქართული წარმოება შეფერხდა, კონტრაბანდა გაიზარდა. ამიტომ, შეიძლება ამ საკითხის გადახედვა გახდეს საჭირო. რაც შეეხება ფინანსურ ამნისტიას - ფინანსური ამნისტიის ერთ-ერთი მიზანი იყო, რომ იმ თანხების ლეგალიზება მომხდარიყო, რომელიც 10-12 წლის განმავლობაში საქართველოდან "გაიქცა". აქ შედის როგორც ფულადი ტრანსფერები, ასევე სხვა სახის ქონება. "გაქცეული კაპიტალის" ძალიან მიახლოებული მაჩვენებელი, ჩვენი გათვლებით, იყო 1 მილიარდ 300 მილიონი დოლარი. მე ჯერ ინფორმაცია არა მაქვს, ამ თვალსაზრისით როგორ მუშაობს ეს ამნისტია. ამ მიმართულებით, მე მსურს გავაკეთო მონიტორინგი. ისარგებლა ვინმემ ამ კანონით? ეს კითხვები დღეს დგას ჩვენს წინაშე.

**- ინვესტიციების მოზიდვისთვის, თქვენი აზრით, რა შეიძლება გაკეთდეს?**

- ინვესტორისთვის მთავარია სტაბილურობა. დემოკრატიული ინსტიტუტები მნიშვნელოვანია, ასევე ძალზე მნიშვნელოვანია თავად ინვესტორისთვის სტაბილური გარემოს არსებობა - რომ არ მოხდეს სავალუტო კურსის განსაკუთრებული ცვალებადობა, იყოს ზომიერი ინფლაციური პროცესები, სტაბილური საგადასახადო გარემო; უნდა შეიქმნას დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, მოგვარდეს გირავნობის პრობლემები, კრიმინალური გარემო უნდა იყოს სტაბილური და სასამართლო სისტემა - დამოუკიდებელი. ეს არის კომპონენტები, რომელიც ქვეყნის შიგნით სტაბილურობას იწვევს. როცა სტაბილურობა მიღწეულია, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ინვესტორი ფულის დაბანდებას იწყებს. ამასთან - ჩვენ, უცხოელის გარდა, ქართველი ინვესტორიც გვჭირდება, რადგან ის ხშირად, უცხოელი ინვესტორისგან განსხვავებით, მეტ რისკზეც წავა.

**- ახლა, თქვენ რომ პოტენციურ ინვესტორს ესუბრებოდეთ, რა არგუმენტებს ჩამოუყალიბდებდით იმის მხარდასაჭერად, რომ მას საქართველოში ფულის დაბანდება ულირს.**

- მე ვეტყოდი, რომ, ჯერჯერობით, ჩვენ ვინარჩუნებთ სტაბილურობას მონეტარულ ნაწილში, გვაქვს გარკვეული ეკონომიკური ზრდა - მშპ-ს 8 პროცენტი, რაც ცუდი ციფრი არ არის, საბანკო სისტემა მდგრადია, არის კარგი ბუნებრივი პირობები, იაფი მუშახელი, პოლიტიკური სტაბილურობა, იზრდება ქვეყნის პოლიტიკური ცნობადობა და ქვეყანაში წინსვლის წინაპირობები არსებობს.



*ირაკლი კოვზანაძე: "დღეს ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში ახალი მონეტარული წონასწორობის პერიოდი დგება".*

პაულო კოელიოს სვეტი

# სახელმძღვანელო მწვერვალების დამლაშქრელთათვის



**ა. აირჩიე მთა, რომლის მწვერვალზეც გსურს ასვლა:** არად ჩააგდო სხვების აზრები და შეხედულებები: "ის უფრო ლამაზი მთაა" ან "ამას უფრო იოლად დალაშქრავ". არჩეული გზით სიარული შენგან უზარმაზარ ძალისხმევას, ენერგიას და ენთუზიაზმს მოითხოვს. იცოდე, ერთადერთი, ვინც პასუხს აგებს, თავად ხარ და ამიტომ უნდა გჯეროდეს საკუთარი მიზნის სიდიადისაც და საკუთარი ძალებისაც.

**ბ. იცოდე, როგორ მიუახლოვდე:** მთები შორიდანაც ჩანს. მიუვალი, დიდებული, მომნუსხველი, გამომწვევი. მაგრამ რა ხდება, როცა მიახლოებას ვცდილობთ? გზები მათ კალთებზე იკლაკნება, გრძელდება, მცენარეები მიზნისკენ მიმავალ ბილიკებს გვიღობავენ, ის რაც რუკაზე ასე იოლი დასაპყრობი ჩანდა, სინამდვილეში მოსაპოვებლად ურთულესი ყოფილა. ეს ყოველთვის გახსოვდეს და მიზნის მისაღწევად ყველა გზა და ბილიკი გამოიყენე, სანამ ერთ მშვენიერ დღეს მართლაც არ აღმოჩნდები მწვერვალზე, რომლის დაპყრობაც შენი სანუკვარი ოცნება იყო.

**გ. გაითვალისწინე იმ ადამიანის შეგონება, რომელიც ზევით უკვე ყოფილა:** რაც არ უნდა განსაკუთრებულ, გამორჩეულ პიროვნებად გრძნობდე თავს, გახსოვდეს, რომ შენ ერთადერთი არ ხარ. გახსოვდეს, რომ შენნაირი ოცნება სხვასაც ჰქონია; რომ მას მიზნისთვის მიუღწევია კიდეც და მიზნისკენ სავალ გზაზე ისეთი წარუშლელი ნაკვალევიც დაუტოვებია, რომ ვინ იცის, ახლა შენც გაგიიოლოს საქმე. ნუთუ ვერ ხედავ ალაგ-ალაგ, ყველაზე მიუვალ ადგილებში გაბმულ თოკებს, ფეხის ნაკვალევს მიწაზე, ჩამომტვრეულ ტოტებს, გზა რომ აღარ გადაუღობოს შენისთანა ახალბედა მგზავრს. მიზანი შენია, მისკენ სავალი გზაც - შენი, შენვე გეკუთვნის პასუხისმგებლობაც, მაგრამ არ დაივიწყო, რომ სხვების გამოცდილებამ ძალიან ბევრი შეიძლება, შეგმატოს.

**დ. მიუახლოვდი და საფრთხეც გამოჩნდება:** როცა შეუყვები შენი ოცნებისკენ მიმავალ აღმართს, მიმოიხედე, დააკვირდი გარემოს. დაინახავ მთებს, გორაკებს და შეამჩნევ ნამტვრევ, ნაშალ კლდეებსაც. ქვები საუკუნოვან ქარიშხლებს ისე გაუპრიალებია, რომ ფეხქვეშ ყინულივით შეიძლება გაისიპოს. მაგრამ თუ იცი, სად დადგა ფეხი, ანუ თუ ყურადღებით ივლი, გზადაგზა ჩასაფრებული საფრთხეები ვერაფერს დაგაკლებს.

**ე. პეიზაჟი იცვლება, ისიამოვნე:** მწვერვალს მალე რომ მიაღწიო, რა თქმა უნდა, მიზანი ერთი წამითაც არ უნდა დაივიწყო, მაგრამ რაც უფრო მაღლა მიიწევ, მით უფრო იცვლება გარემო. ამიტომ შეჩერდი ხოლმე, მიმოიხედე, დაისვენე და ისიამოვნე პეიზაჟით, რომელსაც ბუნება დრო და დრო გიცვლის და ამით თვალის დასვენების, გონების გადართვის საშუალებას გაძლევს. თითოეული გავლილი მეტრის შემდეგ, კიდევ უფრო მეტის აღქმას შეძლებ, ასე რომ, დააკვირდი და აღმოაჩინე ის, რაც აქამდე არ შეგიმჩნევია.

**ვ. პატივი ეცი საკუთარ სხეულს:** მწვერვალამდე მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევ, თუ საკუთარი სხეულის მოსმენას ისწავლი. დრო იმდენი გაქვს, რამდენსაც ცხოვრება გაძლევს, ასე რომ, სიარულს შეძლებ, თუ საკუთარ სხეულს არ მოსთხოვ იმაზე მეტს, რაც მის ძალებს აღემატება. ნუ ივლი ჩქარა, რათა არ დაიღალო. ნუ ივლი ძალიან ნელა, რათა უდროო დროს არ დაგაღამდეს. დატკბი პეიზაჟით, გაგრილდი წყაროს ცივი წყლით, ყელი ჩაიწმინდე ხილით, მოკლედ, სიამოვნება მიიღე გზით.

**ზ. პატივი ეცი საკუთარ სულს:** გამუდმებით ნუ გაიმეორებ, "მე ამას შევძლებ". შენმა სულმა ეს ისედაც იცის. მას მხოლოდ გრძელი გზა სჭირდება საზრდოდ. ამ გზამ შენი სული უნდა გაზარდოს, ისე, რომ ჰორიზონტს გადასწვდეს და ცას შეუერთდეს. აკვიატებული ფრაზა კი - "მე ამას შევძლებ" სულს ზრდაში ვერ დაეხმარება. პირიქით, ეს აკვიატება ავადმყოფობაში შეიძლება, გადაიზარდოს და მაღლა-მაღლა სიარულით სიამოვნების განცდის უნარიც წაგართვას. თუმცა, ისიც გაითვალისწინე, რომ არც ასე უნდა იმეორო ხშირად: "უფრო რთული ყოფილა, ვიდრე მეგონა". ეს ფრაზა სულის სიძლიერეს დაგაკარგვინებს.

**თ. მზად იყავი, ერთი კილომეტრით ზედმეტის გავლისთვის:** გზა მწვერვალისკენ ყოველთვის უფრო გრძელია ხოლმე, ვიდრე გგონია. ამიტომ წინასწარვე შეამზადე თავი სირთულისთვის: ის, რაც ახლოს გეგონა, შეიძლება ძალიან შორი აღმოჩნდეს. თუ ამას წინასწარვე გაიაზრებ, პრობლემაც აღარ იქნება.

**ი. ეცადე, მაქსიმალურად განიცადო ბედნიერება, როცა მწვერვალს მიაღწევ:** ამ წუთებში ყველაფერი დასაშვებია - იყვირე, იჟრიამულე, ტაში შემოჰკარი, ქარს გაატანე შენი ხმა სამყაროს ოთხივე კუთხისკენ. იცოდე, ქარი იქ, მაღლა ყოველთვის ქრის, ეს კი გახურებული გონების გაგრილებაში, დაღლილი ფეხების დასვენებაში, მზერის დაწმენდაში, გულიდან მტვრის გადარეცხვაში გეხმარება. იქ, მაღლა, თავს საუცხოოდ იგრძნობ. ის, რაც მხოლოდ ოცნება იყო, შორეული ზმანება იყო, ახლა შენი ცხოვრების, შენი რეალობის ნაწილი გახდა. შენ ეს შეძელი! იბედნიერე ამით!

**კ. დადე ფიცი:** ახლა, როცა საკუთარ თავში აღმოაჩინე ძალა, რომლის შესახებაც არაფერი იცოდი, შეფიცე საკუთარ თავს, რომ ამ ძალას აღარასდროს ჩაიკლავ სულში; რომ სიცოცხლის ბოლო წუთებამდე ამ ძალით იცხოვრებ. კარგი იქნება, თუ მიზანში ახალ მწვერვალს ამოიღებ და ახალ მოგზაურობას წამოიწყებ.

**ლ. უამბე ყველას შენი ისტორია:** დიახ, დიახ, ხმამაღლა, გაბედულად, გულწრფელად უამბე ყველას შენი თავგადასავალი. დასახე მაგალითი. დაარწმუნე ყველა, რომ შეუძლებელი არაფერია, რათა ყველამ უშიშრად გაუსწოროს თვალი საკუთარ მწვერვალს და, თვითრწმენით სავსე, შენი ნაამბობით ფრთაშესხმული, შეუყვეს აღმართს.

http://www.paulocoelho.com/

*ქართულად გამოცემულია პაულო კოელიოს საერთაშორისო ბესტსელერები: "თერთმეტი წუთი", "ალქიმიკოსი", "რიო-პედრას ნაპირას ჩამოვჯექი და ავტირდი" და "ვერონიკამ სიკვდილი გადაწყვიტა". იკითხეთ წიგნის მაღაზიებში.*

# ზღაპრები პოლიტიკოსთა გახმოვანებით

## საქველმოქმედო პროექტს გაგრძელებაც ელის

ირმა კახურაშვილი

თანამედროვე ქართულ ზღაპრებს, რომელთა აუდიოვარიანტის პრეზენტაცია გუშინ ნაკაშიძის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკაში გაიმართა, პოლიტიკოსები და საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები - ნიკო ლეკიშვილი, ელენე თევდორაძე, ვახტანგ ხმალაძე, ზვიად ძიძიგური, ნინო ჩხობაძე, თემურ მღებრიშვილი და სხვები ახმოვანებენ. პროექტის იდეისა და ზღაპრების ავტორი საბავშვო მწერალი ირმა მალაციძეა. მას პატარა მკითხველი "სატკბილეთის ქვეყნით", უფროსი თაობა კი სხვადასხვა პროზაული ნაწარმოებებით იცნობს.

ჟურნალისტური წარსულის მქონე ირმა მალაციძემ პირველი ზღაპარი შვილის დაბადების მოლოდინში დაწერა. სიუჟეტი რეალობიდან იყო აღებული და ტრადიციული ქართული ზღაპრის "იყო და არა იყო რას..." ფორმისგან თავისუფალი. ვიდრე საბავშვო პროზა ახალგაზრდა მწერლის ცხოვრებაში რაიმე ადგილს დაიკავებდა, რამდენიმე წარუმატებელი ლიტერატურული მცდელობაც ჰქონდა.

"ვცდილობ, ჩემს ზღაპრებში ბოროტი გმირები არ დომინირებდნენ, რადგან ეს ბავშვებზე ძალიან მოქმედებს, მტკივნეულად განიცდიან. არ მინდა, რომ სამყარო მხოლოდ ნათელ ფერებში დავუხატო, მაგრამ ზედმეტ აგრესიასაც ვერიდები. მაგალითად, ჩემს ერთ-ერთ ზღაპარში გმირი რობოტები ელექტრონული სქემებისგან არიან აწყობილნი, ოღონდ მათ გული აქვთ და, მართალია, დაპროგრამებულს, მაგრამ სიზმრებსაც ხედავენ," - ამბობს ირმა მალაციძე და გვიმხელს, რომ მის მეზღაპრეობაში, განსაკუთრებით კი აუდიოვერსიის გამოცემაში, დიდი წვლილი შვილებს მიუძღვით. "ძალიან უყვართ ძილის წინ ზღაპრების მოსმენა, მაგრამ ეს ყოველთვის ვერ ხერხდება. ჯერ ზღაპრებს კუსტარულად, დიქტოფონით ვიწერდი და ვასმენინებდი. შემდეგ ფონი დავადე და უფრო ცივილიზებული სახე მივეცი. აუდიოკასეტის დამზადების იდეაც აქედან დაიბადა. ამ საქმეში უამრავი მეგობარი დამეხმარა, რომლებმაც სრულიად უანგაროდ იმუშავეს," - აცხადებს მალაციძე.




თანამედროვე ქართული ზღაპრები აუდიოფორმატში გამოჩნდა

დღეს ახალი ზღაპრების კრებულმა პროექტის - "ზღაპრები ირმა მალაციძისგან" სახე მიიღო. 10 აუდიოზღაპარი, რომლის პერსონაჟებსაც ცნობილი ადამიანები ახმოვანებენ, უსინათლო ბავშვთა რესპუბლიკური საშუალო სპეციალური სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებისთვის მომზადდა. "მათ განსაკუთრებით სჭირდებათ იმ სამყაროს აღქმა, სადაც სხვა ბავშვები ცხოვრობენ," - მიიჩნევს პროექტის ავტორი.

რაც შეეხება გამხმოვანებლებს, ირმა მალაციძე არც მათ არაპროფესიონალიზმს უჩივის, პირიქით, ამ საქმეში ისინი სიამოვნებით ჩაერთნენ და ხალისითაც იმუშავეს. განსაკუთრებული არტისტული მონდინებით თემურ მღებრიშვილმა (მგელი, იხვი ვატა) გამოიჩინა თავი.

აუდიოზღაპრების პროექტის პრეზენტაცია, რომელმაც თოჯინური წარმოდგენის, საბავშვო პიესის "ნიას ბედნიერების" პრემიერის ფონზე ჩაიარა, მხიარულ ატმოსფეროში დასრულდა. "სულ 100 კასეტა გამოვეცით, მაგრამ თუ ამით ვინმე დაინტერესდა და გამხმოვანებლებიც თანახმა იქნებიან, აუდიოზღაპრების გამრავლება-გაყიდვიდან შემოსული თანხა შესაძლებელია სხვა საქველმოქმედო პროექტს მოხმარდეს," - ამბობს ირმა მალაციძე.

დაგეგმილია ამ ზღაპრების ბეჭდური ვარიანტის შექმნაც. ახლო მომავალში კი მწერალი ზღაპრებს ეკოლოგიურ თემაზეც დაწერს. მისი აზრით, კარგი იქნებოდა შემოქმედებითი კონკურსების ორგანიზატორებს საბავშვო ნომინაციებზეც ეფიქრათ, რადგან, მის გარდა, ზღაპრული სამყაროს ათვისებას რამდენიმე საინტერესო ავტორი ცდილობს. მათ კი ზრდასრული საზოგადოების ყურადღება და, მარტივად რომ ვთქვათ, სტიმული სჭირდებათ.

# ეროვნული გალერეა ფერს იცვლის

## ქეთევან კორძახია თემურ გოცაძის ადგილზე დანიშნეს

ია ვეკუა

ამ საგამოფენო დარბაზს "ზურგსუკან" "ცისფერ გალერეას" უწოდებენ. იგი გარედან, მართლაც, ცისფერია, თუმცა, უახლოეს მომავალში მისი "სიცისფრე" ისტორიას ჩაბარდება. სურათების ეროვნული გალერეის ახალი დირექტორი, პირველ რიგში, სწორედ ამ ისტორიული შენობის რეკონსტრუქციას და ფასადის ფერის შეცვლას აპირებს.

გუშინ საქართველოს ერთადერთი სახელმწიფო გალერეის თანამშრომლებს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ თამარ ქვარიანმა ახალი დირექტორი წარუდგინა. ამიერიდან გალერეას უხელმძღვანელებს ქეთევან კორძახია, რომელმაც ამ თანამდებობაზე თემურ გოცაძე შეცვალა. ეს უკანასკნელი გალერეას 1988 წლიდან, მხატვრის სახლთან გაერთიანების შემდეგ ხელმძღვანელობდა. შეიძლება ითქვას, რომ გოცაძეს რთულ წლებში მოუხდა მუშაობა, რადგან ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა მოვლენებმა სწორედ ამ შენობის ფონზე ჩაიარა. თბილისის ომის დროს გალერეაში დაცვა გაძლიერდა, თუმცა, მძარცველებმა მაინც შეაღწიეს საცავებში.

უამრავი დამსახურების მიუხედავად, თემურ გოცაძის დირექტორობის ვადა ამოიწურა. კულტურის სამინისტროს ოფიციალური განცხადება, რომელიც თამარ ქვარიანმა გაგვაცნო, ასეთია: "სამინისტროს წინაშე პირადად თემურ გოცაძის კი არა, გალერეის მენეჯმენტის შეცვლის საკითხი დადგა. გოცაძეს დიდი დამსახურება მიუძღვის, მაგრამ ბოლო წლების მუშაობამ ცხადყო, რომ მან ამოწურა საკუთარი შესაძლებლობები. აუცილებელი იყო ადამიანი, რომელსაც კავშირი ექნებოდა ხელოვნებასთან და არტ-მენეჯმენტშიც იქნებოდა გარკვეული. სწორედ ამ თვალსაზრისით შეირჩა ქეთევან კორძახია."

თემურ გოცაძის დირექტორობის პერიოდის ნაკლზე დღეს არავინ საუბრობს, ხმამაღლა მხოლოდ იმას ამბობენ, რომ ქვეყნის მთავარ გალერეაში ვისაც მოუნდებოდა, ის მართავდა გამოფენებს. გალერეის თანამშრომლებთან შეხვედრაზე იმაზეც იყო საუბარი, რომ ზოგჯერ დარბაზის დამქირავებელს იჯარის თანხას ახდევინებდნენ. თანამშრომლები ამას კატეგორიულად უარყოფენ. თუმცა, ადრინდელი დარღვევების შესახებ (თუ, რა თქმა უნდა, ასეთი რამ არსებობდა) ახალი დირექტორი, ალბათ, მხოლოდ საქმეში უკეთესად გარკვევის შემდეგ ისაუბრებს.

ქეთევან კორძახიამ სამხატვრო აკადემია დაამთავრა. არის ხელოვნებათმცოდნე. წლების განმავლობაში მუშაობდა კინოსტუდია "ქართულ ფილმში", ტელეფილმების სტუდიაში, ფიროსმანის მუზეუმში. მოგვიანებით თანამოაზრეებთან ერთად დააარსა გალერეა TMS, რომელიც ამჟამად ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ საგამოფენო სივრცედ მიიჩნევა. ფლობს ექვს საერთაშორისო სერტიფიკატს კულტურის დაგეგმვის, მენეჯმენტის, სპონსორებთან ურთიერთობის მეთოდიკასა და სხვა საკითხებში.



თათა ქვარიანმა ქეთი კორძახია წარადგინა

**ქეთევან კორძახია:** "გამოცდილებამ მაჩვენა, რომ საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნისთვის ერთობლივი, საერთაშორისო პროექტები გაცილებით მომგებიანია. ჩვენ წარმატებით შეგვიძლია კავკასიის რეგიონის ათვისება და ქართველი მხატვრებისთვის ერთგვარი ბაზრის შექმნაც. დღეიდან ამ საგამოფენო დარბაზში მხოლოდ ის მხატვრები გამოიფინებიან, რომლებიც არგუმენტირებულად დაამტკიცებენ, რომ მათი მხატვრობა ამას იმსახურებს, ვინაიდან სურათების ეროვნული გალერეა ქვეყანაში თანამედროვე გამომსახველობით მიმდინარე პროცესების ამსახველ სივრცედ უნდა ვაქციოთ. ჩემთვის დიდი პატივია, რომ გალერეის ხელმძღვანელობა თემურ გოცაძის შემდეგ მიწევს."

ქეთევან კორძახიას პირველი მისია გალერეის შეკეთება იქნება. უახლოეს მომავალში დარბაზი დაიხურება და ზაფხულის განმავლობაში გარემონტდება. საქმე მხოლოდ ფასადის შეღებვასა და კედლების გალესვაში არ არის - გალერეა საერთაშორისო დონის განათების, გათბობისა და კონდინცირების სისტემით უნდა აღიჭურვოს. გადასახედია საცავები, რომლებიც ცუდ მდგომარეობაშია. უნდა გაიზარდოს დარბაზის დაფინანსებაც, რადგან ზოგიერთი თანამშრომელი (მათი უმეტესობა მაღალკვალიფიციური სპეციალისტია) 16-დან 30 ლარამდე ხელფასზე მუშაობს.

სურათების ეროვნული გალერეა მე-18 საუკუნეში არქიტექტორ ზალცმანის პროექტით აშენდა. შენობა რომში არსებული გალერეის მცირე ანალოგია. თავდაპირველად აქ სამხედრო დიდების მუზეუმი იყო. მილიტარისტული საბურველისგან მხოლოდ მე-20 საუკუნის 20-იან წლებში გათავისუფლდა, როდესაც დიმიტრი შევარდნაძის თაოსნობით სამხატვრო გალერეად გადაკეთდა. პირველი დირექტორი სწორედ შევარდნაძე იყო. ეროვნულ გალერეას სამი ფილიალი აქვს: თერჯოლაში, ტყიბულსა და ზესტაფონში. ამჟამად თერჯოლის ფილიალი არ ფუნქციონირებს, ხოლო დანარჩენი ორი კარგ მდგომარეობაშია. თუმცა, ახალ დირექციას მათი მიხედვაც მოუწევს.

# მარად თანამედროვე

აზნი ფოჩხუა

ლეონიძის სახელობის ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმმა უმასპინძლა ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა აკადემიური გამოცემისა და პოეტის ახალი პორტრეტის პრეზენტაციას.

ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ ლიტერატურის მუზეუმი, ამ მუზეუმის დირექტორი ქალბატონი იზა ორჯონიკიძე, აგრეთვე ბატონები კახა დავითური და ლევან თაქთაქიშვილი.

წიგნს ახლავს კომპაქტ-დისკი - ცნობილი მსახიობების მიერ პოპულარული ლექსების დეკლამაციებით. კრებული გამოვიდა ივანე ლოლაშვილის რედაქციით და აკაკი გაწერელიას წინასიტყვაობით. წიგნში შესულია მოგონებები, გენეალოგია და, რა თქმა უნდა, პოეტის წერილები და ლექსები.

პრეზენტაციაზე მუზეუმში გამოფენილი იყო საინტერესო ფოტოები და საარქივო მასალა, აგრეთვე ჭავჭავაძეთა საგვარეულო რელიკვია.

იზა ორჯონიკიძემ ვრცლად ისაუბრა ბარათაშვილის ბიოგრაფიაზე, მის უდიდეს პოეზიაზე, მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, ბატონებს კახა დავითურსა და ლევან თაქთაქიშვილს ამ საქმეში გაწეული შრომისთვის. "მიხარია, რომ ასეთი დიდი საქმე გაკეთდა: მისასალმებელია, რომ გახსოვთ დიდი წინაპარი, მარად ჩვენი თანამედროვე. ასეთ საქმეში ყოველთვის თქვენს გვერდით მიგულეთ... რაც შეეხება ახალ პორტრეტს, მისი ავტორი გახლავთ ლევან ჭოღოშვილი, რომელმაც სრულიად უანგაროდ დიდი პატივი დაგვდო. პირადად მე ახალი პორტრეტი უფრო მომწონს, ჩემი აზრით, რეალურთან უფრო ახლოსაა... ან რატომ უნდა ყოფილიყო ბარათაშვილი ესოდენ ლამაზი გამომეტყველებით, როცა ტრაგიზმით აღსავსე ცხოვრება ჰქონდა"...

1967 წელს საქართველომ დიდი ზეიმით აღნიშნა პოეტის დაბადებიდან 150 წლის იუბილე. იმავე წელს გამოიცა პოეტის თხზულებათა სრული კრებული.

ცნობილია, რომ ბარათაშვილის თორმეტამდე სავარაუდო პორტრეტი არსებობდა. ბოლო პორტრეტი ილია ჭავჭავაძეს მიუტანია ფოტოატელიეში, რომელიც უგზო-უკვლოდ დაკარგულა. ბარათაშვილი ძალიან ჰგავდა მის დას, - წერდა დიმიტრი ყიფიანი. სწორედ ეს გახდა პოეტის ახალი პორტრეტის დახატვის საფუძველი.

"დიდი ხანია, რაც ბარათაშვილის სრული კრებული არ გამოსულა. ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა წინამდებარე წიგნი. რაც შეუძლია მეცნიერებას, ჩვენ მაქსიმალური გავაკეთეთ... დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, ფოტორობოტის მეშვეობით შეიქმნა ეს პორტრეტი. დანარჩენი ლევან ჭოღოშვილის ოსტატობის შედეგია. საქართველოში კარგი საქმეები ყოველთვის კეთდებოდა. იმედია, სადმე არქივში აღმოჩნდება ბარათაშვილის პორტრეტი წარწერითურთ. ვფიქრობ, ეს წიგნი ძვირფასი საჩუქარია მკითხველთა ფართო წრისთვის", - აღნიშნა ლევან თაქთაქიშვილმა.



ლევან ბრეგაძე, პროფესორი: "ჩემი აზრით, ეს პორტრეტი შორს არ დგას სხვა პორტრეტებისგან. თქვენ წარმოიდგინეთ, არც გუდიაშვილის პორტრეტისგან.

გუდიაშვილმა ასე დაინახა პოეტი და თავისებურად დახატა, ეს მისი სტილი იყო.

ახალი პორტრეტი მაქსიმალური სიზუსტითაა შექმნილი. მე მაინც იმედი მაქვს, რომ სადმე აღმოჩნდება წარწერიანი ფოტო, თორემ უწარწერო აქაცაა. ძალიან ბევრი რამ არის შესასწავლი. საზოგადოებას ყველაფერი აინტერესებს ბარათაშვილზე. დღეს თითქოს პოეზიის დრო არ არის... მაგრამ რაც გაკეთდა, უდავოდ, ეროვნული საქმეა. მათ ხელახლა გამოაცოცხლეს საზოგადოება".

ლევან ჭოღოშვილი, მხატვარი: "ჩემი ამოცანა იყო, არაფერი შემეცვალა დოკუმენტურ წყაროებში. ყველაფერი ზუსტადაა აღწერილი... ფოტორობოტისეულ გრაფიკას ხორცი შეესხა მხოლოდ იმ ეპოქის სამოსით. სხვათა შორის, არც გუდიაშვილისეული პორტრეტია ფანტაზიის ნაყოფი. მხატვარი დოკუმენტურ წყაროს დაეყრდნო. მე თითქმის ყველა პორტრეტიდან ავიღე რაღაც... დიდი ხანია, ძველ ქართულ სახეებზე ვმუშაობ და არ გამჭირვებია. ძალიან მიხარია, რომ საშუალება მომეცა, გენიალური ბარათაშვილის პორტრეტი შემექმნა, რა თქმა უნდა, ისტორიულ-დოკუმენტურ წყაროზე დაყრდნობით".

დაბოლოს: ვინც არ სწვევია ლიტერატურის მუზეუმს, შესაძლებლობა აქვს, შეიძინოს პოეტის ახალი კრებული, აგრეთვე დაათვალიეროს ფოტო-საარქივო გამოფენა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოსი, რომელიც 10 ივნისამდე გაგრძელდება.

ინფოთეკა

### დელ ნერი სათავეში ჩაუდგა "პალერმოს"

იტალიურ საფეხბურთო კლუბ "პალერმოს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ლუიჯი დელ ნერი დანიშნეს. მან შეცვალა ფრანჩესკო გვიდოლინი, რომელმაც გასულ შაბათს, იტალიის ჩემპიონატში "ლაციოსთან" მატჩის (3:3) შემდეგ დატოვა თანამდებობა.

ზოგიერთი წყაროს ცნობით, გვიდოლინიმ ეს გადაწყვეტილება კლუბის მფლობელ მაურიციო ძამპარინისთან დაძაბული ურთიერთობის გამო მიიღო.

თავის მხრივ, დელ ნერისთვის უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში "პალერმო" უკვე მეოთხე გუნდია. ერთი წლის წინათ მან "ვერონა" იმისთვის დატოვა, რომ "პორტუში" გადასულიყო. პორტუგალიური გუნდიდან გათავისუფლების შემდეგ "რომას" მთავარი მწვრთნელი გახდა, თუმცა, ამ პოსტზეც მხოლოდ რამდენიმე თვე დარჩა.

"პალერმოსთან" კონტრაქტი ორ წელს ითვალისწინებს.

### სტრაჩანს ბელამის გუნდში დატოვება უნდა

შოტლანდიური კლუბის "სელტიკის" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა გორდონ სტრაჩანმა განაცხადა, რომ ფორვარდის კრეიგ ბელამის გუნდში დატოვების დიდი იმედი აქვს. როგორც ცნობილია, ამ ფეხბურთელზე უფლება ინგლისის "ნიუკასლს" აქვს. გასულ წელს ბელამიმ "სელტიკში" იჯარის წესით ითამაშა. სტრაჩანის განცხადებით, მას ამ ფეხბურთელთან სრულფასოვანი კონტრაქტის გაფორმება სურს. მწვრთნელის განცხადებით, იგი უკვე ესაუბრა 25 წლის ბელამის ამის შესახებ.

"მე ვესაუბრე კრეიგს. ის საკმაოდ პოზიტიურადაა განწყობილი ჩვენი წინადადების მიმართ", - აღნიშნა სტრაჩანიმ.

სხვათა შორის, ბელამის მიმართ დიდ ინტერესს ამჟღავნებს ასევე მიუნხენის "ბაიერნი".

### კლინსმანი ეცადა "საზეიმო ატმოსფერო არ დაერღვია"

"როიტერსის" ცნობით, მიუნხენში ოფიციალიურად გაიხსნა ახალი სტადიონი Allianz Arena, რომელზეც 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის სასტარტო მატჩი გაიმართება. სამშაბათს ეს სტადიონი მიუნხენის "ბაიერნმა" და გერმანიის ეროვნულმა ნაკრებმა გამოსცადეს. 66 ათასი მაყურებლის წინაშე ქვეყნის ეროვნული ნაკრები დამარცხდა (2:4).

"დღევანდელ შედეგს საერთოდ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ჩვენ, უბრალოდ, შევეცადეთ, საზეიმო ატმოსფერო არ დაგვერღვია", - განაცხადა გერმანიის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე.

### ხერარდი და რიკელმე "ბარსელონას" ტოვებენ

საფეხბურთო კლუბი "მონაკო" ძალიან ახლოს დგას "ბარსელონას" ნახევარმცველის ხერარდის შეძენასთან. ფეხბურთელს კატალონიელებთან კონტრაქტის ვადა ამ ზაფხულს ეწურება და, მიუხედავად იმისა, რომ "ბარსას" მთავარ მწვრთნელს ფრანკ რაიკაარდს ხერარდის გუნდში დატოვება უნდა, ზოგიერთი ინფორმაციით, ესპანური გუნდის დირექტორთა საბჭომ გადაწყვიტა, რომ ფეხბურთელს ახალი კონტარქტი აღარ გაუფორმოს.

"ხერარდი არ დარჩება "ბარსელონაში", რადგან ამ კლუბში სრული ნდობით ვერ სარგებლობს. შესაძლებელია, მან "მონაკოში" გააგრძელოს თავისი კარიერა. თუმცა, გარდა ამისა, ჩვენ ორი ესპანური კლუბისგან მივიღეთ შემოთავაზება. ინტერესს ამჟღავნებენ იტალიელებიც", - განაცხადა ხერარდის აგენტმა ხოსე მარია ორობიტმა.

"ბარსელონას" ნახევარმცელი ხუან რომან რიკელმე, რომელმაც უკანასკნელი ორი სეზონი "ვილიარეალში" იჯარის წესით ითამაშა, მალე კონტრაქტს გააფორმებს მადრიდის "ატელტიკოსთან". როგორც ცნობილია, ფრანკ რაიკაარდმა ადრე განაცხადა, რომ რიკელმეს გუნდში დაბრუნების საჭიროებას ვერ ხედავს. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო რიკელმემ ახალი გუნდის ძებნა. ამ შემთხვევაში საუკეთესო ვარიანტი "ატლეტიკოა". ამის მიზეზი ისაა, რომ უახლოეს ხანებში გუნდს სათავეში ჩაუდგება კარლოს ბიანკი, რომლის ხელმძღვანელობით ეს ფეხბურთელი "ბოკა ხუნიორსში" თამაშობდა.

"მომავალ სეზონს იმ კლუბში ჩავატარებ, რომელსაც მწვრთნელად ბიანკი ეყოლება", - განაცხადა რიკელმემ.

ფეხბურთი

# რომელი მხარე ჭობს?

## ჟირესი საალბანეთოდ ემზადება და არჩევნებს უცდის

მიხეილ აბაიშვილი

დღეს საქართველოს ეროვნული ნაკრები დილის ვარჯიშს გამართავს, შემდეგ კი აეროპორტისკენ აიღებს გეზს, საიდანაც თბილისი-ტირანას ჩარტერული რეისით ალბანეთის დედაქალაქში გაფრინდება. ტირანაში ქართველი ფეხბურთელები ხუთვარსკვლავიან სასტუმრო "შერატონში" დაბინავდებიან, საიდანაც სტადიონ "ქემალ სტაფამდე" ფეხით ორი წუთის სავალია. სწორედ ამ სტადიონზე 4 ივნისს საქართველოს ნაკრები ალბანელ "არწივებს" შეერკინება. მატჩი უმაყურებლო ტრიბუნების წინ ჩატარდება. ეს სასჯელი ალბანეთის ნაკრებს უეფამ წინა საშინაო მატჩის დროს ტრიბუნებზე მომხდარი არეულობის გამო "გამოუწერა".

საქართველოს ნაკრები ორი დღის წინ შეიკრიბა დიდ დიღომში მდებარე ბასა ღოღობერიძის სახელობის ტექნიკურ ცენტრში. "24 საათის" მკითხველმა უკვე იცის იმ ფეხბურთელთა ვინაობა, ვინც მთავარმა მწვრთნელმა შეკრებაზე გამოიძახა. ტრავმების გამო ეს სია კიდევ ოთხი ფეხბურთელით შეთხელდა.

"ოთარ ხიზანეიშვილი და გოგა გახოკიძე რომ ტრავმირებულები იყვნენ და ალბანეთთან ვერ ითამაშებდნენ, ადრევე ვიცოდით. მათ კიდევ ოთხი ფეხბურთელი შეემატა. თბილისში ჩამოვიდნენ, მაგრამ ტრავმის გამო ტირანაში ვერ წამოვლენ შოთა არველაძე, ლევან ცქიტიშვილი, მიხეილ აშვეთია და ალექსანდრე ამისულაშვილი. შემოვიმატეთ თბილისის "ლოკომოტივის" თავდამსხმელი მიხეილ ბობოხიძე. საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე კლუბებიდან სხვა ფეხბურთელებიც შეიძლებოდა დაგვემატებინა, მაგრამ სავიზო პრობლემების გამო ეს ვერ მოხერხდა", - განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ალენ ჟირესმა.

ასე რომ, ჟირესს ალბანეთში 19 ფეხბურთელი მიჰყავს, რომელთაგან სამი მეკარეა.

"რაიმე გაუთვალისწინებელი რომ მოხდეს, იძულებული ვიქნებით, ფეხბურთელი ახალგაზრდული ნაკრებიდან დავიმატოთ. ეს პერსპექტივა კი ნამდვილად არ მხიბლავს. გასაგები მიზეზების გამო ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა



ჟირესს შემადგენლობასთან დაკავშირებით პრობლემები აქვს.

მწვრთნელმა გოჩა ტყებუჩავამ თავისი გუნდის გაახალგაზრდავებისკენ აიღო გეზი და ლამის იუნიორი ფეხბურთელები მიიწვია. ამ კონტინგენტიდან ეროვნული გუნდისთვის ფეხბურთელის ამორჩევა ძალზე გამიჭირდება", - საკადრო პრობლემებით შეშფოთებულია მწვრთნელი.

ალბანეთის ნაკრებმა რამდენიმე დღის წინ ამხანაგური თამაში გამართა პოლონეთში, მასპინძელთა ეროვნულ გუნდთან და დამარცხდა. მართალია, ამ მატჩის ვიდეოჩანაწერის ხილვა ჟირესმა ვერ მოახერხა, მაგრამ, მისი თქმით, ინფორმაციის ნაკლებობას არ უჩივის.

"ჩვენ გვაქვს პოლონეთ-ალბანეთის მატჩის ტექნიკური მონაცემები. ამ შეხვედრაში ალბანელებმა საგრძნობლად შესუსტებული შემადგენლობით ისპარეზეს. იტალიაში და გერმანიაში მოთამაშე ლეგიონერებმა ამ მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღეს და ალბანეთის ნაკრები ამ ქვეყნის კლუბების ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული. "ქემალ სტაფაზე" სრულიად განსხვავებულ გუნდს ვიხილავთ, რომლის შესაძლებლობებიც საკმაოდ კარგად ვიცით. ალბანეთის ნაკრებმა არაერთხელ დაამტკიცა, რომ სერიოზული ძალაა. არავისთვის არ იქნება მოულოდნელი, თუ ვიტყვი, რომ "არწივები" ჩვენს წინააღმდეგ მოგებაზე ორიენტირებულ ტაქტიკას აირჩევენ. ჩემი გუნდის მთავარი მიზანია, დაიბრუნოს ის შემართება, ორგანიზებულობა და ბრძოლისუნარიანობა, რაც შესარჩევი ციკლის სტარტზე გვქონდა. ამას თუ შევძლებთ, ალბანეთში სასურველ შედეგს მივაღწევთ", - თქვა ჟირესმა.

თამაში რომ მაყურებლის გარეშე ჩაივლის, კარგა ხანია ცნობილია. შარშანწინ თავად დავესწარი იმ ჯოჯოხეთს, რომელიც ალბანელმა გულშემატკივრებმა ალბანეთ-საქართველოს მატჩის დროს "ქემალ სტაფას" ტრიბუნებზე მოაწყვეს. ვფიქრობ, იმ მატჩში საქართველოს ნაკრების 1:3 დამარცხება დიდწილად სწორედ ფანების ფსიქოლოგიურმა შტურმმა განაპირობა. თუმცა, ფრანგი მწვრთნელი სულაც არ ფიქრობს, რომ გულშემატკივრების არყოლით ალბანეთს საგრძნობი ძალა გამოაკლდება.

"გულშემატკივართა გარეშე თამაშის ისე განხილვა, თითქოს ეს საქართველოს ნაკრების შანსს წარმატებაზე საგრძნობლად გაზრდის, არ მიმაჩნია სწორად. თავად ყოფილი ფეხბურთელი ვარ და ვიცი, რომ უმაყურებლო ტრიბუნების თანხლებით თამაში ძალზე ძნელია, პირველ რიგში, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. თუმცა, ამ მხრივ გუნდები თანაბარ სიტუაციაში იქნებიან. რა თქმა უნდა, ალბანელებს გულშემატკივართა მხარდაჭერა მოაკლდებათ, მაგრამ არა მგონია, ამ კომპონენტმა მატჩზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს", - მიიჩნევს საქართველოს ნაკრების დამრიგებელი.

ძნელი სათქმელია, რა მოტივაცია აქვს შერჩენილი საქართველოს ეროვნულ ნაკრებს და რა უნდა იყოს მთავარი გამაღიზიანებელი ფაქტორი, რაც ჩვენს ფეხბურთელებს გამარჯვებისთვის საბრძოლველად დარაზმავს. მომდევნო ეტაპზე გაღწევის შანსი წინა ორ საშინაო მატჩში დამარცხებების გამო დავკარგეთ. ერთადერთი ამოცანა დაგვრჩა: რაც შეიძლება მაღალი ადგილი დავიკავოთ სატურნირო ცხრილში, რაც მომდევნო შესარჩევი ტურნირის კენჭისყრის დროს უკეთეს სასტარტო პოზიციას მოგვცემს. თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით თავად ჟირესი გაურკვევლობაშია.

"შექმნილ ვითარებაში ორი გზა არის დარჩენილი. პირველი ის, რომ ყველა მატჩში შედეგზე ვიფიქროთ და შეძლებისდაგვარად მაღალი ადგილი დავიკავოთ. და მეორე: შედეგს ყურადღება აღარ მივაქციოთ და მომავლის გუნდის შენება დავიწყოთ. თუ რომელი გზა უნდა ავირჩიოთ, დღეს მე ამ შეკითხვას ვერ ვუპასუხებ. 11 ივნისს ჩატარდება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები, სადაც ქართულ ფეხბურთს ახალი ლიდერი მოევლინება. სტრატეგიასაც და ამ ორი გზიდან ერთ-ერთსაც სწორედ ახალი პრეზიდენტი აირჩევს", - საკითხში, რომელიც მთავარი მწვრთნელის კომპეტენციას სცილდება, პასუხისმგებლობის თავის თავზე აღებას ჟირესი ერიდება.

პრესკონფერენციაზე, უკვე მერამდენედ, მალხაზ ასათიანის საკითხი წამოიჭრა. ეს ფეხბურთელი თავის კლუბში - მოსკოვის "ლოკომოტივში" ცენტრალური მცველის პოზიციაზე თამაშობს და ლამის ყველა მატჩის შემდეგ ტურის სიმბოლურ ნაკრებში ხვდება, ხოლო ჟირესი ასათიანს ფლეიმეიქერად იყენებს.

"ეს შეკითხვა დანიასთან მატჩის შემდეგ რატომ არ დამისვით (ამ შეხვედრაში ასათიანმა ფლეიმეიქერის პოზიციაზე ბრწყინვალედ ითამაშა, - რედ.)? გამოდის, რომ მე და შუშაკი შეშლილები ვართ - ასათიანს შუშაკიც ხომ ნახევარდაცვაში ათამაშებდა. "ლოკომოტივის" მწვრთნელებს, როგორც სურთ, ისე ათამაშონ ასათიანი. სანამ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვარ და სანამ სიტუაცია ასე მოითხოვს, მალხაზი ნახევარდაცვაში იქნება", - პოზიციას არც თავად იცვლის ჟირესი და არც ასათიანს უცვლის.

ჭიდაობა

# პარლამენტის სხდომა ჭადრაკის სასახლეში - საკითხით ჭიდაობა

გიგა გურასაშვილი

*გუშინდლამდე ქართულ საჭიდაო სამყაროში დიდი გაურკვევლობა იყო. ეს სამყარო არჩევნებს ელოდა, არჩევნები კი საპრეზიდენტო გახლდათ, რომელსაც ერთხელ და სამუდამოდ წერტილი უნდა დაესვა ამ სფეროში განვითარებული მოვლენებისთვის. არჩევნებს, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლემ უმასპინძლა. სასახლეში იყო ყველა, ვისაც ჭიდაობასთან რაიმე კავშირი ჰქონია და აქვს. იყვნენ სხვა სახეობის წარმომადგენლებიც, სპორტის ხელისუფალნიც და პარლამენტარებიც. აქედან დასკვნა: ჭიდაობა ქართული სპორტის უმნიშვნელოვანესი რგოლია. რამდენიმე გამომსვლელმა აღნიშნა კიდეც: დღეს სახელმწიფოსგან ისეთ მხარდაჭერას ვგრძნობთ, როგორიც არასდროს გვიგრძვნიაო. ფედერაციის პრეზიდენტობა კი აშკარა უპირატესობით პარლამენტარ კახა გეწაძეს დარჩა!*



კახა ბიწაძეს საჭიდაო სამყარო ჩააბარეს.

რა და როგორ იქნება, ამას მომავალი გვაჩვენებს, მანამდე კი ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა დამსწრეთ უთხრა, იმედია, ჩემი არჩევა დიდი შედეგებით დაგვირგვინდებაო. ეს იყო ბოლოს, როდესაც საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის VI რიგგარეშე ყრილობის დელეგატებმა კახა გეწაძეს პეზიდენტის თანამდებობაზე ნდობა გამოუცხადეს. პრეზიდენტობის მოსურნენი კი სამნი იყვნენ - პარლამენტარები ვალერი გელაშვილი, კახა გეწაძე და ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი და ყოფილი პარლამენტარი ლევან თედიაშვილი (ბოლო მომენტში თეიმურაზ ყაზარაშვილმა, რომელიც გუშინდლამდე პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა, საკუთარი კანდიდატურა მოხსნა).

ბიულეტენების მიხედვით გუშინდელ ყრილობას ესწრებოდა 193 დელეგატი, რომლებსაც მათთვის სასურველი კანდიდატი კენჭისყრით უნდა გამოევლინათ. კენჭისყრის საკითხი კი ერთადერთი იყო, რომელმაც დარბაზში ხმაური შემოიტანა. დელეგატთა ერთი ნაწილი ღია კენჭისყრას ითხოვდა, ხოლო მეორე - ფარულს. ბოლოს ფარულ კენჭისყრაზე შეთანხმდნენ. მაგრამ ვიდრე შედეგები გამოცხადდებოდა, უკვე ნათელი იყო, თუ ვინ გახდა პრეზიდენტი - კახა გეწაძე შედეგების გამოცხადებამდე მილოცვებს იღებდა. გასარკვევი ისღა რჩებოდა, თუ ვინ რამდენი ხმა დააგროვა. მალე ესეც გაირკვა: კახა გეწაძე - 193 ხმა, ვალერი გელაშვილი - 43, ლევან თედიაშვილი - 12.

ყრილობაზე სხვა საკითხებზეც იმსჯელეს, მათ შორის, პრეზიდიუმის უფლება-მოვალეობებზე, რომლის წევრთა რაოდენობა 25 კაცით განისაზღვრა. აქედან 17-ის ვინაობა გუშინვე დასახელდა. შეიქმნა სათათბიროც 50 კაცის ოდენობით, რომლის თავმჯდომარეობა გურამ საღარაძეს ჩააბარეს.

დეკემბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ განვითარებული მოვლენები რომ არა, გუშინ ყრილობა არც შედგებოდა. ყველაფერი 15 დეკემბერს დაიწყო, მაშინ, როდესაც საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის V საანგარიშო-საარჩევნო ყრილობაზე ქართულმა საჭიდაო სამყარომ ბაკურ გოგიტიძეს, ფედერაციის პრეზიდენტობის ერთადერთ კანდიდატს, სადავეები გადაულოცა. სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, რაც სტარტი აიღო (1 თებერვლი) ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ჩემპიონატმა.

კერძოდ, გოგიტიძის სათავეში მოსვლიდან ცოტა ხანში აშკარა გახდა, რომ საჭიდაო სამყარო ორად გაიხლიჩა. მაშინ ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა, როგორც მისი ქმედება მოგვიანებით შეფასდა, მიიღო ერთპიროვნული გადაწყვეტილება ნაკრების ძველი მწვრთნელების ბეგია დარჩიასა (ბერძნულ-რომაული) და ზაზა თურმანიძის ("თავისუფალი") ადგილზე დაენიშნა, შესაბამისად, კობა ჭიჭეიშვილი და ზაზა ტყეშელაშვილი. ამასობაში ბერძენ-რომაელთა ნაკრები ბეგი დარჩიას გუნდში დაბრუნების მოთხოვნით გამოვიდა და პროტესტის გარკვეულ ფორმასაც მიმართა. ეს იყო მუქარა: მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში გუნდი დაიშლებოდა და საზღვარგარეთ გაიხიზნებოდა. გოგიტიძე იძულებული გახდა, ვითარების განსამუხტავად კომპრომისზე წასულიყო და ძველი მწვრთნელები ნაკრებში დაეტოვებინა, ოღონდ ახლად დანიშნულთა თანაშემწეებად. ამასთან, ახალ მწვრთნელებს ერთგვარი საცდელი ვადით საკუთარი მოვალეობა ევროპის ჩემპიონატამდე უნდა შეესრულებინათ, მერე კი მათ უფლებამოსილებას გადახედავდნენ. მაგრამ არც ამან გაჭრა. ნაკრები შეუვალი აღმოჩნდა.

ფედერაციის ხელმძღვანელთა ერთი ჯგუფი გოგიტიძეს წინაპირობის დარღვევაში ადანაშაულებდა. პირობა კი ის იყო, რომ პრეზიდენტად მოსვლის შემთხვევაში, ერთი წელი მაინც, ნაკრების მწვრთნელებს არავინ შეეხებოდა!

ერთი სიტყვით, დღის წესრიგში დადგა პრეზიდენტისთვის უფლებამოსილების შეჩერების საკითხი, რაც 11 თებერვალს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის თეიმურაზ ყაზარაშვილის მიერ მოწვეულ პრეზიდიუმის სხდომაზე სისრულეში მოიყვანეს კიდეც.

იმავე პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, 4 მაისამდე, პრეზიდენტის ხელახალ არჩევნებამდე, პრეზიდენტის მოვალეობის დროებით შემსრულებლად ყაზარაშვილი დაინიშნა. საკუთარ თანამდებობებს დაუბრუნდნენ ბეგი დარჩია და ზაზა თურმანიძეც. უფლებამოსილებაშეჩერებული პრეზიდენტი კი 4 მაისს არ დაელოდა და ვადამდე ადრე, 9 მარტს, თავად მოიწვია პრეზიდიუმი. ყოველ შემთხვევაში, ჟურნალისტები ფალავანთა კლუბში მიგვიწვიეს - პრეზიდიუმის სხდომააო...

თუმცა, გაირკვა, რომ საქმე გვქონდა არა რიგგარეშე პრეზიდიუმთან, არამედ შერიგების შეკრებასთან (როგორც თავად გოგიტიძემ განგვიმარტა). პირველი, რაც ბაკურ გოგიტიძემ თქვა, ის იყო, რომ ვითარება განმუხტულია, რომ არ არსებობს დაპირისპირებული მხარე და საჭიდაო სამყარო კვლავ ერთიანია. მაგრამ...

გუშინ ჩატარდა რიგგარეშე ყრილობა, რომელმაც კახა ბიწაძე აირჩია. წინა გამოცდილებიდან გამომდინარე, დავინტერესდი და ვკითხე: თქვენი ხელმძღვანელობისას მოსალოდნელი ხომ არ იქნება მწვრთნელებთან დაკავშირებით საკადრო ცვლილებები-მეთქი, რაზეც კატეგორიული უარი მივიღე. "მწვრთნელებიც, გენერალური მდივანიც და ვიცე-პრეზიდენტებიც საკუთარი მოვალეობის შესრულებას გააგრძელებენ. ცვლილება მხოლოდ ის იქნება, რომ კიდევ ორი ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობას შემოვიტანო".

ინფოთეკა

### "ჰამბურგს" ჰამანის შეძენის იმედი ჯერ კიდევ აქვს

გერმანული კლუბის "ჰამბურგის" ხელმძღვანელობამ იმედი გამოთქვა, რომ "ლივერპულთან" მოლაპარაკებას შეძლებს. საქმე ეხება დიტმან ჰამანის შეძენას. როგორც ცნობილია, ინგლისელებთან ფეხბურთელის კონტრაქტი ივნისის ბოლოს იწურება. თავდაპირველად მთავარი მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი არ აპირებდა მასთან კონტრაქტის გაგრძელებას. ჰამანმაც "ბოლტონის" შეთავაზებაზე დაიწყო ფიქრი, რომელიც მას ინგლისის პრემიერ-ლიგაში დარჩენაში დაეხმარებოდა. ასევე უყურადღებოდ არ დატოვა "ჰამბურგის" დაინტერესებაც. ეს კლუბი მას სამშობლოში დააბრუნებდა.

თუმცა, ჩემპიონთა ლიგის ფინალში წარმატებამ "ლივერპულის" ხელმძღვანელობა სერიოზულად დააფიქრა ჰამანისთვის კონტრაქტის გაფორმებაზე. 31 წლის ფეხბურთელმა უკვე განაცხადა, რომ "მილანთან" შესანიშნავი თამაშის გამო მან, შესაძლოა, ახალი კონტრაქტი გააფორმოს "ლივერპულთან".

მაგრამ "ჰამბურგს" ჯერ კიდევ აქვს მისი შეძენის სურვილი.

"იმედი გვაქვს, რომ, სულ ცოტა, ორ საუკეთესო ფეხბურთელთან მოვახერხებთ კონტრაქტის გაფორმებას. ჩვენ უკვე ვესაუბრეთ დიტმან ჰამანს და გვჯერა, რომ შეთანხმებას მივაღწევთ. ზოგიერთმა ინგლისურმა კლუბმა ამ ფეხბურთელს სამწლიანი კონტარქტი შესთავაზა, მაგრამ ჩვენ ასე დიდი ხნით არ შეგვიძლია შეთანხმების გაფორმება. დაველოდებით მოვლენების განვითარებას", - განაცხადა "ჰამბურგის" წარმომადგენელმა.

**მოამზადა ნინო ტიკარაძემ**

TV სპორტი

### სამშაბათი. 2 ივნისი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ლიბერტადორესის თასი. ფინალი. "სან პაულუ" (ბრაზილია) - "ტიგრესი" (მექსიკა). პირველი მატჩი
14:00 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. "ჩელსი" - "ლივერპული". პირველი მატჩი
15:55 თავისუფალი დარტყმა
16:10 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:10 წვრილმანები. უკრაინის თასი. ფინალი. "დინამო" - "შახტარი"
17:40 შოტლანდიის თასი. ფინალი. "დანდი იუნაიტედი" - "სელტიკი"
19:25 თავისუფალი დარტყმა
19:40 სახვალიო ტელეპროგრამა
19:55 საუიკენდო მატჩების ანონსი
20:00 "საფეხბურთო კლუბი". პირველი დივიზიონი
20:30 ლიბერტადორესის თასი. ფინალი. "სან პაულუ" (ბრაზილია) - "ტიგრესი" (მექსიკა). პირველი მატჩი
22:15 "ფეხბურთი ჭრილში"
22:45 "საფეხბურთო კლუბი". რუსეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა
23:45 "საფეხბურთო კლუბი". პირველი დივიზიონი
00:15 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 16:00, 21:30 პრესცენტრი
10:20, 21:45 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი". მეოთხედფინალები
13:30 ტრიატლონი. მსოფლიო თასი. გადაცემა მექსიკიდან
14:30 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი იტალიაში. ქალები. იტალია - სერბეთი და მონტენეგრო
16:15 როდეო. "Bull Riders"
17:00 ფიგურული სრიალი. კრისტი იამაგუჩის შოუ
18:00 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "SAN ANTONIO SPURS" - "PHOENIX SUNS". მე-5 მატჩი. შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
20:45 "მოტოვებული კვირა"
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 NBA-ს სკალათბურთო მიმოხილვა
22:30 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
23:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი". შედეგები
00:05 ახალი ამბები
00:20 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი იტალიაში. ქალები. სერბეთი და მონტენეგრო - გერმანია
01:50 01:50-დან 05:25-მდე შესვენება
05:25 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მეოთხედფინალი. "გვადალახარა" (მექსიკა) - "ბოკა ხუნიორსი" (არგენტინა). პირველი მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 ცხენოსნობა. სუპერლიგა იტალიაში
12:00 ფეხბურთი. იუნიორთა საერთაშორისო ტურნირი საფრანგეთში. საფრანგეთი - სამხრეთ აფრიკა
13:30 ფეხბურთი. იუნიორთა საერთაშორისო ტურნირი საფრანგეთში. იაპონია - მექსიკა
15:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი". ვაჟები. მეოთხედფინალი
16:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი". ქალები. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 ფეხბურთი. იუნიორთა საერთაშორისო ტურნირი საფრანგეთში. პორტუგალია - კორეა. პირდაპირი ტრანსლაცია
22:30 ფეხბურთი. იუნიორთა საერთაშორისო ტურნირი საფრანგეთში. ინგლისი - ტუნისი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:30 ავტორბოლები. მსოფლიო ჩემპიონატი ტურინგის კლასში
01:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი". მიმოხილვა
02:00 ახალი ამბები
02:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. "თურქეთის რალი"
02:45 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
03:15 ახალი ამბები

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერიის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტი აცხადებს ორეტაპიან ღია ტენდერს ქ. თბილისში ვარკეთილი III, 327-330 კორპუსებს შორის არსებულ სკვერის, დიღმის მასივში, რობაქიძის გამზირის (მთლიანად), მუხიანის დასახლებაში, ნონეშვილის ქ. დასაწყისში არსებული სკვერის, ალმაშენებლის გამზირზე მდებარე "ვარდების ბაღის", რუსთაველის გამზირზე, ოპერისა და ბალეტის თეატრის მიმდებარე სკვერების პროექტების მოსამზადებლად მომსახურების შესასყიდად.

აღნიშნული მომსახურების შესასრულებლად იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. შესყიდვა ხორციელდება ერთიანი ობიექტის მიხედვით:
ქ. თბილისში ვარკეთილი III, 327-330 კორპუსებს შორის არსებულ სკვერის, დიღმის მასივში, რობაქიძის გამზირის (მთლიანად), მუხიანის დასახლებაში, ნონეშვილის ქ. დასაწყისში არსებული სკვერის, ალმაშენებლის გამზირზე მდებარე "ვარდების ბაღის", რუსთაველის გამზირზე, ოპერისა და ბალეტის თეატრის მიმდებარე სკვერების პროექტების მოსამზადებლად

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა მომსახურების შესყიდვაზე ხელშეკრულების გაფორმებიდან - 2006 წლის 20 აგვისტომდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები ღირებულების გარეშე უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე განცხადების გამოქვეყნებიდან 15 კალენდარული დღის შემდეგ, 3 დღის განმავლობაში - *15 ივნისიდან 18 ივნისის* 17 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი 0105, გ. ლეონიძის ქ. N2, ქ. თბილისის მერიის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის სატენდერო კომისიის აპარატში.

4. საკვალიფიკაციო შერჩევის ეტაპზე სატენდერო კომისია განიხილავს და აფასებს საკვალიფიკაციო მონაცემებს. სატენდერო კომისიაში შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები საექსპერტო დასკვნისათვის წარედგინება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს საექსპერტო კომისიას, რომლის დასკვნაც წარმოადგენს სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტთა შერჩევის საფუძველს.

5. სატენდერო კომისია განიხილავს საექსპერტო კომისიის მიერ მომზადებულ დასკვნასა და პირველად სატენდერო წინადადებებს, რომლის შესაბამისადაც განსაზღვრავს პრეტენტებს ტენდერის მეორე ეტპისათვის;

6.Pპირველადი სატენდერო წინადადებები წარმოდგენილ უნდა იქნას დახურული კონვერტით და შეფასდება შემდეგი მოთხოვნების, მახასიათებლებისა და პარამეტრების გათვალისწინებით:
ა) შესასრულებელ მომსახურებასთან (პროექტებთან) შეხებაში მყოფი, განსახორციელებელი კვლევების ჩამონათვალი და შესრულების ვადები პირველი პუნქტით გათვალისწინებული ობიექტების შესაბამისად;
ბ) შესასრულებელი საპროექტო სამუშაოების ჩამონათვალი და შესრულების ვადები პირველი მუხლით გათვალისწინებული ობიექტების შესაბამისად;
P7. პირველადი სატენდერო წინადადებების შეფასების დროს მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა მოთხოვნებთან და არ გამოიყენება ქულებით შეფასების წესი;

8. ტენდერის პირველი ეტაპის დასრულების ვადას სატენდერო კომისია განსაზღვრავს პირველადი სატენდერო წინადადებების შეფასების შემდეგ;

9. ტენდერის პირველი ეტაპის შედეგები კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2 დღის ვადაში ეცნობება პირველადი სატენდერო წინადადების წარმომდგენ ყველა პირს;

10. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
10.1. იურიდიული პირისათვის:
ა) ცნობა შესაბამისი სასამართლოდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
ბ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
გ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ არიან მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
10..2. ფიზიკური პირისათვის:
ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
ბ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
10.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:
ა) ცნობას სასამართლოდან ადგილმდებარების მიხედვით, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
ბ) ინფორმაციას მომსახურების გაწევისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ;
გ) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული მიწოდების საერთო მოცულობა (ლარებში) ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდება:

| N | მომსახურების დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება |
|---|---|---|---|
| 1.<br>2.<br>.. | | | |

დ) ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება:

| თანამდებობა | გვარი, სახელი, მამის სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ თანამდებობებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|
| | | | |

ე) სუბ-კონტრაქტორების მიერ განსახორციელებელი მიწოდება:

| განსახორციელებელი მიწოდების სახე | სუბ-კონტრაქტის ფასი | სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური მიწოდების განხორციელების გამოცდილება |
|---|---|---|---|
| | | | |

ვ) ინფორმაცია მიმდინარე სასამართლო განსჯადობის შესახებ, რომელშიც ჩართულია ტენდერის მონაწილე:

| განსჯადობის სხვა მონაწილეები | დავის საგანი | სადაო თანხები |
|---|---|---|
| | | |

ზ) ბოლო 5 (ხუთი) წლის ფინანსური ანგარიშები (ბალანსები, აუდიტორული დასკვნები და ა.შ.). ქვემოთ ჩამოთვალეთ და დაურთეთ ასლები;
თ) საგადასახადო დავალიანებები სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ( დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები);

11. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-10 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება;

12. საბოლოო სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერის მეორე ეტაპზე მონაწილე პრეტენდენტებს, შეეძლებათ 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ქ. თბილისის მერიის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის მომსახურე ხაზინის შესაბამის ანგარიშზე:
მიმღები ბანკი - საქართველოს ეროვნული ბანკი
ანგარიშის N200122900
ბანკის კოდი 220101107
სახაზინო კოდები:
1. გლდანი-ნაძალადევი - 300014040
2. დიდუბე-ჩუღურეთი - 300024040
3. მთაწმინდა-კრწანისი - 300034040
4. ვაკე-საბურთალო - 300044040
5. ისანი-სამგორი - 300054040

დანიშნულება - "ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი"

დამატებითი ინფორმაცია შესაძლებელია მიიღოთ შემდეგი პირებისაგან:
*ნინო რუბაშვილი*
მაკა ლურსმანაშვილი - სატენდერო კომისიის აპარატი;
*საკონტაქტო ტელეფონი* 93-56-91

*მისამართზე:*
ქ. თბილისი 0105,
გ. ლეონიძის ქ. N2,
ქ. თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი
რესურსების რეგულირების კომიტეტი.

**სატენდერო კომისიის თავმჯდომარე**
**გიორგი საბანაძე**

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა, საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშის N000115007, კოდი 220101107), აცხადებს ღია ტენდერს მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის კმ.135-კმ.139 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** სამუშაოების შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად (სავარაუდოდ: 2005 წელს ხელშეკრულების გაფორმებიდან-- 2005 წლის 31 დეკემბრამდე).

დაინტერესებულ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესყიდვების სამმართველოში.

**3.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2005 წლის 17 ივნისის $10^{00}$ საათიდან 2005 წლის 17 ივნისის $12^{00}$ სთ.-მდე, ორ ეგზემპლიარად შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება. წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებში მითითებული უნდა იქნას დაინტერესებულ პირს რამდენ ლოტზე სურს ტენდერში მონაწილეობის მიღება.

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
**4.1** ცნობები:
**4.1.1.** იურიდიული პირისათვის:
**ა)** ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
**ბ)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.
**ე)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;
**4.1.2.** ფიზიკური პირისათვის:
**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;
**ბ)** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
**4.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:
- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (იჯარა, ერთობლივი საქმიანობა, თხოვნება და ა. შ.) შემდეგი მანქანა-მექანიზმები:

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | რაოდენობა (ცალი) |
|---|---|---|
| 1 | ავტოგრეიდერი საშუალო 79 კვტ. სიმძლავრით | 1 |
| 2 | ასფალტდამგები | 1 |
| 3 | ავტოგუდრონატორი | 1 |
| 4 | ამწე ტვირთამწეობით 25 ტ | 1 |
| 5 | კომპრესორი მწარმოებლობით 9-10 $მ^3$/წთ | 1 |
| 6 | სამტვრევი ჩაქუჩები | 2 |
| 7 | პნევმატური სატკეპნი 25 ტ | 1 |
| 8 | პნევმატური სატკეპნი 16-20 ტ | 1 |
| 8 | ვიბრაციული სატკეპნი | 1 |
| 9 | ხელითსატკეპნი მასით 20 კგ.-მდე | 1 |
| 10 | ექსკავატორი ციცხვის მოც. 0.5 $მ^3$ | 1 |
| 11 | ექსკავატორი ციცხვის მოც. 0.65 $მ^3$ | 1 |
| 12 | საგზაო ფრეზი | 1 |
| 13 | ბორტიანი მანქანა ტვირთამწეობით 10 ტ | 2 |
| 14 | ბორტიანი მანქანა ტვირთამწეობით 6 ტ | 2 |
| 15 | ავტოთვითმცლელები ტვირთამწეობით 7-10 ტ | 8 |
| 16 | ამწე ტვირთამწეობით 16 ტ | 1 |
| 17 | ბულდოზერი სიმძლავრით 96 კვტ | 1 |
| 18 | საფარის ბზარების ამოსავსები მანქანა | 1 |
| 19 | ნიშანსადები მანქანა | 1 |
| 20 | საბურღ-ამწე მანქანა | 1 |
| 21 | სარწყავ-სარეცხი მანქანა | 1 |
| 22 | სატკეპნი გლუვვალციანი 11-18 ტ | 1 |
| 23 | საბურღ-ამწე მანქანა | 1 |
| 24 | ელექტროვიბრატორი | 1 |
| 25 | ლორლის გამანაწილებელი | 1 |
| 16 | ბიტუმის ქვაბი | 1 |

ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღნიშვნელობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | | | |

- იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო თუ იმყოფება საკუთრებაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს მონაწილის ბალანსი, სადაც აღრიცხული იქნება შესაბამისი მანქანა-მექანიზმები.
- ცნობას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად. დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | |

- ცნობას სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| შესასრულებელი სამუშაოს სახე | სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება |
|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | |

**4.2.** ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):
- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს;
- ინფორმაცია იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ განხორციელებული ანალოგიური სახის სამუშაოების გამოცდილების შესახებ;

**5.** მონაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**6.** მონაწილე ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.

**7.** საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

**8.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**9.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ 2005 წლის 23 ივნისის $10^{00}$ საათიდან 2005 წლის 24 ივნისის $17^{00}$ საათამდე, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

გამარჯვებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 5% ოდენობით.

**10.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 37.63.95 გია დიასამიძე.

სატენდერო კომისია

სახელი ____________________

გვარი ____________________

ასაკი ____________________

სიმაღლე ____________________

მისამართი ____________________

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ____________________

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა____________________ თარიღი__________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა

# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, გონებაგახსნილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

**გთხოვთ შეავსოთ გარკვევით ბლანკი უფასოა**

[illegible]

**ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:**

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" / [illegible] "სუსტი რგოლი" / [illegible] 45, 0177 თბილისი

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, ხოლო სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

## TV პროგრამა, 2 ივნისი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** რეინჯერები **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** ხალხის პირისპირ **22.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "გალაქტიკა" **15.25** სერიალი "ბეველი ჰილზი" **16.30** სერიალი "ოცნების კოშკები" **17.25** რეინჯერები **18.30** პატრული **19.00** ფორტ-ბოიარდი **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** ვის უნდა 50 ათასი **23.00** სერიალი "მატრიოშკები" **00.00** მხ. ფილმი "ორმაგი აგენტი" (18) (რუპერტ ევერეტი) **02.10** პატრული

### [1-ლი არხი]

